პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № [illegible], ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; გამომცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 15 აგვისტო 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 188 (2231)

დ ღ ი უ რ ი

- ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გერმანია - პოლონეთის და გერმანია-ლიტვის საზღვარზე.
- საფრანგეთის და ინგლისის ჯარის მანევრები რეინის ოლქში.
- ამერიკამ განაახლა სამხედრო მოქმედება ნიკარაგუაში.
- ჰამბურგის მეზღვაურთა გაფიცვა მეზღვაურების გამარჯვებით დამთავრდა.
- დამთავრდა სპარსეთის მეჯლისის არჩევნები. — არჩეულია მთავრობის პარტიის კანდიდატები.
- ინგლისში დაიკარგა მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტები.

კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხები

ჩვენ მტკიცე გეზი გვაქვს აღებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ. სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობის და საქონლიანობის გადიდება, გლეხობის ნივთიერ კეთილდღეობის აწევა და მისთვის კულტურულ ცხოვრების პირობების შექმნა შესაძლებელია პირველ ყოვლისა და უმთავრესად მაშინ, როცა წვრილი, დაქუცმაცებული ცალკე გლეხური მეურნეობები გაერთიანდებიან მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობებად, რომლებიც იძლევიან რთულ მანქანების და სხვა საწარმოო საშუალებათა ფართოდ გამოყენების საშუალებას. ეს ამავე დროს ნიშნავს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას.

გლეხობა სულ უფრო იგებს კოლმეურნეობათა მნიშვნელობას, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობრივი მოძრაობა სწრაფად ვითარდება. იზრდება სხვადასხვა სახის კოლ. გაერთიანებათა რიცხვი, მტკიცდებიან ისინი ეკონომიურად და ორგანიზაციულად. ეს მოძრაობა შემდეგში უეჭველია უფრო ფართე და მასთან გეგმაშეწონილ ხასიათს მიიღებს სათანადო ხელმძღვანელობის და მატერიალურ დახმარების წყალობით.

მხოლოდ ახლავე, კოლმეურნეობათა მშენებლობის დაწყებით პერიოდშივე, ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ დარგში არსებულ თუ შესაძლებელ უარყოფით მხარეებს, რომელთა აცილება უზრუნველყოფს მათ სწორ განვითარებას.

კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლა ლახვარს სცემს კულაკობას, ნიადაგს აცლის მის არსებობას. ამიტომ გასაგებია, რომ კულაკები ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ მის გარშემო. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ისინი არწმუნებენ გლეხობას: ვინც ინდივიდუალურ მეურნეობას თავს არ დაანებებს და კოლექტივში არ ჩაეწერება, ხელისუფლება მიწებს ჩამოართმევსო. თითქო კულაკები კოლმეურნეობის დიდი ჰომხრენი არიან, რომ მის „სასარგებლოდ“ ასეთ აგიტაციას ეწევიან. საქმე კი ისე არის, რომ კულაკები ამ გზით ცდილობენ მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილების გამოწვევას იმ გლეხთა მასებში, რომელნიც ჯერ კიდევ მაგრად ებღაუჭებიან თავის ნაჭერ მიწას. ამავე დროს კულაკების მიზანია გლეხობას გული გაუტეხონ შრომაზე, და სამეურნეო დაბრკოლებები შეუქმნან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

კულაკების ასეთი პროვოკაცია გადაჭრით უნდა იქნას აღკვეთილი. გლეხობას მკაფიოდ უნდა განემარტოს, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება ინდივიდუალურ მეურნეობათა იძულებითი მეთოდებით მოსპობაზე. ამავე დროს ასევე გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ამა თუ იმ მუშაკის შესაძლებელი ტენდენცია მიმართოს იძულებითი ზომებს კოლმეურნეობებში გლეხობის ჩასაბმელად. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა. გლეხობის კოლმეურნეობებში გაერთიანება უდავოდ ნებაყოფლობითი საქმეა. შესაფერი აგიტაციის წარმოება. არსებულ კოლმეურნეობათა სამაგალითოდ დაყენება. გლეხობის პრაქტიკულად დარწმუნება კოლმეურნეობის უპირატესობასა და სარგებლიანობაში ინდივიდუალურთან შედარებით, სხვადასხვა შეღავათების და დახმარების აღმოჩენა კოლმეურნეობებისათვის — აი, რა გზებით უნდა მივაღწიოთ ჩვენ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას. იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენება კოლმეურნეობრივ მოძრაობას მეტად გაუტეხს სახელს და უაღრესად საზიანო იქნება მისთვის. ეს კარგად უნდა შეიგნონ ამ დარგში მომუშავე ორგანიზაციებმა თუ ცალკე პირებმა.

კულაკური ელემენტები არა მარტო გარედან ებრძვიან კოლექტივებს; აქა-იქ ისინი ახერხებენ მათში გაძრომას და ზოგ შემთხვევაში სახელმძღვანელო ადგილის დაკავებასაც კი. განა მტკიცება უნდა, რომ კოლექტივებს ისინი თავის ინტერესებისათვის გამოიყენებენ და მათ ღირებულებას დასცემენ გლეხობის თვალში. გარდა ამისა, არის ცალკე შემთხვევები, როცა კულაკები აარსებენ ცრუკოლექტივებს სხვადასხვა შეღავათების მიღების მიზნით. ყველაფერ ამას უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. კოლმეურნეობათა შემადგენლობა საბოლოოდ უნდა გაიწმინდოს უცხო ელემენტებისაგან და აღმოიფხვრას ცრუკოლექტივების შექმნის შესაძლებლობა. ამ მიმართულებით უკვე დიდი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ ის დამთავრებულად მაინც ვერ ჩაითვლება.

კიდევ მრავალი სხვა ნაკლი ახლავს ჩვენს კოლმეურნეობრივ მოძრაობას. მაგალითად, დღემდე უმთავრესად არსებობენ წვრილი კოლექტიური გაერთიანებანი, რომელთაც ცალ-ცალკე ძალა არ შესწევთ ფართე აგრიკულტურული ღონისძიებანი განახორციელონ, მოიწვიონ სპეციალისტები და სხ. საჭიროა კოლმეურნეობათა ჯგუფურ გაერთიანების სისტემაზე გადასვლა.

მიწათმოწყობა კოლმეურნეობაში მეტ წილად ჩატარებული არ არის. უამისოდ კი შეუძლებელია მეურნეობის რაციონალურად დაყენება. არსებობს დირექტივა, რომ მიწათმოწყობა კოლმეურნეობებში განხორციელდეს უმოკლეს დროში. ეს დირექტივა მტკიცედ უნდა შევასრულოთ.

ჯერ კიდევ სათანადოთ არ არის გადაჭრილი გეგმიანობის, შრომის ორგანიზაციის, ანგარიშწარმოების და სხვა საკითხები კოლმეურნეობებში, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

გაძნელებულია კოლმეურნეობათა მიერ საკრედიტო და სხვაგვარი დახმარების მიღების საქმეც. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრმა, სას.-სამეურნეო ბანკმა, მიწათმოქმედების კომისარიატმა და სხვა დაინტერესებულ ორგანოებმა ამ მხრივ უნდა გადადგან ენერგიული ნაბიჯები.

კოლმეურნეობები უნდა გადაიქცნენ სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო ერთეულებად, რომლების გარშემო მთელი გლეხობა მოიყრის თავს, რომლებიც მას წააქეზებს თავის ინდივიდუალურ მეურნეობის განსაზოგადოებისაკენ. სისტემატიური ხელმძღვანელობით, სათანადო იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობით, კოლმეურნეობათა მატერიალურ ბაზისის გამაგრებით ჩვენ ამ ამოცანას გადავჭრით.

უმთავრესი ამოცანები პურის ბაზარზე

პურის დამზადების მსვლელობა და პურის ბაზრის მდგომარეობა მუშათა კლასის ფართო მასების ყურადღებას იპყრობს. აქ მოულოდნელი არაფერია. ჩვენმა ქვეყანამ სწორედ პურის დამზადების საქმეში განიცადა ყველაზე უფრო მწვავე კრიზისი, რომელიც მთელ მეურნეობას ემუქრებოდა. სავსებით გასაგებია, რომ პარტიის ყველა დადგენილება პურის დამზადების დარგში პოლიტიკის მთავარ ხაზებთან არის დაკავშირებული. წარმატება პურის დამზადების ფრონტზე მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებისა და საერთო პოლიტიკის ხაზის სისწორის მომასწავებელი იქნება.

უაღრესი ყურადღება პურის დამზადებისადმი გამოწვეულია აგრეთვე პურის ბაზრის კრიზისით, რომელსაც ადგილი აქვს ამ ბოლო დროს და რომელიც, როგორც ჩანს, კიდევ გაგრძელდება უახლოეს კვირეების და, შეიძლება, თვეების განმავლობაშიაც. პურის მომარაგების ამოცანა ისე მწვავედ იდგა, რომ პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად საჭირო გახდა 15 მილიონი ფუთი ხორბლის შემოტანა (სათესლედ და საკვებად) უცხოეთიდან.

ამჟამად, რა თქმა უნდა, ნაადრევია რაიმე დასკვნის გამოყვანა პურის დამზადების იმ პოლიტიკის პრაქტიკული შედეგების შესახებ, რომელიც ცეკას ივლისის პლენუმმა შეიმუშავა. პარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს პურის ფასების გადიდება. ამ გადიდების პრაქტიკული შედეგი უფრო დაგვიანებით გამოაშკარავდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პურის დამზადების ახალი კამპანიის დასაწყისში ვიმყოფებით, მაინც აღინიშნა ზოგიერთი დამახასიათებელი ტენდენცია, რომელთა ყურადღებით შესწავლა ამთავითვე საჭირო.

გაბატონებულ დადებით ტენდენციას პურის ბაზარზე წარმოადგენს დაბრკოლებათა შემცირება და პურის ბაზრის მდგომარეობის გაუმჯობესება. უმნიშვნელო ციფრები ივლისის განმავლობაში დამზადებული პურის რაოდენობის შესახებ არავითარ შემთხვევაში არ ამართლებენ ამ საერთო დასკვნას. ივლისში გაცილებით უფრო ნაკლები პური დამზადდა, ვიდრე ივნისში—მხოლოდ 24,7 პროცენტი იმ რაოდენობისა. რაც ივნისში დამზადდა. დამზადების გეგმა ივლისში მხოლოდ 18 პროცენტით შესრულდა. ციფრები მართლაც რომ არა სანუგეშოა. მაგრამ ამ ციფრების მიხედვით არ შეიძლება არავითარი დასკვნების გამოყვანა არც პურის ბაზრის უახლოესი პერსპექტივებისა და არც პარტიის მიერ მიღებული პოლიტიკის შედეგების შესახებ. დამზადების სისუსტე ივლისში აიხსნება მრავალი სპეციფიური მიზეზით, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პურის დაგვიანებით დამწიფება და, მაშასადამე, მისი დაგვიანებით აკრეფა და აგრეთვე რამდენადმე ცუდი მოსავალი უკრაინაში, ე. ი. იმ რაიონში, რომელსაც უფრო ადრე გააქვს პური ბაზარზე. მაგრამ დამზადების მსვლელობა უკანასკნელ ხუთ დღეულებში გვიჩვენებს გარკვეულ გარდატეხას მთელ საბჭოთა კავშირში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ყველგან გამოცოცხლდა პურის ბრუნვა და გაიახლდა და გამოცოცხლდა პურის ბაზრები. სხვადასხვა ადგილებიდან იუწყებიან პურის ფასების მნიშვნელოვან დაცემაზე. ეს მოვლენები—ადგილობრივი პურის ბრუნვის გამოცოცხლება და პურის თავისუფალი ფასების საგრძნობლად დაცემა—შეიძლება ტიპიურ მოვლენად ჩავთვალოთ. ამ მნიშვნელოვანი მოვლენების მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ პურის ბაზრის უახლოესი პერსპექტივების შესახებ. ამგვარად, ფაქტია, რომ სერიოზულად შენგრეული აქვს კედელი „ფასების კულაკურ პოლიტიკას“, რომელიც პურის ფასების მაქსიმალურ გადიდებას ისახავს მიზნად. პარტიის პოლიტიკა ამჟამადაც უკვე გამართლებულია ამით.

ადგილობრივი პურის ბრუნვის განვითარება და პურის ბაზრების გამოცოცხლება ძირ-ძირობით აფერხებენ სახელმწიფო გეგმიან დამზადებას. მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენ ოდნავ მაინც უნდა შევასუსტოთ ამ ადგილობრივი ბრუნვის განვითარება. პირიქით, უფრო მეტის ენერგიით უნდა გავატაროთ პარტიის დირექტივები პურის ბაზრების გამოცოცხლების და ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ. სწორედ ადგილობრივი ბრუნვის გამოცოცხლება გადაიქცევა მომავალში მკვიდრ ბაზად სახელმწიფო გეგმიანი დამზადების განვითარებისათვის.

ჩვენს ამოცანას ამჟამად წარმოადგენს ის, რომ საბოლოოდ მოვსპოთ კულაკური და სპეკულიანტური ფასები პურზე და წარსული თვეების განმავლობაში თავისუფალ და სახელმწიფო პურის ფასებს შორის არსებული განსხვავება. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პურის დამზადების ოპერაციების ფართო განვითარების დასაწყისის დროს ჩვენი ფასები ნორმალური საბაზრო ფასებად იქცეს.

ამ კონკრეტულ მაგალითზე მკაფიოდ აშკარავდება, როგორ ორგანიზაციულად არიან დაკავშირებულნი პარტიის ნორმალური ღონისძიებანი პურის დამზადების ბაზარზე კულაკის შემოტევის გაძლიერებასთან და ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეთოდებთან. პარტიამ გადაჭრით უარყო იძულებითი და საგანგებო ზომები პურის დამზადების საქმეში. პურის დამზადების ახალი კამპანია უნდა ჩატარდეს ნორმალური ღონისძიებებით. მაგრამ სწორედ ნორმალური ღონისძიებების განხორციელება გულისხმობს კონტრშეტევას „ფასების კულაკურ პოლიტიკის“ წინააღმდეგ, რომლითაც კულაკი ცდილობს გაიყოლიოს გლეხური მასები, და გაბედული სისტემატიური შეტევის გაგრძელებას კულაკის წინააღმდეგ. სოფლის ძირითად მასას—საშუალო გლეხობას პარტიამ დაუთმო პურის ფასების გადიდებით, მაგრამ ამავე დროს იგი, ჩვენი დამამზადებელი ორგანოების ძლიერი მთლიანი ფრონტის შეტევით, ენერგიული მოქმედებით და ჩვენს განკარგულებაში არსებული ბერკეტების მოხერხებულად გამოყენებით, ებრძვის სპეკულიატიურ და კულაკურ ფასებს. ამაში გამოიხატება მტკიცე ბოლშევიკური პოლიტიკის გატარება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დეფექტებს, რომელნიც პურის დამზადების ახალ კამპანიაში გამოაშკარავდნენ. ჩვენს პრესაში მოყვანილი იყო მრავალი მაგალითი იმის შესახებ, რომ პურის დამამზადებელ ორგანოებს შორის,—უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოებს შორის—ყოვლად უმსგავსო კონკურენციას აქვს ადგილი. სხვადასხვა ადგილებიდან იუწყებიან, რომ კოოპერაცია იტყუებდა გლეხს დაპირებით, რომ სამრეწველო საქონელს მიაწოდებდა და ეუბნებოდა, რომ მხოლოდ მას აქვს ამის შესაძლებლობა. ადგილი აქვს აგრეთვე პურით დატვირთული გლეხების ურმების გაჩერებას და სხვა სისაძაგლეს, რომლებიც ასე ბლომად „ამკობდნენ“ პურის დამზადების კამპანიას შარშან. სავსებით ცხადია, რომ ეს სისაძაგლენი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. კონკურენცია კოოპერაციასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის უნდა მოისპოს. უყოყმანოდ უნდა განხორციელდეს კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების მთლიანი ფრონტი კულაკისა და კულაკური ფასების წინააღმდეგ და ბაზრის ნორმალური განვითარებისა და ნორმალური ფასებისათვის. ამასთანავე საქმის გაძღოლა მაქსიმალური მომჭირნეობით და მთელი აპარატის მაქსიმალურად იაფი მუშაობა წარმატების უმთავრეს პირობას წარმოადგენს.

ახალი მოსავალი, როგორც ვიცით, რამდენადმე სჭარბობს შარშანდელ მოსავალს. მაგრამ ამ მეტად დადებითმა გარემოებამ ოდნავადაც არ უნდა დაჩრდილოს ის მეტად რთული მომენტები, რომლებიც თან ახლავენ ამ დამაკმაყოფილებელ მოსავალს. დიდ სირთულეს იწვევს ის გარემოება, რომ წელს კარგი მოსავალია აღმოსავლეთ რაიონებში. ამიტომ დამამზადებელი ორგანოების ამოცანას შეადგენს — შეიჭრან ამ ახალ რაიონებში და მოაწყონ ფართო ქსელი.

ამასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივად რთულდება აგრეთვე სამრეწველო საქონლის მიზანშეწონილად განაწილების საქმე საბჭოთა კავშირის მთავარ რაიონებში. პურის დამზადების წარსული კამპანიის მარცხის ერთ-ერთ მეტად სერიოზულ მიზეზს წარმოადგენდა სამრეწველო საქონლის მარაგის არა სწორი და შემცდარი განაწილება ქალაქსა, სოფელსა და ცალკე რაიონებს შორის. წელს სამრეწველო საქონლის განაწილება უნდა მოხდეს უფრო ორგანიზაციულად და გეგმაშეწონილად. ამით შეიქმნება ერთ-ერთი არსებითი წინასწარი პირობა პურის დამზადების ოპერაციების წარმატებით განვითარებისათვის. სხვადასხვა ადგილებში მოსავლის აკრეფის შემდეგ უკვე იმატა მოთხოვნილებამ. ამიტომ არც ერთი დღე არ უნდა დავკარგოთ, საჭიროა სასწრაფოდ მივაწოდოთ სოფელს საქონელი და ეს მიწოდება დავუკავშიროთ პურის დამზადების ოპერაციებს.

ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამრეწველო საქონლის დამზადების გაძლიერებას. ამ უკანასკნელ ერთი-ორი თვის განმავლობაში რამდენადმე შესუსტდა მრეწველობის მუშაობა. დასახული ამოცანები და გეგმები არ სრულდება სავსებით. ეს დაუშვებელია. ყოველგვარი დაუდევრობა ამ დარგში გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას. ახალ მოსავალს სამრეწველო საქონლის არსებული მარაგი უნდა დავახვედროთ.

ყველა ორგანოს გულდასმითი და შეთანხმებული მუშაობა პარტიის დირექტივების მიხედვით დასძლევს ახალი კამპანიის დაბრკოლებებს, ხელს შეუწყობს მოსავლის წარმატებით რეალიზაციას და სოფლის ღარიბ და საშუალო ფენებთან კავშირის განმტკიცებას.

„პრავდა“, 14 აგვისტო.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მოწინავე წერილში გაპარულია კორექტურული შეცდომა, რომელიც სავსებით ამახინჯებს აზრს: მეორე სვეტის მესამე აბზაცში დაბეჭდილია: „...ბაუერი ამბობს: „არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქო ჩვენი უთანხმოებები ბოლშევიკებთან ამაგრებენ ინგლისის მუშების მტრულ პოზიციებს საბჭოთა კავშირის მიმართ“-ო; უნდა იყოს: „...ინგლისის **მთავრობის** მტრულ პოზიციებს და სხვა

პოლონეთის ლეგიონერთა დემონსტრაცია მარცხით დამთავრდა

ვილნოში ჩავიდა ერთა ლიგის წარმომადგენელი

ჩჟან-სიუე-ლიანს განზრახვა აქვს უარყოს შეთანხმება ნანკინთან

კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების წარმომადგენელთა პროტესტი მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ

ლეგიონერთა დემონსტრაცია მარცხით დამთავრდა

ვილნო, 13 აგვისტო. ლეგიონერებმა წელს ყრილობისათვის ვილნო აირჩიეს პოლიტიკური დემონსტრაციის მიზნით. მაგრამ ეს დემონსტრაცია, ეჭვი არ არის, მარცხით დამთავრდა. ვილნო უმთავრესად დასახლებულია ეროვნული უმცირესობით, ამიტომ ქალაქი ზეიმს გულგრილად შეხვდა. რაც შეეხება თვით ლეგიონერთა სულიერ განწყობილებას, აშკარა იყო, რომ წინანდელი ერთობა აღარ არსებობდა. პილსუდსკის გამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ მისმა სიტყვამ, რომელიც მხოლოდ მოგონებებს შეიცავდა, ყველას იმედი გაუცრუა.

ზეიმს დაესწრო 22 უცხოელი ჟურნალისტი. განსაკუთრებული სენსაცია გამოიწვია ლიტველი ჟურნალისტების მოსვლამ. ისინი პირდაპირ პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე გადმოვიდნენ, რაც პირველი შემთხვევაა. ამ გარემოებას მთელი პოლონური პრესა აღნიშნავს. უნდა ითქვას, რომ ლიტველი ჟურნალისტები ვილნოში ვოლდემარასის პირადი ნებართვით მოვიდნენ.

პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო მათ პოლონეთში შესვლის ნებას არ აძლევდა. ლიტველმა ჟურნალისტებმა ითხოვეს ინტერვიუ პილსუდსკისთან, მაგრამ უარი უთხრეს. პილსუდსკის მაგიერ მათ ესაუბრა გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის უფროსი გოლუვკო. მან განაცხადა: „ყველა ცნობა პოლონეთის ჯარების კონცენტრაციის შესახებ მოჭორილი ამბავია. პოლონეთი თანახმაა განაგრძოს მოლაპარაკება ლიტვასთან კენიგსბერგში, თუ ლიტვას არ შეუძლია მოლაპარაკების წარმოება ჟენევაში“ (ადს).

ერთა ლიგის წარმომადგენლის ჩამოსვლა ვილნოში

ვილნო, 13 აგვისტო. პოლონეთის ლეგიონერთა ყრილობის დღეს ვილნოში ჩამოვიდა ერთა ლიგის წარმომადგენელი **ჟორჟ ოტლიკი.** მისი ჩამოსვლა გამოიწვია ლიტვის მთავრობის განცხადებებმა პოლონეთის მზადების შესახებ (ადს).

მოლაპარაკება პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის შესახებ

ბერლინი, 13 აგვისტო. ცენტრის ორგანო „გერმანია“-ს ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამჟამად „დასავლეთ ევროპის ხელმძღვანელ სახელმწიფოთა“ მთავრობებს შორის მოლაპარაკებაა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სესიაზე პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გამო (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

იაპონიის ზეგავლენით

ტოკიო, 14 აგვისტო. იაპონიის პრესა იუწყება: ჩჟან სიუ-ლიანი ხელახლა აპირებს ნანკინთან შეთანხმების უარყოფას, რადგან მუკდენის მთავრობას იაპონიის გენერალურმა კონსულმა ხაიასიმ ენერგიული პროტესტი განუცხადა.

„ტოკიო ასახი“ იუწყება: **იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს აზრით, თუ მუკდენის მთავრობა უარჰყოფს შეთანხმებას, მუკდენსა და ნანკინს შორის კონფლიქტი აუცილებელია. ამ შემთხვევაში შეიძლება სამხრეთელებმა საკითხის გადაწყვეტა სამხედრო ძალით სცადონ. მაშინ იაპონია,, გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვით, მუკდენს დაეხმარება, რადგან ამას მოითხოვს „მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი აღმოსავლეთის სამ პროვინციაში“** (ადს).

გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 13 აგვისტო. გაიფიცა ჩინეთის საავთიაქო მაღაზიების 4.000 მოსამსახურეზე მეტი. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას (ადს).

იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის მისია

პარიზი, 13 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ შანხაიდან: იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელსაც დავალებული აქვს კელოგის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა პარიზში,, დაევალა გამოარკვიოს საფრანგეთის, ინგლისის და შეერთებული შტატების განზრახვანი ჩინეთის მიმართ (ადს).

ბაი ცზუნ-ჩის მხარეზე

პეკინი, 13 აგვისტო. ფინფურის რაიონში დაბანაკებული გირინ-შანდუნის რამდენიმე ათასი ჯარისკაცი ბაი ცზუნ-ჩის მხარეზე გადავიდა და მის არმიაში ჩაირიცხა.

„შუნ-ტიან-ში-ბაოს“ ცნობით, შანხაი-გუანის რაიონში დაბანაკებული ჯარის 400 თეთრგვარდიელი ჯარისკაცი სამსახურიდან დაითხოვეს და ხარბინში გაგზავნეს (ადს).

იოსიზავას განცხადება

პეკინი, 13 აგვისტო. იაპონიის ელჩმა ჩინეთში **იოსიზავამ** პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: იაპონია ცდილობს ნანკინის, ხანკოუს და ცზინანის ინციდენტის მოგვარებას, როცა კი ეს შესაძლებელი შეიქნება.

ხელშეკრულებათა გადათვალიერების შესახებ იოსიზავამ სთქვა, რომ „არც ერთ მხარეს არ სურს გულხელდაკრეფილი იჯდეს და გაურკვეველი დროის განმავლობაში უხელშეკრულებოდ დარჩეს“. (ადს).

იაპონია ჯიუტობს

პეკინი. 13 აგვისტო. იაპონიის სააგენტო „ტოხო“ იუწყება: იაპონიის გენერალურმა კონსულმა მუკდენში ხაიასიმ ჩჟან-სუე-ლიანს განუცხადა: „იაპონიას არ შეუძლია იცნოს სამხრეთისა და ჩრდილოეთის შეთანხმება; იგი ვერ დათანხმდება რევოლიუციონური დროშის აღმართვას აღმოსავლეთის სამ პროვინციაში იმ დრომდე, სანამ სამხრეთ ჩინეთში მკვიდრი, დაწყნარებული პოლიტიკური მდგომარეობა არ დამყარდება“. ჩან-სიუე-ლიანმა უპასუხა: „ახლა, როდესაც მანჯურიის საზოგადოებრივი აზრი სამხრეთთან შეთანხმებას მიემხრო, იაპონიის საქციელი მას მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს“. ამ საუბრის შემდეგ ხაიასიმ ტოხოს კორესპონდენტს განუცხადა:

„მე ვფიქრობ, ჩჟან-სიუე-ლიანი დახთანხმდება სამხრეთთან შეთანხმებას. ამ შემთხვევაში იაპონიას მხოლოდ ის ღა დარჩება, რომ განაგრძოს მოქმედება ერთხელვე აღებული გეზით“ (ადს).

„ორგანიზაციების თავისუფლება კანონის ფარგლებში“

შანხაი, 14 აგვისტო. გომინდანის აღმასკომის პლენუმის სხდომაზე გადასწყდა, „მიეცეს ხალხს ორგანიზაციების სრული თავისუფლება კანონის ფარგლებში“. ყველა ახლად შექმნილ ორგანიზაციას გომინდანი უნდა ხელმძღვანელობდეს და მთავრობა თვალყურს ადევნებდეს. შემდეგ პლენუმმა გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ შეუდგეს ჩინეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავებას.

ფინ-იუი-სიანი მონაწილეობას არ იღებს პლენუმის სხდომებში, თუმცა მან პლენუმს წინადადებანი წარუდგინა „მასების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ შანხაის შიდმა უდიდესმა პროფკავშირმა პლენუმს გადასცა პეტიცია, რომელშიაც სთხოვს ზომების მიღებას მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (ადს).

მეორე ინტერნაციონალის კონგრესის შემდეგ

საიდუმლო თათბირი

ბერლინი, 13 აგვისტო. ბრიუსელიდან იუწყებიან: მეორე ინტერნაციონალის კონგრესის დახურვის წინ გაიმართა საიდუმლო თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღო სპეციალურმა კომისიამ ლონგეს თავმჯდომარეობით და გომინდანის ორმა წარმომადგენელმა. მოლაპარაკების შინაარსს საიდუმლოდ ინახავენ. (ადს).

„მემარცხენეებს“ იმედი გაუცრუვდათ

ბერლინი, 13 აგვისტო. მემარცხენე სოციალ - დემოკრატიულ პრესას იმედი გაუცრუა მე-2 ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესმა, რადგან კონგრესზე გამოაშკარავებული ცხადი სოციალ - იმპერიალიზმი ხელს უშლის მემარცხენეებს, რომ რეფორმისტული საქმეები რადიკალური ფრაზების ბურუსში გახვიონ.

„ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგი“ სწერს: „ვიდრე სოციალისტური პარტია ომის საკითხის გარშემო დიპლომატიურ დისკუსიაში იქნება გართული და იმსჯელებს „თავდაცვითი“ და „შეტევითი“ ომის შესახებ, მანამდე უნდა მოველოდეთ იმ საფრთხეს, რომ **ახალი იმპერიალისტური ომის დროს სოციალ - დემოკრატიული მსოფლიო პროლეტარიატის სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს ჭაერევიან და ამოჟლეტენ**“. (ადს).

აღშფოთების დეკლარაცია

ბერლინი, 13 აგვისტო. ბრიუსელიდან იუწყებიან: კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების წარმომადგენლები, რომელნიც მეორე ინტერნაციონალის კონგრესს დაესწრნენ, როგორც სტუმრები, **დიდად აღშფოთებულნი არიან კონგრესის რეზოლიუციით კოლონიალური საკითხის შესახებ.** ინდოჩინეთის სტუდენტთა კავშირის, საფრანგეთში მცხოვრებ ჩინელი მუშების კავშირის, ევროპაში მყოფ ჩინელი სტუდენტების კავშირის და ჩრდილოეთ აფრიკის მუშათა ორგანიზაციის „ვარსკვლავის“ წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია:

„მეორე ინტერნაციონალმა დანიშნა საგანგებო კომისია, რომ მოესმინა კონტრ - რევოლიუციონური პარტიის გომინდანის წარმომადგენლებისათვის, ხოლო კოლონიალური ქვეყნების პროლეტარულ ეროვნულ - რევოლიუციონურ ორგანიზაციებს კი ბრიუსელის კონგრესზე არავითარი საშუალება არ მიეცათ, განემარტათ ნამდვილი მდგომარეობა კოლონიებში. ჩვენი მოვალეობაა, გავაფრთხილოთ დაჩაგრული ხალხები, რომ არავითარი თანამშრომლობა არ გასწიონ სოციალ - დემოკრატებთან იმ დრომდე, სანამ სოციალ-დემოკრატები არ განახორციელებენ რევოლიუციონურ - კლასობრივ პოლიტიკას. (ადს).

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები

მოწოდება ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციისათვის

ქაბული, 13 აგვისტო. დელიდან (ინდოეთი) იუწყებიან: ინდოეთის კონგრესის ბევრმა წევრმა, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ინდოეთის სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეებმა ხელი მოაწერეს და გამოაქვეყნეს მანიფესტი. მანიფესტი მოუწოდებს ყველას გამართონ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, ომისა რომელსაც ევროპის მმართველი კლასები ამზადებენ. მანიფესტში, სხვათა შორის, ნათქვამია: **„ინდოეთს არაფერი აქვს გასაკეთებელი ამ ომში, ვინაიდან საბჭოთა კავშირი, ავღანისტანი და ინდოეთის სხვა მეზობლები მისი მეგობრები არიან“** (ადს).

რევოლიუციონური მანიფესტაციები

ბერლინი, 13 აგვისტო. კვირას გერმანია-პოლონეთის და გერმანია-ლიტვის საზღვრების მახლობლად ბევრ ადგილას გაიმართა დიდი რევოლიუციონური მანიფესტაციები პოლონეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მანიფესტაციები მოაწყეს გერმანიის კომპარტიამ და ფრონტელების წითელმა კავშირმა. მანიფესტაციებში მონაწილეობა მიიღეს სანაპირო ზოლის მოსახლეობის დიდძალმა მასებმა.

კელოგის ხელშეკრულება

„კანონიერი თავდაცვა“

ანგორა, 13 აგვისტო. თურქეთის ოფიციოზი „მილიეტი“ კომენტარიებს უკეთებს კელოგის ხელშეკრულების ირგვლივ წარმოებულ მოლაპარაკებას, აღნიშნავს ინგლისის შენიშვნებს იმ რაიონების შესახებ, რომლებშიაც ინგლისი მოქმედების თავისუფლებას იტოვებს და სწერს:

„ეს ხელშეკრულება ხრულებით არ გვიახლოვებს მშვიდობიანობას. სახელმწიფოები ყოველთვის იარაღდებოდნენ „კანონიერი თავდაცვის“ მიზნით და მომავალშიაც შეიარაღდებიან“.

რუმინეთის ოფიციოზი ჩიჩერინის ინტერვიუს შესახებ

ვენა, 13 აგვისტო. რუმინეთის ოფიციოზმა „ენტეპანდანს რუმენ“-მა მთლიანად გამოაქვეყნა ჩიჩერინის განცხადება კელოგის ხელშეკრულების შესახებ.

გაზეთი ამ განცხადებას მოწინავე წერილში ეხება და სწერს:

„საბჭოთა კავშირმა დაიწყო საპროპაგანდო შეტევა მთელი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. მას სურს მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში კელოგის პაქტის შესახებ, რომ ისარგებლოს ახალი შემთხვევით კომუნისტური პროპაგანდისათვის“.

გაზეთი წინააღმდეგია, რომ საბჭოთა კავშირი მოიწვიონ კელოგის პაქტის ხელისმოწერაში მონაწილეობის მისაღებად (ადს).

გუვერის სიტყვა

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. გამოქვეყნებულია გუვერის სიტყვა, რომელშიაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ რესპუბლიკანური პარტია „ყოველთვის ხელს უწყობდა ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების აყვავებას“-ო. გუვერი ამომრჩეველებს ჰპირდება „სიღარიბის მოსპობასაც“ კი. გუვერი აქებს ამერიკის პროფკავშირებს, რომლებიც „არ ჰგვანან მუშათა მოძრაობას სხვა ქვეყნებში“-ო. მთელი სიტყვა წარმოადგენს ინდივიდუალიზმის შექებას და მკაცრ გალაშქრებას სოციალიზმის წინააღმდეგ. გუვერი თავის სიტყვაში სერიოზულად არც დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებს, გარდა სიტყვის იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება მაგარი სასმელების ამკრძალავ კანონს.

გუვერმა თავისი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა კალიფორნიაში, სიტყვა ერთდროულად იქნა გადაცემული 107 რადიო-სადგურის მიერ. სიტყვის გადაცემის ასეთი დიდი მასშტაბით ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში პირველად აქვს ადგილი (ადს).

კაპედევილის საქმე

პარიზი, 13 აგვისტო. გამომძიებელმა არ განთავისუფლა თავდებით **კაპედევილი** (კომუნისტი, დროებით ასრულებდა ივრის მერის მოვალეობას, დაპატიმრეს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციასთან დაკავშირებით). კაპედევილს ისე ექცევიან, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს. კაპედევილის საქმე გაირჩევა 14 აგვისტოს ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლად. მას აბრალებენ „პოლიციის აგენტების შეურაცხყოფას და ძალადობას მათ მიმართ“ (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

13 აგვისტოს დილის სხდომა

მოსკოვი, 14 აგვისტო. 13 აგვისტოს მოხდა საპროგრამო კომისიის სხდომა.

13 აგვისტოს პლენუმზე გაგრძელდა კამათი ამხ. **ბუხარინის** მოხსენების გამო კომინტერნის პროგრამის შესახებ.

ამხ. **დენგელმა** (გერმანია) აღნიშნა, რომ კომინტერნის მიერ პროგრამის დამუშავება ნიშნავს კომინტერნის თეორეტიული ბაზის საბოლოოდ შექმნას, რაიც საგრძნობლად გაადვილებს მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებათა გავრცელებას მთელ მსოფლიოს მუშებს შორის. დენგელი ფიქრობს, რომ პროგრამის ის ნაწილი, რომელიც მსოფლიო კაპიტალიზმს შეეხება, ძალიან მოკლეა, და საჭიროა მისი გაფართოება.

„სოციალ-დემოკრატები ამტკიცებენ, — სთქვა ამხ. დენგელმა,—რომ კომუნიზმი აზიური სოციალიზმია. ამის საწინააღმდეგოდ აუცილებლად საჭიროა პროგრამის ამ განყოფილებაში უჩვენოთ მარქსიზმის და ლენინიზმის მთლიანობა. უფრო დაწვრილებით უნდა იქნეს გაშუქებული სოციალ-იმპერიალიზმის როლი, აგრეთვე მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის როლი. პროექტში საკმაოდ არ არის დახასიათებული პროფკავშირული ბიუროკრატიის როლი. ბევრმა ამხანაგმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კამათში, სათანადოთ ვერ შეაფასა ფაშიზმი, სამაგიეროდ გადააჭარბა ბურჟუაზიისა და რეფორმიზმის უნარი მანევრების წარმოების საქმეში. ის კავშირი, რომელიც სოციალ-დემოკრატიის ზედაფენასა და მონოპოლურ კაპიტალს შორის არსებობს უფრო და უფრო აძულებს სოციალ-დემოკრატიას—დაიცვას კაპიტალის ინტერესები პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს კავშირი სოციალ-დემოკრატიას სოციალ-ფაშიზმის გზაზე აყენებს“.

შემდეგ დენგელმა გააკრიტიკა პროგრამის პროექტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მიწის ნაციონალიზაციას პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ.

„მე ვფიქრობ,—სთქვა ბოლოს დენგელმა,—რომ კომინტერნის კონგრესს შეუძლია დაამტკიცოს პროგრამის პროექტი საერთოდ და მთლიანად გადასცეს იგი განსაკუთრებულ კომისიას საბოლოო რედაქციისათვის“.

შემდეგ გამოვიდა ამხ. **სულთან-ზადე** (სპარსეთი), რომელიც შეეხო პროგრამის პროექტის იმ ნაწილს, სადაც ფინანსიურ კაპიტალზეა ლაპარაკი.

ამხ. **ალფონსომ** (ინდონეზია) ილაპარაკა პროგრამის ზოგიერთ ფორმულებზე, რომლებიც ჩინეთის რევოლუციას შეეხებიან.

ამხ. **ბრანდი** (პოლონეთი): „გაურკვევლობას ულტრა-იმპერიალიზმის საკითხის ირგვლივ—ადგილი აქვს ჩვენ რიგებშიაც, მაგალითად, პოლონეთში. შემცდარია ის წარმოდგენა, ვითომ კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიაში არ არის წარმოების ანარქია და თავისუფალი კონკურენცია. ასეთ წარმოდგენას მოსდევს შემცდარი დასკვნა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შესახებ. პროგრამის უდიდესი დამსახურებაა ეხლანდელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობისა და კომუნისტური პარტიების ამოცანების ანალიზი“.

ამხ. **შარბა:** „მე ვფიქრობ, აუცილებელია დაწვრილებით განვიხილოთ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი—სამხედრო კომუნიზმის საკითხი. ცხადია, მე ამ საკითხს ვსვამ არა იმ მოსაზრებით, რომ კომინტერნის სექციებს მივსცეთ სამხედრო კომუნიზმის აუცილებლობის პერსპექტივა. მე ვფიქრობ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ იძულებული ვიქნებით ხელისუფლების შესანარჩუნებლად მივიღოთ ისეთი ზომები, რომლებიც სამხედრო კომუნიზმს ახასიათებენ. მიწის განაწილება არ ეწინააღმდეგება სამხედრო კომუნიზმს. სამხედრო კომუნიზმი არ ნიშნავს აგრეთვე ვაჭრობის თავისუფლების აკრძალვას 100 პროცენტით“.

ამხ. **ხორაცი:** (ჩეხო-სლოვაკია) ეთანხმება პროგრამის პროექტს და აღნიშნავს, რომ საჭიროა შევსებულ იქნას პროგრამის პროექტის ის ნაწილი, რომელიც ეროვნულ საკითხს ეხება. ხორაცი აღნიშნავს, რომ ეროვნული საკითხი არ განისაზღვრება კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების საკითხით. ეს საკითხი დიდ როლს თამაშობს ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების შიგნითაც. ხორაცის აზრით, პროგრამაში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ ნაციონალურ უმცირესობას აქვს თვითგამორკვევის უფლება სრულ დამოუკიდებლობამდე.

ამხ. **უაინსტონი** (ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტ.) აღნიშნავს, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ტენდენცია ფაშიზმისაკენ. შესაძლებელია ცალკე ფაშისტური ჯგუფები, მათი სოციალური შინაარსის განსხვავების მიუხედავად, გაერთიანდნენ ფაშისტური დიქტატურის დასამყარებლად. კომინტერნის პროგრამის დახასიათება შეიძლება ერთი სიტყვით—ინტერნაციონალიზმით. საჭიროა უფრო მკვეთრად იქნას ჩამოყალიბებული ჩვენი თვალსაზრისი რასიულ საკითხში და მკაფიოდ აღინიშნოს, რომ ვიბრძვით რასიული ცრუმორწმუნეობის აღმოსაფხვრელად და რომ ყოველგვარი საშუალებით მხარს უჭერთ ფერად-კანიანი რასების განმანთავისუფლებელ ბრძოლას.

13 აგვისტოს საღამოს სხდომა

კომინტერნის კონგრესის 13 აგვისტოს საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ლოზოვსკი. გაგრძელდება კამათი კომინტერნის პროგრამის შესახებ.

პირველად გამოვიდა **რინგი** (პოლონეთი), რომელიც შეეხო ამხ. ბრანდის ზოგიერთ დებულებას.

შემდეგ გამოვიდა ამხ. **ლოზოვსკი,** რომელმაც სთქვა: პროგრამის პროექტში ძალიან ცოტა ადგილი აქვს დათმობილი პროფკავშირთა საკითხს. პროექტში არ არის რეფორმების, როგორც რევოლუციონურ ბრძოლის დამხმარე საშუალებების, ლენინისებური ჩამოყალიბება, არ არის რეაქციონურ პროფკავშირთა რაზმის სწორი განმარტება. მკაფიოდ არ არის ნათქვამი, რომ რეფორმისტულ პროფკავშირთა აპარატი არსებითად არის ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის გაგრძელება მუშათა კლასის შიგნით. გაშუქებული არ არის აგრეთვე პარტიისა და პროფკავშირთა ურთიერთობის პრობლემა. პროგრამის პროექტში შეტანილ უნდა იქნას ერთი ახალი თავი პროფკავშირთა მოძრაობის საკითხების შესახებ.

ამხ. **სემარი** (საფრანგეთი): „პროექტში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას რამდენიმე დამატება სოციალ-დემოკრატიისა და ფაშიზმის როლის შესახებ. საფრანგეთის დელეგაცია კატეგორიულად ილაშქრებს რენოუანის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, რომ მუხლი რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ შერბილებულ იქნას. საფრანგეთის დელეგაცია მიზანშეწონილად სცნობს, რომ პროგრამაში უფრო ვრცლად იქნას გაშუქებული სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში. პროგრამაში მოკლედ უნდა იყოს დახასიათებული მთლიანი ფრონტის მიზანი და ტაქტიკა. პროგრამაში გაშუქებულ უნდა იქნას ეროვნულ უმცირესობათა საკითხიც“.

ამხ. **არნო** (ინგლისი): „ინგლისის დელეგაცია სავსებით სწორად და აუცილებლად სცნობს, რომ პროგრამის პროექტში გამოყენებულ იქნას რუსეთის რევოლუციის მთელი გამოცდილება. ინგლისის დელეგაცია გადაჭრით უარჰყოფს იმ ამხანაგების კრიტიკას, რომლებიც პროგრამის პროექტს „რუსულს“ უწოდებენ. დელეგაცია მოითხოვს—პროექტი მიღებულ იქნას ზოგიერთი შესწორებით“

ამხ. **სიერა** (იტალია): „იტალიის დელეგაცია აუცილებლად სთვლის, რომ კომინტერნის სექციებმა ამ პროექტის მიხედვით დაამუშაონ საკუთარი, თავიანთი ქვეყნების თავისებურებასთან შეფარდებული, პროგრამები“.

ამხ. **კოლაროვი** (ბულგარეთი): „ბულგარეთის დელეგაცია საერთოდ ეთანხმება ამხ. ბუხარინის მიერ წარმოდგენილ პროექტს, მაგრამ არ ეთანხმება ამხ. ბუხარინის განცხადებას იმის შესახებ, რომ ბულგარეთი ეკუთვნის ისეთი ქვეყნების რიცხვს, სადაც ჯერ კიდევ მოსალოდნელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, როგორც პროლეტარული რევოლუციისაკენ გარდამავალი საფეხური. ბულგარეთის გლეხთა მასების შეკავშირება შეიძლება მხოლოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სოციალიზმის დასამყარებლად“.

ამხ. **დუნკერი** (გერმანია): „მე წინადადებას ვიძლევი პროგრამას უწოდოთ პროგრამა მანიფესტი და ამ პროგრამა-მანიფესტიდან გამოვყოთ მისი მოკლე პრინციპიალური შინაარსი, რომლის მოთავსებაც შეიძლებოდეს პარტბილეთში“.

ამხ. **მიკოლასი** (უკრაინის ს. ს. რ.): რამდენიმე ფორმულა პროექტში უფრო მკაფიოდ უნდა იქნას დამუშავებული; ასეთია, მაგალითად, მუხლი, რომელიც შეეხება მჩაგვრელი ერის პროლეტარიატის მოვალეობას—დახმარება აღმოუჩინოს დაჩაგრული ერების განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ამხ. **ნარაიანი** (ინდოეთი): ინდოეთის დელეგაცია გამოსთქვამს სურვილს, რომ ზოგიერთი მუხლი, რომელიც შეეხება კოლონიებს განსაკუთრებით ინდოეთს, უფრო მკაფიოდ იქნას ჩამოყალიბებული. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაესვას, იმას, რომ ინდოეთის ბურჟუაზიას არ შეუძლია გულწრფელად იბრძოლოს ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ნარაიანის სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა.

14 აგვისტოს გაიმართება კონგრესის ორი პლენარული სხდომა—დილით და საღამოთ. დღის წესრიგშია—ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა საპროგრამო საკითხებზე და კუუსინენის და ერკოლის მოხსენებანი კოლონიალურ საკითხზე.

საპროგრამო კომისიაში მიღებულ იქნა 900-ზე მეტი შესწორება, შენიშვნა და დამატება.

მოსკოვში ჩამოვიდა არტემის ოლქის მემაღაროეთა და მელითონეთა დელეგაცია, რომელიც მუშათა კრებებზე აირჩიეს კონგრესისათვის მისასალმებლად.

კონგრესის პრეზიდიუმს კვლავ მოსდის მრავალი მილოცვა მუშებისაგან. (დას).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის პრესა ლეგიონერთა ყრილობის შესახებ

მოსკოვი, 14 აგვისტო. „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი იუწყება, რომ ლეგიონელთა ყრილობას არ მოუვა ის პოლიტიკური სენსაციები, რომლებსაც მოელოდნენ, როგორც პოლონეთში, ისე განსაკუთრებით საზღვარგარეთ. მარშალი პილსუდსკი თავის სიტყვაში მხოლოდ გაკვრით შეეხო მთელ რიგ საყურადღებო პრობლემებს, რომელთა გარშემო ტრიალებს დღეს პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი. გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მარშალის საიდუმლოება გამოუაშკარავებელი დარჩა. გაზეთი „პშეგლონდ ვიეჩორნი“ სწერს, რომ პილსუდსკიმ არ სცნო საჭიროდ და დროულად გამოეაშკარავებია თავისი გეგმები.

პოლონეთის პრესა ხაზს უსვამს ერთ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ როგორც ლეგიონერთა ყრილობაზე გამოირკვა, ყველაზე უფრო მეტი პოპულარობით ამჟამად გენერალიტეტის შემადგენლობიდან სარგებლობს გენერალი რიდსმიგლი. ეს გენერალი ლეგიონერებმა ხელით ატარეს; მას საზოგადოდ განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდნენ.

ამიერ-კავკასიელები საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო სპარტაკიადაზე სიმაღლეზე ხტომაში მეოთხე ადგილი დაიჭირა ამიერ-კავკასიელმა მარცვალოვმა. ფარიკაობაში მესამე ადგილი დაიჭირა ამიერ-კავკასიელმა გოლოვნიამ.

150.000 ტრაქტორი სასოფლო-მეურნეობას

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო-საგეგმო კომისიის მიერ მიღებულია საკავშირო სახკომსაბჭოს დეკრეტის ფრიად საყურადღებო პროექტი სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა გატარების შესახებ. დეკრეტით გათვალისწინებულია მემინდვრეობის პროდუქციის საერთო რაოდენობის გაორკეცების აუცილებლობა უახლოესი ათი წლის განმავლობაში. ამ მიზნის განსახორციელებლად უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში უნდა ამუშავებულ იქნეს 150.000 ტრაქტორი. გარდა ამისა, უნდა იქნეს მიღებული ზომები მინდვრების უზრუნველსაყოფად ხელოვნური სასუქით. ხელოვნური სასუქით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პირველ რიგში ბამბის პლანტაციები. პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო განათლების რეორგანიზაცია.

ნორვეგიის კომუნალურ მუშაკთა დელეგაცია

მოსკოვი, 14 აგვისტო. მოსკოვში დაბრუნდა ნორვეგიის კომუნალური მუშაკთა დელეგაცია, რომელიც მოგზაურობდა საბჭოთა კავშირში. დელეგაციამ ინახულა ამიერ-კავკასიაც. დელეგაციის თავმჯდომარემ დეგორმა თქვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ დელეგაციას საუკეთესო შთაბეჭდილებები აქვს მიღებული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში და კერძოთ თბილისში მოგზაურობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

კომინტერნის მეექვსე კონგრესი

14 აგვისტოს დილის სხდომა

მოსკოვი, 14 აგვისტო. 14 აგვისტოს დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ლოზოვსკი.

კონგრესს მიესალმა საბჭოთა კავშირის სამხრეთიდან ჩამოსული მელითონეთა, მეშალაროეთა და სხვ. მუშათა დელეგაცია.

დელეგაცია წარმოდგენილია 18 უდიდეს საწარმოს 170.000 მეტი მუშის.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ვლასენკომ, კოზლოვმა, ზესონიმ, ნევეროვმა, ბოროდინმა და ვინოკუროვმა. საზოგადოება „ხელები შორს ბესარაბიისაგან“ სახელით კონგრესს მიესალმა ამხ. ხოლდკოვსკი.

კონგრესის პრეზიდიუმის სახელით მისალმების საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბელმა.

შემდეგ ამხ. ხისტიფორდი მიესალმა კონგრესს საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციის სახელით ამ მისალმებაზე უპასუხა ამხ. სემარმა.

შემდეგ საბოლოო სიტყვა კომინტერნის პროგრამის შესახებ წარმოსთქვა ამხ. ბუხარინმა, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ. სიტყვა გრძელდებოდა მთელი დილის სხდომის განმავლობაში (ადს).

—:—

ერთა ლიგამ უარყო ვოლდემარასის თხოვნა

კოვნო, 14 აგვისტო. როგორც იუწყებიან, ერთა ლიგის მდივანმა აცნობა ლიტვის მთავრობას, რომ მისი თხოვნა პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზის გამოკვლევის შესახებ უარყოფილია, რადგან ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს და მომხსენებელს პოლონეთ-ლიტვის საკითხის შესახებ არ მიაჩნიათ აუცილებლად ახეთი გამოკვლევა პოლონეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტების შემდეგ (ადს).

საიდუმლო დოკუმენტების დაკარგვა

ლონდონი, 13 აგვისტო. ინგლისის ოფიციალურ წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია სერიოზული საიდუმლო დოკუმენტების დაკარგვამ. სხვათა შორის დაკარგა ინგლისის დაზვერვის დოკუმენტები, ახალი გამოგონების გეგმები და სხვ. (ადს).

ჰამბურგის მეზღვაურთა გამარჯვება

ბერლინი, 13 აგვისტო. თევზის საჭერ გემების მეზღვაურთა გაფიცვა ჰამბურგში 18 დღის ბრძოლის შემდეგ დამთავრდა სამუშაო ხელფასის გადიდებით (ადს).

„ჩინეთში საბჭოთა საპროპაგანდო მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით“

ბერლინი, 13 აგვისტო. როგორც ცენტრის ორგანო „გერმანია“ იუწყება, ერთა ლიგის წრეებში განზრახვაა ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე ჩინეთი ხელახლა აირჩიონ ლიგის საბჭოში სამი წლის ვადით. ამ „კავშირის განმტკიცებას“ მიზნად აქვს „წინააღმდეგობის გაწევა საბჭოთა საპროპაგანდო მუშაობისათვის ჩინეთში“ (ადს).

სკუპშჩინაში

ვენა, 13 აგვისტო. ბელგრადიდან იუწყებიან: სკუპშჩინაში (სამხრეთ-სლავიის პარლამენტი) დამთავრდა კამათი მთავრობის დეკლარაციის შესახებ. მიღებულია რეზოლუცია მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების შესახებ. შემდეგ სკუპშჩინამ დაადგინა, გადასცეს სასამართლოს ორგანოებს რადიჩისა და სხვა დეპუტატების მკვლელი (ადს).

რადიჩის დაკრძალვა

ვენა, 13 აგვისტო. ბელგრადიდან იუწყებიან: რადიჩის დაკრძალვამ უინციდენტოდ ჩაიარა. პროცესიაში 100.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა (ადს).

ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ხარბინი, 13 აგვისტო. მანჯურიის თეთრგვარდიული პრესა კვლავ განაგრძობს ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე (სუნგარის რაიონში) ახალი კომერციული სააგენტოების გახსნის გამო, გაზეთი „ნან-სიუ-ნიპო“, სწერს: „კომერციული სააგენტოების გახსნის შემდეგ ადგილი აქვს რევოლვერების და სხვა იარაღის ფარულად გადაზიდვას გირინში“.

იაპონური ორგანო კომენტარიებს უკეთებს ამ მეორე გამოგონილ ამბავს და განაგრძობს: „იარაღის ფარულად გადაზიდვას კავშირი ხომ არ აქვს რაიმე მომავალ მოქმედებასთან“ (ადს).

უკმაყოფილებას გამოსთქვამენ

ბერლინი, 13 აგვისტო. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული წრეები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატ მინისტრები დასთანხმდნენ ჯავშნოსანის აგებაზე. მოითხოვენ ამ მინისტრების გადადგომას (ადს).

„ჩიკაგო ტრიბუნ“-ი განმარტავს კელოგის განცხადებას

პარიზი, 14 აგვისტო. განმარტავს რა კელოგის განცხადებას იმის შესახებ, რომ ომის აკრძალვის ხელშეკრულება ვაშინგტონში იქნება შენახული, „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს: „სარწმუნო ცნობებით კელოგის ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ მთავრობებმა, რომლებიც მოისურვებენ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღებას, ამის შესახებ უნდა აცნობონ შეერთებული შტატების მთავრობას. მაგრამ საბჭოთა კავშირისაგან ცნობა ამის შესახებ არ იქნება მიღებული უშუალოდ, თუ საბჭოთა კავშირი მოისურვებს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, მან უნდა მიმართოს მეორე სახელმწიფოს, რომელთანაც მასაც და შეერთებულ შტატებსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, რომ ამ სახელმწიფომ განაცხადოს ამის შესახებ საბჭოთა კავშირის სახელით“ (ადს).

„კრასინი“ ნორვეგიაში

პროფკავშირების დელეგაციები „კრასინზე“

ოსლო, 13 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „სტავანგერისა და მეზობელი რაიონების პროფკავშირთა დელეგაციებმა კვირას დაათვალიერეს ყინულისმჭრელი „კრასინი“. დელეგაციები მიიღო სამოილოვიჩმა. დელეგაციებმა აღტაცება გამოსთქვეს ყინულისმჭრელის მუშაობის გამო და სთხოვეს სამოილოვიჩს, გადაეცა მათი გულწრფელი სალამი საბჭოთა მუშებისათვის“. (ადს).

სათადარიგო ნაწილები ჩუხნოვსკის თვითმფრინავისათვის

სტოკჰოლმი, 13 აგვისტო. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ლენინგრადიდან მოსული საბჭოთა ჰიდრო-თვითმფრინავი გაფრინდა სტოკჰოლმიდან კინგსბეიში. თვითმფრინავზე სათადარიგო ნაწილებია ჩუხნოვსკის თვითმფრინავისათვის. (ადს).

სადილი ყინულის მჭრელ „კრასინ“-ის ეკიპაჟის პატივსაცემად

ოსლო, 13 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ორშაბათს სალამოთი სტავანგერის მუშათა ორგანიზაციებმა სადილი გამართეს ყინულის მჭრელ „კრასინ“-ის ეკიპაჟის პატივსაცემად. სანაპიროზე ეკიპაჟს ორგანიზაციების წარმომადგენლები ბაირაღებით და წითელი დროშებით დახვდნენ. გზაზე სანაპიროდან პროფკავშირთა სახლამდე ეკიპაჟს დიდძალი ხალხი ესალმებოდა.

სადილის შემდეგ ილაპარაკეს ნორვეგიის კომუნისტური პარტიის და ნორვეგიის მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა და აგრეთვე „იუმანიტე“-ს თანამშრომელმა, ფრანგმა ჟურნალისტმა.

ნორვეგიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა, ყოფილმა კომუნისტურმა დეპუტატმა, ეგედ ნისენმა თავის სიტყვაში სთქვა:

„ისინი, ვინც დახმარებას ითხოვდნენ საბჭოთა კავშირის მეგობრები არ იყვნენ. ისინი იყვნენ ფაშისტები, ჩვენი უდიდესი მტრები, მაგრამ „მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ექსპედიცია. იმ ნორვეგიელებისათვის, რომელნიც, შესაძლებელია, ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ჩვენ, ნორვეგიელებს, შეგვეძლო ნაყოფიერი მუშაობა პოლარულ ქვეყნებში, სასარგებლო იყო დაენახათ—რა მშვენივრად ჩაატარეს თავიანთი მუშაობა საბჭოთა ექსპედიციებმა. მუშათა კლასი ამაყობს თქვენით. ის, რაც თქვენ გააკეთეთ, უდიდესი ღვაწლია მსოფლიოს სასარგებლოდ, ეს ისეთი რამ არის, რომლის მსგავსიც ჯერ არ გაკეთებულა მსოფლიო ომის შემდეგ. თქვენ ხელი შეუწყეთ ანტი-საბჭოთა ფრონტის შესუსტებას, რომელიც ამჟამად, შესაძლებელია, გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე იყო როდესმე იმ პირველი ძნელი წლების შემდეგ, რომელიც თქვენ განიცადეთ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც, იმედია, ჩვენს ქვეყანაშიც განხორციელდება“.

ეგედის სიტყვა დამთავრდა ხანგრძლივი ტაშის ცემით.

ნორვეგიელების შემდეგ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სახელით ილაპარაკა „იუმანიტე“-ს თანამშრომელმა, ფრანგმა ჟურნალისტმა დონსელმა. დონსელმა „კრასინ“-ის ეკიპაჟს გადასცა საფრანგეთის მუშათა კლასის მხურვალე სალამი და იმედი გამოსთქვა, რომ „კრასინ“-ი გადაარჩენს ამუნდსენს და გილბოს.

ამ სიტყვების შემდეგ „კრასინ“-ის ეკიპაჟს გადასცეს ვერცხლის ვაზა ყვავილებით.

საპასუხო სიტყვით „კრასინ“-ის ეკიპაჟის სახელით გამოვიდა კომისარი ორასი, რომელმაც სთქვა: „ის მხურვალე თანაგრძნობა, რომელიც გვიძღვნა ჩვენ სტავანგერის მუშათა კლასმა, ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენი ლოზუნგი—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით—საუკეთესო ლოზუნგია მთელს მსოფლიოში“ (ადს).

სამოილოვიჩის სამძიმარი მალმგრენის დედას

ოსლო, 14 აგვისტო. პროფესორი სამოილოვიჩი, რომელიც სტავანგერიდან ჩამოვიდა, ტელეფონით ესაუბრა მალმგრენის დედას და მისი შვილის დაღუპვის გამო „კრასინ“-ის ექსპედიციის მონაწილეთა სახელით სამძიმარი გამოუცხადა. სამოილოვიჩმა განაცხადა: „საერთაშორისო მეცნიერებამ თქვენი შვილის სახით დაკარგა ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი, ხოლო შვეციის ხალხმა, თქვენთან ერთად—ერთ-ერთი საუკეთესო შვილი. თუ თქვენ რაიმე განუგეშებთ, დე თქვენთვის სანუგეშო იყოს ის, რომ თქვენთან ერთად მთელი ქვეყანა იზიარებს თქვენს ღრმა მწუხარებას. ნება მომეცით ერთხელ კიდევ გამოგიცხადოთ გულწრფელი თანაგრძნობა“.

მალმგრენის დედა ძლიერ [illegible] სამოილოვიჩის თანაგრძნობამ და თავისი მხრით გულითადი მადლობა გადაუხადა სამოილოვიჩს (ადს).

საფრანგეთის და ინგლისის ჯარის მანევრები

„უტაქტობა თუ პოლიტიკური აქტი“?

ლონდონი, 13 აგვისტო. „მანჩესტერ გარდიენი“ ეხება სამხედრო სამინისტროს პროექტს ინგლისის კავალერიისა და საფრანგეთის არმიის თანამშრომლობის შესახებ საფრანგეთის არმიის მომავალი მანევრების დროს რეინის ოლქში და კობლენცში: ინგლისის კავალერიის მონაწილეობა საფრანგეთის არმიის მანევრებში უბრალო უტაქტობაა, თუ მას რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს? თუ ინგლისის სამხედრო მინისტრი ამ საკითხში მოქმედებდა საკუთარის თაოსნობით, მაშინ იგი უნდა გაიკიცხოს, მაგრამ თუ მისი გამოსვლა დადასტურდა გარეშე საქმეთა მინისტრმა, მაშინ ხალხმა განმარტება უნდა მოითხოვოს (ადს).

გრანდიოზული საჰაერო მანევრები

ლონდონი, 13 აგვისტო. სამხრეთ ინგლისში 13 აგვისტოს დაიწყო გრანდიოზული საჰაერო მანევრები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებს რამდენიმე ასი სამხედრო აეროპლანი. მანევრები 18 აგვისტომდე გასტანს.

ლიტველი ჟურნალისტები პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 14 აგვისტო. „ალგემაინე ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტი ვილნოში ესაუბრა ლიტვის ჟურნალისტებს, რომლებიც ლეგიონერთა ზეიმზე დასასწრებლად ჩავიდნენ. კორესპონდენტის შეკითხვაზე—მოწმობს თუ არა მათი ჩასვლა ვილნოში ლიტვის პოლიტიკის შეცვლას,—ჟურნალისტებმა კატეგორიული უარყოფითი პასუხი გასცეს. ლიტვის ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ ლიტვაში არ სჯერათ, რომ ომი დაიწყება, მაგრამ არც ის სჯერათ, რომ ვილნოს საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყდება მეგობრულად. ლიტვის წრეების აზრით, პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულებაში კვლავ გამოურკვეველი მდგომარეობა გაგრძელდება.

შეკითხვაზე—მართალია თუ არა ხმები, რომ ვოლდემარასი პარიზში მიემგზავრება 27 აგვისტოსთვის,—ლიტვის ჟურნალისტებმა უარყოფითად უპასუხეს. ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ მათი ჩასვლა ვილნოში არავითარ ოფიციალურ რწმუნებებთან არაა დაკავშირებული (ადს).

საქმე სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევზე თავდასხმის შესახებ

ვარშავა, 14 აგვისტო. პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მოკლე ხანში დამთავრდება ვოიცეხოვსკის საქმის გამოძიება. პროკურორის წინადადებით სხვა ბრალდებულთა საქმის გამოძიება სწყდება მათ წინააღმდეგ რაიმე ბრალდებების უქონლობის გამო. მოკლე ხანში ვოიცეხოვსკის მთელი საქმე გადაეცემა პროკურატურას საბრალმდებლო საქმის შესადგენად, რომელიც მხოლოდ ვოიცეხოვსკის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამასთანავე გაზეთები იუწყებიან, რომ პროკურორმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მისცა წინადადება გადაასახლოს პოლონეთიდან ყველა ის პირი, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ ვოიცეხოვსკის საქმეში. პროკურორი ამ პირთ ახასიათებს როგორც პოლონეთისათვის მავნე პირთ და დაჟინებით მოითხოვს მათ გადასახლებას, რათა ამ გზით თავიდან იქნეს აცილებული მონარქისტული „აქტები“, რომლებიც ხელს უშლიან ნორმალურ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან. (ადს).

ომი ნიკარაგუაში

სანდინოს წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. გონდურასის მთავრობამ ნება მისცა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ქვეითა საზღვაო რაზმებს,—შევიდნენ გონდურასის ტერიტორიაზე (ნიკარაგუას საზღვრების ახლოს) სანდინოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დასაწყებად (ადს).

სხვადასხვა

ინკოგნიტო

ლონდონი, 13 აგვისტო. ამერიკის ნავთის კომპანიის ოილ-ნიუ-ჯერსის გამგეობის თავმჯდომარე ვოლტერ ტიგლი ამის წინად ინკოგნიტოდ ინგლისში ჩავიდა. ამ დღეებში ერთი გაზეთის თანამშრომელმა გაიგო, სად იმყოფებოდა ტიგლი. აღმოჩნდა, რომ ტიგლი „შვებულებაშია“ და სცხოვრობს შვეიცარიაში ინგლის-ჰოლანდიის ნავთის ტრესტის როიალ დეტჩ შელის მეთაურთან, ჰენრი დეტერდინგთან ერთად. ტიგლმა და დეტერდინგმა უარი განაცხადეს პრესის წარმომადგენლებთან საუბარზე (ადს).

არჩევნები ახალ მეჯლისში

თეირანი, 13 აგვისტო. არჩევნები ახალ მეჯლისში თითქმის ყველგან დამთავრდა. არჩეულ იქნენ მთავრობის მიერ დასახელებული კანდიდატები (ადს).

ბრძოლა კალიასთან

ულან-ბატორი, 13 აგვისტო. კაზანსკის ექსპედიციამ დაამთავრა მუშაობა კალიას მოსასპობად მონღოლეთის ჩრდილოეთ რაიონში, რომელიც საბჭოთა კავშირის საზღვართან მდებარეობს. მუშაობა 3.000 დესეტინაზე სწარმოებდა.

საბჭოთა კავშირში

პროექტების შემდგენელი ინსტიტუტი

მოსკოვი, 14 აგვისტო. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ნება დართო დაარსდეს ქვანახშირის მრეწველობისათვის მაღაროების მშენებლობის პროექტების შემდგენი სახელმწიფო ინსტიტუტი. ინსტიტუტმა უნდა იმუშაოს კომერციულ ანგარიშზე (ადს).

კონსტრუქტორ კალინინის აეროპლანი

ხარკოვი, 14 აგვისტო. ამას წინად დაამთავრეს უკრაინის ავიო-კონსტრუქტორის კალინინის ახალი აეროპლანი.

უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სამმართველომ გადასწყვიტა მისი გამოცდა სამგზავრო მიმოსვლისათვის.

12 აგვისტოს აეროპლანი გაფრინდა მოსკოვში ორი ავიატორით და ხუთი მგზავრით და იმავე დღეს ჩაფრინდა მოსკოვში. აეროპლანმა 4 საათისა და 55 წუთის განმავლობაში დაფარა 710 კილომეტრი (ადს).

უცხოელი ტურისტები

ლენინგრადი, 14 აგვისტო. წრეულს ზაფხულის განმავლობაში „სოვტორგფლოტ“-ის გემებით ჩამოვიდა 800 უცხოელი ტურისტი. საოკეანო გემებით „კაპ-პოლონიოთი“ და „ოკეანია“-თი, რომლებსაც ლენინგრადში მოელიან 15 აგვისტოს, ჩამოვა კიდევ 700, ხოლო სეზონის ბოლოსთვის არა ნაკლებ 1.500 ტურისტისა. რამოდენიმე ასეული ამერიკელი ჩამოვა ოქტომბრის დღესასწაულზე (ადს).

არქეოლოგიური აღმოჩენა

ტაშკენტი, 13 აგვისტო. ფერგანში სტუდენტმა ანბოევმა ერთ-ერთ საფლავის გათხრის დროს აღმოაჩინა ქვები, ლიტრები, და სხვ.

ნაპოვნი საგნები ორი ათასი წლისაა. აღმოჩენილი ნივთები გადაიგზავნება მატერიალური კულტურის აკადემიაში (ადს).

თბომავალი „კოტოვსკი“ და „ყირიმი“

ოდესა, 13 აგვისტო. შავი ზღვის სავაჭრო ფლოტის შესავსებად ჰამბურგიდან ოდესაში წამოვიდა თბომავალი „კოტოვსკი“, რომელიც გერმანიის გემთსაშენში არის აგებული. თბომავალი იმუშავებს ნიკოლაევის ან ხერსონის ხაზზე.

უახლოეს ხანში ჰამბურგიდან წამოვა თბომავალი „ყირიმი“, რომელიც დანიშნულია ყირიმ-კავკასიის საექსპორტო ხაზისათვის. (ადს).

ინგლისის ინტერვენციის მსხვერპლთა ძეგლი

არხანგელსკი, 13 აგვისტო. კუნძულ გულუმზე გაიხსნა ინგლისის ინტერვენციის მსხვერპლთა ძეგლი, ინგლისელებმა კუნძული გადააქციეს საკატორღო საპატიმროდ, სადაც დაიღუპა 800 კაცზე მეტი. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

მოსკოვი, 14 აგვისტო. გამოქვეყნებულ იქნა სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვოროშილოვის ბრძანება ბალტფლოტის ლაშქრობის შედეგების შესახებ. ბრძანება აღნიშნავს მუშაობის წესიერად ჩატარებას, ბრძანებათა სწრაფად და სისწორით შესრულებას და მნიშვნელოვან მიღწევებს ფლოტის სამხედრო მომზადების საქმეში. ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობის დისციპლინა სათანადო სიმაღლეზე სდგას. გემების მატერიალური ნაწილი კარგად არის დაცული. გემების მეურნეობაც გაუმჯობესდა. ლაშქრობამ გვიჩვენა, რომ გემების ბრძოლის უნარიანობა და სამხედრო მომზადება საგრძნობლად გაიზარდა. ბრძანება აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტს და წინადადებას იძლევა, ეს დეფექტები აცილებულ იქნან უახლოესი მუშაობის დროს. ამასთან ბრძანება მადლობას უცხადებს ფლოტის პირად შემადგენლობას. (ადს).

საზღვრითი ფასები

მოსკოვი, 14 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, შემოიღოს 15 აგვისტოდან პურის გამყიდავ ორგანიზაციებისათვის ხორბლის, ჭვავის და საწებებელი ფქვილის ბითუმად გასასყიდი საზღვრითი ფასები: ძირითად რაიონებში პურის არსებული ფასების შესანარჩუნებლად და პურის გამომცხობი ორგანიზაციებისათვის უზარალო მუშაობის პირობების შესაქმნელად, 15 აგვისტოდან შემოღებული იქნება ბონუსი (ფასდაკლება) იმ ფქვილის ბითუმად გასასყიდ ფასებზე, რომელიც ეძლევა შეკავშირებულ პურის გამომცხობ ორგანიზაციებს. ეს ბონუსი, სხვათა შორის, ვრცელდება ბაქოზე და როსტოვზე. გროზნოს და ტაგაიროგის ნავთის რაიონებზე საკავშირო რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს წინადადება მიეცა—არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ფასების აწევა ძირითადი ხარისხის გამომცხვარ პურზე. ფასის აწევა საჭიროების დროს შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ დაუნომრავ საკონდიტრო ნამცხვარზე. დანარჩენ რაიონებში, რომლებშიაც ბონუსი არ ვრცელდება, შეიძლება ჭვავისა და ხორბლის გამომცხვარი პურის ფასი აწევა, მაგრამ არა უმეტეს ერთი კაპიკისა კილოგრამზე. გამომცხვარი პურის ფასის ასეთი აწევა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემოწმებული იქნება პურის ცხობასთან დაკავშირებული ყოველი ხარჯი. არსებული გასასყიდი ფასების შესანარჩუნებლად იმ მნიშვნელოვან რაიონებში, სადაც ტრანსპორტზე მომუშავენი იმყოფებიან, ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო გაავრცელოს ბონუსი იმ ფქვილზე, რომელიც სატრანსპორტო სექციას ეძლევა ამ რაიონებში გასამცხობლად. ერთსა და იმავე პუნქტში სხვადასხვა ფასის დაწესება ფქვილზე და გამომცხვარ პურზე რკინის გზელებისა და სხვა სახის მრეწველობის მუშებისათვის დაუშვებელია. საკავშირო რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს და სავაჭრო განყოფილებებს წინადადება მიეცა—დააწესონ 13 აგვისტოდან იმ ფქვილის რაოდენობა, რომელიც უნდა მიეცეთ შეკავშირებულ პურის გამომცხობ ორგანიზაციებს 15 აგვისტოდან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ბაქოს ახალი ნავთსადგური

ბაქო, 14 აგვისტო. ბაქოში დაიწყო ახალი, დიდი ნავთსადგურის აგება—ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ნავთსადგურის უფროსმა ბალგლაიმ აცნობა მას, რომ 1923 წლიდან ბაქოს ნავთსადგური მეტად დატვირთულია. ნავთსადგურში არ არის მექანიზაცია, რის გამოც ტვირთების გადაზიდვა მეტად ძვირი ჯდება.

ჯერ კიდევ ორი წლის წინად დაისვა საკითხი ბაქოში ახალი ნავთსადგურის აგების შესახებ ორი განყოფილებით—ნავთისა და მშრალი ტვირთისათვის. ამ საქმის განხორციელებას შეუდგნენ ამჟამად. დაიწყო მუშაობა ახალი ნაპირის გასაკეთებლად, რომელსაც ექნება 120 მეტრი სიგრძე და 13 მეტრი სიგანე. აშენდება სამი ქვის პირსი (ნავთსაყუდელი) 300 მეტრის სიგრძით და 225 მეტრის სიგანით. მშრალი ტვირთის ფლოტისათვის გამოყენებულია პირსის ამერიკული ტიპი. პირსზე მოეწყობა რკინის გზის ლიანდაგი, რომელსაც კავშირი ექნება ხარისხებით გამნაწილებელ სადგურებთან და მექანიკურ საწყობებთან.

ნავთსადგური დაჯდება 6 მილიონი მანეთი და მისი აგება დამთავრდება 1933 წელში. (ადს).

ახალი ნავთსადგურის აგება კასპიის ზღვაზე

ბაქო, 14 აგვისტო. ბაქოს ნავთსადგურის სამმართველო შეუდგა ახალი ნავთსადგურის კედლის აგებას და მოწყობას კრასნოვოდსკის მახლობლად.

კარგად მოწყობილი ნავთსადგურის უქონლობა აფერხებდა მარილის დატვირთვას.

ნავთსადგურის აშენება დამთავრდება მიმდინარე წლის დეკემბერში. იგი დაჯდება 400.000 მან. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

საკავშირო ცაკის მიმართვა

მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებისადმი

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმი თავის მიმართვაში მოკავშირე რესპუბლიკების ც. აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადებას აძლევს ყოველნაირად შეუწყონ ხელი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციას, რისთვისაც სასწრაფოდ უნდა შეადგინონ სესხის რეალიზაციისათვის ხელის შემწყობი ცენტრალური კომისიები, რომლებშიაც შევლენ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების, სახალხო კომისარიატებისა და კოოპერაციის წარმომადგენლები.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს და აგრეთვე რესპუბლიკანურ კოოპერატიულ გაერთიანებებს წინადადება ეძლევათ მოაწყონ კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ კოლექტიურ ხელმოწერის კამპანიას მუშებსა და მოსამსახურეებს შორის. ადგილობრივ საბჭოებსა და აღმასკომებს უნდა მიეცეთ დირექტივები, რომ მათ მაქსიმალური დახმარება გაუწიონ საფინანსო ორგანოებს კამპანიის ჩატარების დროს. ამასთანავე ყველა აღმასკომთან უნდა მოეწყოს სესხის სარეალიზაციო კომისიები. საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომებმა სესხის კამპანიის გარშემო უნდა დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი სათანადო საკითხების მომზადებით პლენუმებსა და თათბირებზე, და სისტემატიურად გააშუქონ პერიოდულ პრესაში სესხის საკითხები. ადგილებს უნდა განემარტოს, რომ სოფლად მთავარი საორგანიზაციო და საგიტაციო მუშაობა ეკისრება სარაიონო და სათემო აღმასკომებს.

კამპანიის დასაწყისშივე სოფლად განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სესხის რეალიზაციას ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. ადგილებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ ყოველ წარმოება-დაწესებულებაში, რომელშიაც 50 მუშა-მოსამსახურეზე მეტია, აუცილებლად უნდა მოეწყოს სპეციალური კომისიები და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. კამპანიის განვითარების პროცესში ცენტრალურმა კომისიებმა პერიოდულად უნდა მოისმინონ ადგილობრივ საუწყებო ხელისშემწყობ კომისიების წარმომადგენელთა მოხსენებები, სისტემატიურად შეამოწმონ ცენტრალურ კომისიის გადაწყვეტილებათა და მითითებათა შესრულება, მოისმინონ საკალენდრო გეგმით დაწესებულ რიგის გარეშე მოხსენებები ადგილებიდან, სადაც კამპანია სუსტად მიმდინარეობს, ან მავნე გადახრას იჩენს. შემოიღონ ცენტრალურ კომისიის წევრების ადგილებზე მივლინების პრაქტიკა და წინადადება მიეცეს ადგილობრივ კომისიებს, რომ ისინიც ასე მოიქცნენ: ამასთანავე თემებისათვის (რაიონებისათვის) ინსტრუქციების უშუალოდ მისაწოდებლად ადგილებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ ქალაქის იმ პასუხისმგებელ მუშაკების მივლინება რომლებიც სამსახურის საქმეების გამო მიემგზავრებიან სოფლად (ადს).

ობლიგაციების პირველი პარტია

მოსკოვი, 14 აგვისტო. 15 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი სახელმწიფო ბანკიდან მიიღებს ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ობლიგაციების პირველ პარტიას და დაუგზავნის ადგილებს. ობლიგაციების პირველი პარტია გასაღდება ნაღდზე (და არა ნაწილ-ნაწილად გადახდით) უპირველეს ყოვლისა იმ სოფლებში, სადაც ობლიგაციების გაყიდვა ნაღდზე დროებითი ქვითარებით. კატეგორიულადაა აკრძალული ფინსახკომის მიერ (ადს).

სესხის ქრონიკა

ინდივიდუალური ხელისმოწერა

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის კამპანიის დროს გარდა კოლექტიური ხელის მოწერისა, იწარმოებს ინდივიდუალური ხელის მოწერაც, ინდივიდუალური ხელის მოწერა შეუძლიათ იმ მოქალაქეთ, რომლებიც შეკავშირებული არ არიან ამა თუ იმ ორგანიზაციაში. ინდივიდუალური ხელის მოწერა იწარმოებს როგორც ქალაქათ, ისე სოფლადაც. გარდა ხელის მოწერისა ობლიგაციები გაიყიდება ნაღდ ფულზედაც.

ინდივიდუალურათ ხელის მომწერს პირველ გადახდაზე 1928 წლის 1 ნოემბრამდე გადახდება მთელ ობლიგაციაში 7 მან. და 50 კაპ. (ობლიგაციის მეხუთედში—1 მან. 50 კაპ.), მეორე გადახდაზე—1 დეკემბრამდე—7 მან. და 50 კაპ. (ობლიგაციის მეხუთედში—1 მან. 50 კაპ.), მესამე გადახდაზე—1829 წლის 1 იანვრამდე—5 მან. (ობლიგაციის მეხუთედში—1 მან.) და მეოთხე გადახდაზე—1929 წლის 1 თებერვლამდე—5 მან. (ობლიგაციის მეხუთედში—1 მან.).

ხელის მოწერისა და პირველ გადასახადის შეტანის დროს ხელის მომწერს ეძლევა ქვითარი (სახელობითი ან უსახელო), მეორე გადასახადის შეტანის შემდეგ ხელის მომწერს ეძლევა ტალონი, რომელშიაც აღნიშნული იქნება მასზე მიმაგრებულ ობლიგაციის ნომერი.

პირველი გადასახადის შეტანის შემდეგ ხელის მომწერი სარგებლობს როგორც მოგებით, ისე სარგებლითაც.

ინდივიდუალურ ხელის მოწერას ქალაქებში მიიღებენ ყველა კონტრაგენტები, ხოლო სოფლებში სოფლის საბჭოები და სხვა დაწესებულებები.

ობლიგაცია ინდივიდუალურ ხელის მომწერლებს მიეცემათ 1929 წლის 1 თებერვლიდან. თუ ხელის მომწერმა მორიგი გადასახადი დროზე არ შეიტანა, იგი ჰკარგავს უფლებას ობლიგაციაზე და 1929 წლის 1 თებერვლის შემდეგ მას უბრუნდება შეტანილი თანხა. ასეთი თანხების უკან დაბრუნება იწარმოებს 1929 წლის 30 ივნისამდე. თუ ხელის მომწერმა ამ ხნის განმავლობაში არ მიიღო კუთვნილი თანხა, იგი ჰკარგავს უფლებას ამ თანხაზე, რომელიც 1929 წლის 30 ივნისის შემდეგ ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში.

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში გუშინ შესდგა სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ხაფარიანმა.

მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაში და შეიძინოს ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

10 პროცენტი ადგილობრივ საჭიროებისათვის

მაზრებში გასაღებული ობლიგაციების ღირებულების 10 პროცენტი გადაიდება ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ერთი თვის ხელფასი

13 აგვისტოს ფოსტა-ტელეგ. მთავარ კანტორაში შესდგა ფოსტა-ტელეგ. თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ხაფარიანმა გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

დასასრულ, კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია არის საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცების ერთად ერთი გარანტია. ამიტომ საბჭოთა ქვეყნის ყოველი პატიოსანი მოქალაქე, ვალდებულია გვერდში ამოუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას და თავისი წვლილის შეტანით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერის ზრდას.

ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლები სესხზე აწერენ ხელს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და მოუწოდებენ ყველა დაწესებულებების თანამშრომლებს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხისათვის გაიღონ ერთი თვის ხელფასი“.

შინამრეწველ-ხელოსანთა შორის

გუშინ შესდგა თბილისის შინამრეწველ-ხელოსანთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. გოდერძიშვილმა.

კრებამ დაადგინა, რომ თბილისის ყველა შინამრეწველი ხელოსნები იქნან ჩაბმული სესხში და თვითეულმა ხელოსანმა შეიძინოს ობლიგაციები არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა.

რკინის გზის სახელოსნოებში

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშათა თბილისის საბჭოს წევრებმა სესხზე ხელი მოაწერეს ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით.

როდის დაიწყება სესხის რეალიზაცია

ა. კ. ფინსახკომის განმარტებით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ოფიციალური რეალიზაცია დაიწყება ა. წ. 1 სექტემბერს და გაგრძელდება 1 ნოემბრამდე.

ვინ აწარმოებს რეალიზაციას

სესხის რეალიზაციაში ჩაბმული იქნებიან ფინანსთა სახ. კომისარიატის ორგანოები, სახელმწიფო ბანკი და მისი განყოფილებები, შემნახველი სალაროები, სას. სამ. და კომუნალური ბანკები, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები, საკრედიტო და სხვა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო კონტრაგენტები, რომელთაც გასამრჯელოდ მიეცემათ მათ მიერ გასაღებული ობლიგაციების ღირებულების ნახევარი პროცენტი.

საკავშირო სპარტაკიადა

საუბარი სპარტაკიადის გენერალურ მსაჯთან ამხ. მანცევთან

მოსკოვი, 14 აგვისტო. „საკავშირო სპარტაკიადის პოლიტიკური მნიშვნელობა,—სთქვა ამხ. მანცევმა,—უდიდესია, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ამავე დროს ამსტერდამში ოლიმპიადაზე შეიკრიბნენ ბურჟუაზიული სპორტო ორგანიზაციების ფაშისტური ძალები. იქ მოხდება მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული სპორტის ძალის დემონსტრაცია. ჩვენმა სპარტაკიადამ, წინააღმდეგ ფაშისტური ოლიმპიადისა, უნდა გვიჩვენოს საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მუშათა სპორტსმენების დარაზმულობა. ამით აიხსნება ის, რომ მიუხედავად გაძლიერებული აგიტაციისა ჩვენი სპარტაკიადის წინააღმდეგ, ლიუცერნის ყვითელ ინტერნაციონალში შემავალი მუშა სპორტსმენები მაინც ჩვენი სპარტაკიადისაკენ მოისწრაფიან. სპარტაკიადის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფიზკულტურის შემდგომი განვითარებისათვის. სპარტაკიადა უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენს ფიზკულტურას“.

სპარტაკიადის მესამე დღე

მოსკოვი, 14 აგვისტო. მოხდა შეჯიბრება ძალოსნობაში, ფეხბურთში, ცურვაში და სხ. ფეხბურთის მატჩი უკრაინის და ურუგვაის გუნდებს შორის უკრაინის გამარჯვებით დამთავრდა. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდმა მოუგო ცენტრალური სამრეწველო რაიონის გუნდს (7:1). ამანათრბენში ვაჟებისათვის მოსკოვმა უკრაინასთან ბრძოლაში გვიჩვენა 43:8 წამი, რაც ახალ საკავშირო რეკორდს წარმოადგენს. 800 მეტრზე რბენაში დენისოვმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—2 წუთი და 9 წამი. 500 მეტრზე რბენაში (ქალებისათვის) ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა გრადსკაიამ (მოსკოვი)—1 წუთი და 28,4 წამი. რბენა 500 მეტრზე (ვაჟებისათვის) სველ გზაზე მოიგო ფინელმა იახოლამ—15 წ. და 42,8 წამი. 60 მეტრზე რბენაში (ფინალი) გამარჯვებულნი გამოვიდნენ შამანოვი და ტიხონოვი (მოსკოვი), ხტოგოვი, ლასტოჩკა, მაკაროვი (ლენინგრადი) და ზუბენკო (უკრაინა).

წითელი არმიის ცენტრალურ სახლში მოხდა შეჯიბრება ფარიკაობაში. ფინალში გამოვიდა 12 კაცი. შეჯიბრება მოხდა აგრეთვე ესპადრონში. პირველი დღის შედეგები: ზახაროვი (ჩრდილო-კავკასია)—7 გამარჯვება, კლიმოვი (ჩრდილო-კავკასია)—6 გამარჯვება, გოლოვნია (ამიერ-კავკასია)—4 გამარჯვება, მარტინოვი (უზბეკისტანი)—4 გამარჯვება.

ცურვაში შეჯიბრების დროს, 400 მეტრზე, კიტაევმა (ლენინგრადი) დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—5 წუთი და 55 წამი. გვერდით ცურვაში 100 მეტრზე (ქალებისათვის) პირველი ადგილი დაიჭირა სვერდინოვამ (ლენინგრადი)—1 წუთი და 41,4 წამი. ცურვაში 100 მეტრზე (ვაჟებისათვის) გაიმარჯვა შუმინმა (ლენინგრადი)—1 წუთი და 26,2 წამი. შეჯიბრება ცურვაში 1.000 მეტრზე (ქალებისათვის) ჯერ არ დამთავრებულა.

ფეხბურთში ვოლგის მხარემ მოუგო თურქმენისტანს (6:0), ლენინგრადმა—უზბეკისტანს (9:0). ფეხბურთის მატჩი უკრაინა—ურუგვაი დამთავრდა უკრაინელთა სასარგებლოდ (3:2).

ტენისის შეჯიბრებაში ციმბირმა მოუგო თურქმენისტანს (11:0), ჩრდილო-კავკასიამ ცენტრალურ-სამრეწველო რაიონს (9:0).

ფრენბურთის შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის და ჩრდილო-კავკასიის ვაჟთა გუნდები, შემდეგ—ჩრდილო-კავკასიის ქალთა გუნდი და ამიერ-კავკასიის ქალთა გუნდი. პირველ შეხვედრაში გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვი (2:0), მეორეში ჩრდილო-კავკასია (2:0).

კალათბურთის შეჯიბრებაში სხვადასხვა გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია თურქმენისტანის შეხვედრა უკრაინასთან. თურქმენისტანის გუნდმა გაიმარჯვა ასეთი შედეგით 18:4. ეს მეორე გამარჯვებაა თურქმენისტანის კალათბურთელთა გუნდისა (ადს).)

სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიიღო მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელშიაც აღნიშნა სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების და, განსაკუთრებით, მისი მოსავლიანობის გაძლიერების საჭიროება. საჭიროდ არის ცნობილი გამომუშავებულ იქნეს ღონისძიებათა სისტემა მემინდვრეობის საერთო პროდუქციის ორჯერ გასადიდებლად უახლოესი ათი წლის განმავლობაში. სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დამუშავების დროს წმინდა ხარისხის თესლით უზრუნველყოფილ უნდა იქნას პურეულის ნათესის 50 პროცენტზე არა ნაკლები. ტეხნიკური კულტურებისთვის კი ეს პროცენტი 100-ს უნდა უდრიდეს.

ხუთი წლის დამლევისათვის ყოველ გადიდებულ თემში უნდა არსებობდეს აგრონომიული პუნქტი. პირველი საფეხურის სოფლის სკოლის პროგრამაში შეტანილ უნდა იქნენ აგრონომიული დისციპლინები. ყველა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში და პედაგოგიურ ტეხნიკუმში შემოღებულ უნდა იქნეს სრული აგრონომიული კურსი და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კურსი ისე, რომ სოფლის მასწავლებელი აგრონომის ფაქტიურ თანაშემწედ გადაიქცეს. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტდატვირთვის და ძალთა განაწილების შესახებ

(წერილი კახეთიდან)

როგორც პარტიის, ისე კომკავშირის მუშაობის სათანადოთ დაყენების ერთი მთავარი პირობა ძალების სწორი განაწილება და მათი გონივრულად გამოყენება არის. ერთის მხრივ ეს საკითხი თითქოს მოძველებულია, მაგრამ დღემდის არსებითად მოგვარებული არ არის. ამას ამტკიცებს ის აურაცხელი მაგალითები, რომელიც პრაქტიკულ მუშაობაში ხშირად გვხვდება ხოლმე.

როგორ ვიყენებთ ჩვენ პარტიის და კომკავშირის ძალებს? ძლიერ ცუდათ თუ არა, ყოველ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებლად მაინც. ეს ნაკლი რა თქმა უნდა მარტო ერთ რომელიმე ორგანიზაციას კი არ ახასიათებს, არამედ თითქმის საერთო მოვლენაა. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგიერთი ამხანაგი „თავიდან-ფეხებამდეა“ დატვირთული, ზოგიერთი კი მხოლოდ „სეირის მაყურებლის“ როლში გვევლინება?

მე ვლაპარაკობ უთავბოლო დატვირთვაზე და ძალთა არარაციონალურად გამოყენების შესახებ. კომუჯრედების უკანასკნელმა და კომკავშირის უჯრედების ბიუროთა მიმდინარე გადარჩევებმა, დაგვიმტკიცეს, რაზედაც ჩვენ ზემოდ ვლაპარაკობდით. მაგალითისთვის შეგვიძლია ქ. სიღნაღის კომუჯრედების და კომკავშირის უჯრედები დავასახელოთ. ამ უჯრედებში ამხანაგების ერთი წყება ისვენებდა, მეორე კი მუშაობდა. პირველს საუჯრედო მუშაობა წვრილმან საკითხად მიაჩნდა, მეორე კი ამ მუშაობის გაზრდასა და გაფართოებას სცდილობდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ დატვირთვის განაწილების დროს არ არის იმის გარჩევა, თუ რომელი ამხანაგი რომელ საქმეში მეტ ნაყოფს მოგვცემს, კომკავშირის უჯრედებზე სიღნაღში ორი კომუნისტი იყო მიმაგრებული. ისინი ერთი წლის განმავლობაში კომკავშირის ორ თუ სამ კრებას დაესწრნენ და შემდეგ კი, როცა ანგარიში მოსთხოვეს, განაცხადეს: „რა უნდა გაგვეკეთებინა რაც არ ვიცოდით ამ საქმისა და ჩვენ სულ არაფერი გვესმის“-ო. ასეთ მაგალითების გამრავლება კი ჩვენი თემის სხვა ორგანიზაციებიდანაც შეგვიძლია.

საჭიროა ამ არანორმალურ მოვლენებს მალე დაედოს საზღვარი. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს 9 მაისის დადგენილებაში პარტმუშაობის რაციონალიზაციის შესახებ ვკითხულობთ: „მაზრკომებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უჯრედებში პარტდატვირთვის თანაბრად განაწილებას და ამასთან დაკავშირებით დავალებულ საქმისადმი პერსონალურ პასუხისმგებლობის გაძლიერებას“, ხოლო საქ. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელი პლენუმის რეზოლიუცია კი აღნიშნავს, „პარტორგანიზაციების წინაშე სდგას აგრეთვე გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების გაძლიერება, პარტმუშაობისა და პარტაპარატის მთელი სისტემის რაციონალიზაციის ამოცანა“-ო.

მაზრკომებმა უნდა მიიღონ ზომები ამ დადგენილებათა განსახორციელებლად.

მ. ალაინ.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე კომისია

(ქუთაისი)

ქუთაისის სამაზრკომთან დაარსდა ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე კომისია.

ეროვნულ უმცირესობათა მნიშვნელოვან წილი ქუთაისში ებრაელობა შეადგენს, მაგრამ ებრაელებს გარდა არიან კიდევ აზერბეიჯანლები, ბერძნები და სომხები, რომლებიც თავიანთი კულტურული დონით და ყოფა-ცხოვრებით სპეციფიურ მხარეებით ძირითადი მოსახლეობისაგან საგრძნობლად განირჩევიან. ამიტომ ხსენებულ კომისიის მუშაობას დიდი ნიადაგი აქვს.

ჯერ-ჯერობით კომისიას ჰქონდა პირველი ორგანიზაციული სხდომა, სადაც განხილულ იქნა დებულება და ამ დებულების საფუძველზე შემუშავდა ზაფხულის პერიოდის სამუშაო გეგმა. გეგმაში კონკრეტიულად გათვალისწინებულია ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ მდგომარეობის, კულტურული დონის და ყოფა-ცხოვრების (ადათი, ჩვეულება. ოჯახური დამოკიდებულება) საკითხების გამოკვლევა-შესწავლა, ეს საშუალებას მისცემს კომისიას უფრო კარგად ჩააბას ეროვნულ უმცირესობათა მშრომელები, ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ს. მესხი.

კედლის გაზეთების გაჯანსაღებისათვის

(ლენრაიონი, თბილისი)

ლენრაიკომმა მოახდინა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის, რკ. გზის მთავარ სახელოსნოების, მთავარ სამსალო საწყობის და რკ. გზის სამმართველოს კედლის გაზეთების გამოკვლევა. გამოკვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ დიდი მიღწევები აქვს განსაკუთრებით სადგ. თბილისის და რკ. გზ. სამმართველოს კედლის გაზეთებს.

გამოკვლევის საფუძველზე რაიკომმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები კედლის გაზეთების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ეს წინადადებები დაამტკიცა რაიკომის პრეზიდიუმმა.

წინადადებების მიხედვით საჭიროა მოწესრიგებულ იქნას აღმზრდელობითი მუშაობა მუშკორთა შორის, სისტემატიურად ისმებოდეს მოხსენებები მუშკორთა მოძრაობის და ამოცანების შესახებ, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს მუშკორთა აქტივი და გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები.

კედლის გაზეთის ნომერი უნდა გამოდიოდეს ორკვირაში ერთხელ მაინც.

ამას გარდა, პარტუჯრედებმა უნდა გააძლიერონ იდეური ხელმძღვანელობა კედლის გაზეთების მუშაობაზე, რედკოლეგიებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიკავონ რაიკომთან რის საშუალებითაც მიღწეული იქნება გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნების ცხოვრებაში გატარება.

კატეგორიულად უარყოფილ იქნას—ნათქვამია აღნიშნულ დადგენილებაში,—გასინჯულ მასალების ვისთამე შეთანხმება, ეს ღონისძიება გამოაცოცხლებს კედლის გაზეთების მუშაობას.

ამას გარდა, გაზეთების მუშაობაში უნდა ჩაებათ ქალები და მუშა-ახალგაზრდობა. ვინაიდან ხშირად ადგილი აქვს მუშკორების ფარულ დევნას, ზომები უნდა იქნეს მიღებული დევნის შემთხვევების აღმოსაჩენად, რის შემდეგ უნდა მოეწყოს დამნაშავეთა საჩვენებელ გასამართლება.

მუშკორთა კონფერენციებზე უნდა დაისვას მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება.

სარედაქციო კოლეგიის წევრები განთავისუფლებულ უნდა იქნენ ყველა სხვა საზოგადოებრივ დატვირთვისაგან.

ჯ—ლი.

კიდევ ერთი „მოქელეხე“

(ხარაგოული, შორ. მაზრა).

კომუნისტური პარტია თავისი არსებობის დღიდან რელიგიურ ცრუმორწმუნეობის აღმოსაფხვრელად ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ანტირელიგიურ მუშაობას ამჟამად ექცევა. სარწმუნოებრივ მიმდინარეობათა გამოცოცხლებასთან დაკავშირებით თვითეულმა უჯრედმა და ცალკე კომუნისტმა უნდა გააძლიეროს შეტევა დრომოჭმულ რელიგიურ ადათ-წესების წინააღმდეგ.

მაგრამ სამწუხაროდ ყველა კომუნისტი როდი იზიარებს ამ შეხედულებას. რამდენიმე ხნის წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო წერილი ძირულის თემიდან, რომელიც პარტიის წევრების ბუხნიკაშვილისა და ოყრომაძის მიერ ქელეხის მოწყობას შეეხებოდა.

ეხლა კი პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი „მოქელეხე“—ხარაგოულის თემკომის მდივანი დათიკო დეკანოიძე. დეკანოიძეს ამას წინად გარდაეცვალა მოხუცი დედა, რომლის გასვენებაზე არაჩვეულებრივი ქელეხი გაიმართა. ქელეხის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი, რასაკვირველია დათიკო იყო. მხოლოდ თემკომის მდივანს, როგორც გავლენიან პირს, შეეძლო 16 ფუთი პურის „ქელეხის ფონდში“ გადარიცხვა, აბა „უბრალო“ კაცი ამას ხომ ვერ მოახერხებდა..

დათიკომ ქელეხში თემის ყველა პასუხისმგებელი მუშაკები მიიპატიჟა. სხვათა შორის ეს ქელეხი იმდენად „ორიგინალური“ იყო, რომ ტირილის მაგივრად მაგიდებზე სულ სიმღერა გაისმოდა და ხარაგოულის უჯრედის წევრთა ბოხი „მრავალჟამიერი“ არე-მარეს გუგუნით ავსებდა.

ასე და ამგვარად დათიკო დეკანოიძემ დედის გასვენებაზე უბადლო ქელეხის გამართვით ხალხში დიდი სახელი გაითქვა. მაგრამ საკითხავია: ჩვენ, ხარაგოულის მცხოვრებლებს რას გვერჩოდა, რომ მთელი დღე მშიერი დაგვტოვა? შეიძლება მას ძველი „მიკიტნური“ დრო გაახსენდა? ეს არც ისე გასაკვირია, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დათიკო ამავე თემში „მიკიტნის თანამდებობას“ ასრულებდა..

მეთვალყური.

კომკავშირში

როგორ ჩატარდება ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე

მოსამზადებელი მუშაობა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ჩასატარებლად დაიწყება 15 აგვისტოდან. კომიტეტებთან და უჯრედებთან ამ მიზნით სპეციალური კომისიები გამოიყოფა.

მსხვილ სამაზრო საოლქო ორგანიზაციებში დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარდება უპარტიო ახალგაზრდა ქალიშვილთა კონფერენციები, რომელთა ამოცანას მუშა და მოჯამაგირე ქალიშვილთა კომკავშირის რიგებში ჩაბმა შეადგენს.

აგვისტოს თვის განმავლობაში და სექტემბრის პირველ ნახევარში უნდა ჩატარდეს სათანადო მუშაობა წარმოებაში ჩაბმულ მუშა ახალგაზრდობის და მოჯამაგირეთა ჩასაბმელათ კომკავშირის რიგებში. ეს მუშაობის ჩატარების ლოზუნგი იქნება: „მუშათა ახალგაზრდობის 100 პროც. კომკავშირის რიგებში!“.

აგვისტოს თვის განმავლობაში საწარმოო ცენტრებში ქარხნებში და ფაბრიკებში მოეწყობა კომკავშირის უჯრედის ღია კრებები, უპარტიო ახალგაზრდობის თანდასწრებით, სადაც დაისმება მოხსენება ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის და ახ. კომინტერნის მომავალი კონგრესის საკითხებზე.

26 აგვისტოს ყველა ქალაქებში და სამაზრო ცენტრებში მოეწყობა ახალგაზრდობის და ბავშვობის მასიური სეირნობა. ამავე დღეს ჩატარდება მასიური სამხედრო ლაშქრობა, წრეების შეჯიბრებები და ექსკურსიები უპარტიო ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობით.

31 აგვისტოს მოეწყობა კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრებები პარტ. უჯრედთან ერთად.

შაბათს პირველ სექტემბერს კლუბში და სამკითხველოებში შესდგება კომკავშირის უჯრედთა საზეიმო სხდომები, პარტიის წევრებთან, უპარტიო ახალგაზრდობასთან, პიონერ კოლექტივებთან, ფაბრ. ქარხ. ადგილკომის წევრებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად. საზეიმო სხდომების შემდეგ უნდა მოეწყოს მხატვრული რევოლიუციონური დადგმები და თვით შემოქმედებითი საღამოები. ყოველივე ამისათვის გამოყენებული იქნება კომკავშირის ადგილობრივი დრამწრეები და ხელოვნების მუშაკები.

2 სექტემბერს ეწყობა მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მასიური დემონსტრაცია წითელ არმიის და პიონერ კოლექტივების მონაწილეობით. ამ დღისათვის ყველა ორგანიზაციებმა წინასწარ უნდა შეიძინონ ერთაირი კომკავშირული ფორმა და მოაწყონ ადგილებზე სათანადო ბატალიონები.

ვიურტემბერგის (გერმანია) ორგანიზაციასთან კავშირის განმტკიცებისათვის, დღესასწაულზე მოწვეულ იქნება ვიურტემბერგის კომიტეტის მდივანი და ამასთანავე ინგუშეთის კომკავშირელები და პიონერები რიცხვით 40 კაცამდე. დღესასწაულთან დაკავშირებით იკრიბება ინტერნაციონალური ორი შაური. ამასთანავე მოეწყობა თავისუფალ შემოწირულებათა შეკრება ვიურტემბერგის საშეფო ორგანიზაციის დასახმარებლად.

დემონსტრაციის დროს სხვილმა ორგანიზაციებმა უნდა მოიწვიონ კომკავშირელები მეზობელ სოფლების უჯრედებიდან.

დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცემული იქნება გაზეთების სპეციალური ნომრები და ჟურნალები. დღესასწაულის აღსანიშნავად ადგილებზე კომკავშირელებმა უნდა დაარსონ ახალი კოლმეურნეობანი და მოხდეს გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების კლუბების და სამხედრო კუთხეების საზეიმო გახსნა.

ყველა ორგანიზაციებს დავალებული აქვთ მოელაპარაკონ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, რათა დღესასწაულისათვის მოეწყოს ქალაქის ქუჩების და შენობის ილუმინაცია.

ვ.

სოფლის აქტივთან მუშაობის დეფექტები

მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის ფართო უპარტიო აქტივის მომზადებას სოფლის პარტიული ორგანიზაციების მხრივ მაქსიმალური ყურადღება უნდა ექცეოდეს. მიუხედავად ამისა სოფლის აქტივს შორის წარმოებულ მუშაობის გამოკვლევამ თბილისის მაზრაში მრავალი სერიოზული ნაკლი აღმოაჩინა.

რით აიხსნება ეს? შეიძლება შესაფერ დირექტივების უქონლობით ამ საკითხში? არა, დირექტივები ამ დარგში საკმაოდ ბევრია. 1927 წ. ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკასთან მოწვეული იქნა სოფლის უჯრედების მდივნების თათბირი, რომელმაც სპეციალური დადგენილება მიიღო აქტივთან მუშაობის შესახებ.

5 თვის შემდეგ (1928 წ. თებერვალში) საქ. კომპარტიის (ბ) ცეკამ საჭიროდ დაინახა ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი ამ მუშაობის მნიშვნელობისათვის. ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გამო პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ნათქვამია:

„მთავარი ყურადღება პარტიულ მუშაობაში სოფლად, როგორც წინად, ისე დღესაც უნდა მიექცეს საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკას საბჭოთა დემოკრატიის განვითარებისა და მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხობის ფართო უპარტიო აქტივის აღზრდის საფუძველზე, აქტივის, რომელიც ჩაბმულ უნდა იქნეს ყოველდღიურ მუშაობაში“.

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხობის ფართო აქტივის აღზრდასა და გაფართოებასთან; ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საბჭოთა დემოკრატია არ განვითარდა და მშრომელი გლეხობის ფართო მასები მუშაობაში არ ჩაება, საბჭოების გაცხოველების ლოზუნგი მხოლოდ მყვირალა ფრაზად დარჩება.

ზემოდ თქმულიდან აშკარაა, რომ ჩვენ თავის დროზე უზრუნველყოფილნი ვიყავით დირექტივებით აქტივთან მუშაობის შესახებ.

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ არც ერთი ეს გადაწყვეტილება და დირექტივა ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა არ დაამუშავეს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ფართო პარტიულ მასებს შეგნებული არა აქვთ გლეხთა უპარტიო აქტივთან მუშაობის დიდი მნიშვნელობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო თემკომებმა და უჯრედებმა დღევანდლამდე ვერ გამონახეს აქტივთან მუშაობის სწორი ფორმები და მეთოდები. აქტივის თათბირები წლის განმავლობაში ორ-ჯერ-სამჯერ იმართება. ამ თათბირებს უმეტეს შემთხვევაში ესწრებიან თემში არსებული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები და რამდენიმე გლეხი ცენტრალური სოფლიდან. ამასთანავე თათბირებზე მსჯელობენ ზოგადი ხასიათის საკითხების შესახებ.

ისეთი საკითხები, როგორიცაა თვითდაბეგვრა, თემის და სოფლის კეთილმოწყობა, სასკოლო ან კოლექტიური მეურნეობის მშენებლობა—თათბირებზე არ ისმება.

როგორც ვხედავთ, აქტივთან მუშაობის ნაკლია ერთი ის, რომ მთელი ეს მუშაობა თემის ცენტრშია მოქცეული, და სოფლებში კი არაფერი კეთდება; მეორე აქტივის თათბირების საქმიანობა თავისი შინაარსით ნაკლებად შეეფერება მომენტის ამოცანებს; მესამე—უჯრედების ღია სხდომები იმართება არა გლეხთა აქტივის გაწვრთნის და ამოქმედების მიზნით, არამედ ფორმალურ მხარეთა შესასრულებლად, რათა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბიურომ სთქვას: „აი, ჩვენ 50 პროც. ღია სხდომები გვქონდაო“.

შემდგომისათვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, სოფლის აქტივთან მუშაობა ისე მოვაწყოთ, რომ ამ მუშაობის დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდეს ესა თუ ის სოფელი უჯრედის ხელმძღვანელობით, ხოლო სადაც უჯრედი არ არის—მიმაგრებული პარტიული ამხანაგის (სოფლის პარტორგანიზატორის) ხელმძღვანელობით.

აქტივის თათბირები უნდა იმართებოდეს როგორც თემის, ისე სოფლის მასშტაბით.

პირველ შემთხვევაში თათბირი განიხილავს საკითხებს მთელი თემის აქტივის აზრის მოსამზადებლად სოფლის აქტივების საერთო კრებისათვის, თემის თათბირის შემადგენლობა ძალიან ფართო არ უნდა იყოს, იგი უნდა შესდგებოდეს პარტიის თემკომის გარშემო თავმოყრილ პირებისაგან.

სოფლად კი თათბირები ეწყობა საბჭოს, უჯრედის ან თემკომის მიერ დასახულ ღონისძიებათა წინასწარ განსახილველად და სოფლის მთელი მშრომელი გლეხობის აზრის მოსამზადებლად. ამ შემთხვევაში აქტივის წრე უფრო ფართო უნდა იყოს, თავს იყრიდეს უჯრედის ან სოფლის პარტიული ორგანიზატორის გარშემო და შეიცავდეს ჩვენთან ახლო მდგომი სოფლის ფენების ყველა მოწინავე ელემენტებს, რომლებიც ცოტად თუ ბევრად მონაწილეობას იღებენ პრაქტიკულ მუშაობაში.

ეს არის ძირითადი დებულება, რაც უწინარეს ყოვლისა უნდა შეითვისონ უჯრედებმა და პარტკომებმა სოფლად.

დღემდე თითქმის არსად არა სწარმოებს სოფლის აქტივის აღრიცხვა; ამიტომ ძნელია გამოვარკვიოთ აქტივის რაოდენობა თვითეულ თემში და სოფლის სხვადასხვა ფენის ხვედრითი წონა სოფლის აქტივში.

თუ საარჩევნო პრინციპის მიხედვით ვიანგარიშებთ (თემის საბჭო, მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა) აქტივის რაოდენობა მანგლისის თემში შეადგენს 246 კაცს, ალბულაღის რაიონში—206 კაცს. ორივე თემის აქტივის სოციალური შემადგენლობა ასეთია: მოსამსახურე—72, შეძლებული გლეხი—4, საშუალო გლეხი—193, ღარიბი—169, მოჯამაგირე—10, მუშა—8 და შინამრეწველი—1.

ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ 1) საშუალო გლეხებს რიცხვობრივად ცენტრალური ადგილი უჭირავთ ამ თემის სასოფლო აქტივში; 2) აქტივის შემადგენლობაში შეძლებული ელემენტიც არის, თუმცა უმნიშვნელო პროცენტი; 3) აქტივში შედარებით დიდი ადგილი უჭირავთ მოსამსახურეებს; 4) წინა წლებთან შედარებით ღარიბი გლეხების ხვედრი წონა გაზრდილია და 5) აქტივში ძალიან ცოტაა მოჯამაგირე. ეს იმას ნიშნავს, რომ დირექტივება სოფლის აქტივის გაძლიერების შესახებ უმთავრესად და პირველ ყოვლისა სოფლის მოჯამაგირეების ხარჯზე—მნიშვნელოვანი გამრუდებით და დამახინჯებით სრულდებოდა.

პარტიულ ორგანიზაციებს აქტივის განსაზღვრისათვის ერთი მთლიანი კრიტერიუმიც არა აქვთ. შეცდომაა, როცა არჩეულ ორგანოებში შემავალ ყველა პირს მექანიკურად აქტივისტებად სთვლიან. არ შეიძლება არჩევითი ორგანოს წევრი აქტივისტად ჩაითვალოს, თუ ის პრაქტიკული მუშაობით არ იჩენს თავის აქტივობას და, პირიქით, არ შეიძლება აქტივის შემადგენლობაში არ ჩაირიცხონ ისინი, ვინც არჩეულ ორგანოებში არ იმყოფებიან, მაგრამ სოფლის სათანადო ორგანიზაციების გარშემო იყრიან თავს და პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან.

არსებობს სხვა ხასიათის გაუგებრობაც. მაგალითად, სართიჭალაში ჰგონიათ, რომ სოფლის ინტელიგენტი, რანაირი ზოგად-პოლიტიკურ მუშაობასაც არ უნდა აწარმოებდეს იგი სოფლად, არ შეიძლება აქტივისტებად ჩაითვალოს.

საგარეჯოში, პირიქით, სხვანაირი „გადახრა“ არსებობს—„გეზი ინტელიგენციისაკენ“; ყველა ინტელიგენტი მომზადებულია, მაშასადამე აქტივისტიაო,—ფიქრობენ იქ; მესამე შემთხვევაში აქტივისტებად მიაჩნიათ თემის ხელმძღვანელ მუშაკთა უფრო ვიწრო წრე და სხვ.

საჭიროა ასეთ გაუგებრობას აქტივის განსაზღვრის საქმეში ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს. აქტივთან სისტემატიური მუშაობის საწარმოებლად საჭიროა ამ აქტივის შემადგენლობის ცოდნა, საჭიროა მისი აღრიცხვა თემისა და სოფლის მასშტაბით. სოფლად და თემში აქტივისტად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც ნამდვილ აქტივობას იჩენს: უჯრედების ღია კრებებზე, სასოფლო ყრილობებზე, ღარიბ გლეხთა, საბჭოს და კოოპერაციის სხდომებზე; ის, ვისაც ყველა ამასთან ერთად აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სამეურნეო მუშაობის პრაქტიკული დატვირთვა და თავისი პოლიტიკური განწყობილებით პარტიასთან ახლო სდგას, ასეთი გეზის აღების შემდეგ უნდა გვახსოვდეს, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ სოფლის რომელი ფენა რა ადგილს დაიჭერს აქტივში, დამოკიდებულია თვით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობაზე და მათ მუშაობის მიმართულებაზე.

ჩვენი მუშაობის დადებით მხარედ უნდა აღვნიშნოთ ღარიბი გლეხობის ხვედრითი წონის ზრდა სოფლის აქტივში. ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციამ და შემდეგ ღარიბთა ჯგუფების სათემო თათბირებმა გამოიწვიეს სოფლის ღარიბი ნაწილის ძლიერი აქტივიზაცია. პარტიის ხელმძღვანელობით ღარიბი გლეხობა კვალდაკვალ იხვეჭს უფლებებს თემისა და სოფლის ყველა ორგანიზაციებში. ავიღოთ, მაგალითად, ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობა სათემო ორგანიზაციებში; სართიჭალასა და საგარეჯოში ღარიბი გლეხია—13, საშუალო—17, შეძლებული—2, მოსამსახურე—10. უკანასკნელ ხანებში დაწინაურებულია ღარიბი გლეხი—6, საშუალო—5, მოსამსახურე—1.

ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობის და ახლოებით ასეთ სურათს და დაწინაურების პროცესს ჩვენ ვამჩნევთ სხვა რაიონებშიაც.

რასაკვირველია, ამ მხრითაც ყველაფერი რიგიან მდგომარეობაში არ არის, მაგალითად, ვერ ვხედავთ ვერც ერთ მოჯამაგირეს ხელმძღვანელ სამუშაოზე.

მაგალითად მიუხედავად ამისა არ შეიძლება არ დავაფახოდ ის გარემოება, რომელსაც ვამჩნევთ უკანასკნელ დროს ღარიბ გლეხობასთან მუშაობაში.

ეხლა თქვენ ისე ხშირად ველარ გაიგონებთ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ღარიბი გლეხი ზარმაცია და არაფრის უნარი არ შესწევს, რომ არ შეიძლება ამ „უვარგისი“ და „უცოდინარი“ მეურნის ამორჩევა ან დაწინაურება რომელიმე საქმეზე და სხვ. ასეთმა ლაპარაკმა თვით გლეხთა შორისაც ძალიან იკლო.

საბჭოთა ხელისუფლება რომ ღარიბ გლეხობას ეხმარება, პარტია მას თავის გარშემო იკრებს—ეს თითქმის ყველამ იცის; აქედან გამომდინარეობს სოფლის სხვა ფენების „პატივისცემა“ ღარიბ გლეხობისადმი. ამასთან ერთად საჭიროა შევჩერდეთ ერთ მნიშვნელოვან ნაკლზე. ზოგიერთ რაიონებში ღარიბ გლეხობას კიდევ რაღაც ეშინია და საკმაოდ აშკარად არ იჩენს აქტივობას. თავის კრებებზე ღარიბი გლეხები გამოდიან, ლაპარაკობენ ჩვენი დეფექტების შესახებ, კულაკური ელემენტების ხრიკების შესახებ და სხვა, სოფლის საერთო კრებებზე კი ჩუმად არიან, არ ამბობენ იმასაც კი, რაც, მაგალითად, გუშინ ღარიბთა კრებაზე სთქვეს.

ეს იმიტომ ხდება, რომ ღარიბი გლეხობა მტკიცედ არ არის დარწმუნებული, რომ სოფლის კულაკურ-შეძლებული ნაწილის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლის შემდეგ ის საკმაოდ [illegible] იქნება კულაკური ელემენტების ეკონომიური ზედმოქმედებისა და ფიზიკური შეტევისაგან.

ეს მეტად სერიოზული მომენტია ჩვენს მუშაობაში, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა მუშაკებმა სოფლად. საჭიროა დავარწმუნოთ ღარიბი გლეხები, რომ მათი ხსნა მხოლოდ დარაზმულ გამოსვლაშია კულაკური ელემენტების წინააღმდეგ; უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ღარიბ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი პარტია მუდამ სრულ დახმარებას გაუწევს.

კიდევ ვიმეორებ, სოფლის ორგანიზაციებმა უყოველმხრივ უნდა დაამუშაონ სასოფლო უჯრედების მდივანთა თათბირის დადგენილებანი აქტივთან მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.—ის უკანასკნელი პლენუმის დირექტივები და ბოლოს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის კონკრეტიული გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე. მხოლოდ ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე იქნება შესაძლებელი აქტივთან მუშაობის სწორი ფორმებისა და მეთოდების გამონახვა და არსებულ დეფექტების გამოსწორება.

ი. გორდელაძე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

მეეტლეების გაუმაძღარი მადა

(წერილი გურიიდან)

სადგ. საჯავახოდან, ოზურგეთზე გავლით გურიას აჭარისტანთან აერთიანებს გზატკეცილი. თვითმპყრობელობის დროს ეს გზატკეცილი სამხედროდ ითვლებოდა და შესაფერი მოვლილიც იყო. ხოლო რევოლიუციის შემდეგ გზის მოვლა-პატრონობა დაეკისრა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც მის შეკეთებას აწარმოებდა თვითდაბეგვრის წესით. ამ პირობებში გზა ვერ იქნა შესაფერისად მოვლილი და მისი ერთი ნაწილი წალეკა მდინარე ხევის-წყალმა. ხიდების უმრავლესობა დალპა და მასზე მიმოსვლა საშიშროებას წარმოადგენდა.

1926 წლიდან ამ გზის მოვლა-პატრონობა საქ. გზატკეცილების სამმართველოს ხელში გადავიდა, რომელმაც საფუძვლიანად მოკიდა ხელი გზის შეკეთებას. ახლო მომავალში გზა სრულიად აღდგენილი იქნება.

ამ გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გურიის მოსახლეობისათვის, რომელიც თავის წლიურ სარჩო-საბადებელს ამ გზით ეზიდება. გარდა ამისა, ეს გზა ორი მხრიდან აერთიანებს საქართველოს მოსახლეობას აგარაკ ბახმაროსთან, ერთი მხრით საჯავახო-ჩოხატაურზე გავლით და მეორე ოზურგეთიდან ხიდისთავზე. ზაფხულობით დიდძალი მუშა-მოსამსახურეები აწყდება ამ გზას, რომლებიც მოგზაურობენ საგარაკოდ ბახმაროზე და მეავე—წყალზე.

დაიწყება თუ არა საგარაკო სეზონი, თანდათანობით იზრდება მეეტლეების მადა. თუ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ეტლით მგზავრობა ჩოხატაურიდან სადგ. საჯავახომდე (მანძილი 20 კილომეტრია) ღირდა 2 მან. 50 კ. საგარაკო სეზონის დროს 5-6 მანეთამდე და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ზევით ადის. არ მგონია, რომ სადმე სხვაგან ადგილი ჰქონდეს მგზავრების ასეთ უსინდისო გაყვლეფას, როგორც ამას ჩოხატაურის მეეტლეები ჩადიან ამ გარემოებისათვის კი დღემდის არც სამაზრო და არც ჩოხატაურ-საჯავახოს თემ-აღმასკომებს ყურადღება არ მიუქცევიათ, რის გამო მეეტლეების მადა დღითი-დღე იზრდება.

სამაზრო ხელისუფლებამ ბოლო უნდა მოუღოს ჩოხატაურის მეეტლეების თავხედობას, უნდა დააწესოს მგზავრებისათვის სავალდებულო ნიხრი.

საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი: საქართველოს უფრო უმნიშვნელო გზებზე სწარმოებს მგზავრების გადაყვან-გადმოყვანა ავტობუსებით და საკვირველია, რატომ ასეთი დიდი მნიშვნელობის და დიდ შემოსავლიან გზას დღემდე ყურადღება არ მიაქცია სახელმწიფო ავტობუსებით მიმოსვლის ორგანიზაციებმა. გასულ წლებში ამ გზაზე ავტობუსებით მოგზაურობა შეუძლებელი იყო გზის უვარგისობის გამო, ეხლა კი გზა საფუძვლიანად შეკეთებულია და სრულ შესაძლებლობას იძლევა მასზე ავტობუსების უშიშრად მოგზაურობისა, როგორც საჯავახოდან—ჩოხატაურამდე, ისე ჩოხატაურიდან ოზურგეთამდე და ოზურგეთიდან ხიდისთავამდე.

საჭიროა ამ საკითხის მოგვარებას დროზე მიექცეს ყურადღება.

მგზავრი.

უკეთეს ალაგზე მოიკალათა

(წერილი ყაზბეგიდან)

ყაზბეგში არსებობს მეცხვარეთა ამხანაგობა, „თერგ-არაგვის-ხეობა", სადაც ადვილად პოულობს თავშესაფარს ისეთი პირები, რომლებიც უვარგისობის გამო არიან მოხსნილი სამსახურიდან. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლავს ყაზბეგის შრომის სკოლის ყოფილი მასწავლებელი არჩილ ლუდუშაური. ის ამ დაწესებულებაში მოლარედ ითვლება. ლუდუშაურს ძალზე უყვარს დროს გატარება და მით უმეტეს ავტოთი მოგზაურობა. კვირაში ერთხელ მაინც გაისეირნებს ვლადიკავკაზში და მისი სეირნობის დროს მეცხვარეები რამოდენიმე დღეს ელოდებიან მოლარეს მატყლის ფულის მისაღებად. არჩილისათვის ისიც დასაშვებია, როდესაც ქეიფის დროს სასადილოში ფულებს სცემს. რა უყოთ, ხელს ხომ აწერინებს ორდერზე. ლუდუშაურისთანა სხვებიც ბევრია მოკალათებული ამ ორგანიზაციაში და ვფიქრობთ საჭიროა ყურადღების მიქცევა.

მნახველი.

თათბირი მილიციის მუშაობის გასაუმჯობესებლად

(შორაპნის მაზრა)

ამას წინად მოწვეულ იქნა შორაპნის მაზრაში შემავალ რაიონის მილიციის უფროსთა თათბირი, რომელსაც დაესწრო სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ნიორაძე, მისი მოადგილე ნ. შარაშიძე, მაზრის პროკურორი ჯანჯღავა, პ-მიერის თავმჯდომარე ამხ. ტაბიძე, სამაზრკომის საორგანიზაციო განყ. გამგე ამხ. ო. კომახიძე, მაზრის სახ. მოსამართლე ალ. ნაკაიძე და სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელი მ. ასათიანი.

ადგილიდან მოხსენებები გააკეთეს რაიონის მილიციის უფროსებმა, რომლებმაც აღნიშნეს მილიციის საქმიანობის როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი მხარეები. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედთა რიცხვი ამ უკანასკნელ ხანებში კლებულობს და ამჟამად მაზრის ფარგლებში არც ერთი დაუჭერელი არ არის.

მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი იქნა გაცემული.

ადგილებიდან მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს სამაზრაღმასკომის თავმჯდომარე ნ. ნიორაძემ და მაზრის მილიციის უფროსმა ამხ. მალაკელიძემ, რომლებმაც თავის სიტყვებში აღნიშნეს ჩატარებულ მუშაობაში ზოგიერთი ნაკლოვანებანი და მიუთითეს რაიონის მილიციის უფროსებს ახლო მომავალში გამოსწორებისაკენ.

დასასრულ ილაპარაკა მაზრის პროკურორმა ამხ. ჯანჯღავამ, რომელმაც თვითეულ რაიონს მიუთითა მის წარსულ შეცდომებზე, და მისცა მომავლისათვის საჭირო განმარტებები გამოძიების დარგში.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა მომავლისათვის სამაზრო პროკურორმა რაიონის მილიციის უფროსებს და თანამშრომლებს შორის იქონიოს კავშირი, რათა მოკვლევის საკითხი დადგეს სასურველ ნიადაგზე.

დასასრულ გამოყოფილ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მომავალი მუშაობისათვის პრაქტიკული მითითებების შემუშავება რაიონის მილიციის უფროსების მიმართ.

შინაური.

ზოგიერთი ნაკლის გამო

აცანის თემი, გურია

გურიაში აცანის თემი წინ სდგას როგორც კულტურულად, ისე მეურნეობის მხრივაც (ჩაი, მანდარინა, ბამბუკი და სხვა). სათემო ცენტრს აქვს საკმაო საკუთარი შენობები: შვიდწლედის, 4-წლედის, სათემო აღმასკომის, სამკითხველოს, კოოპერატივის, ფოსტის, სახალხო სახლის, ჩაის ფაბრიკა, საავადმყოფო, აფთიაქი, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა.

მიუხედავათ ამისა, ჯანმრთელობის დაცვის დარგში ყველაფერი რიგზე არ არის. ჯანმრთელობის განყოფილების მიერ გაცემული განკარგულება საექიმო პუნქტზე, მაზრის ფარგლების გარედან დასასვენებლად შემოსულ დაზღვეულებზე საექიმო დახმარების აკრძალვის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად, ვინაიდან დამზღვევი სალაროები დღეს ცენტრალიზაციაქმნილია. თუ წამლით არა, უფასო საექიმო დახმარებით მაინც უნდა სარგებლობდეს დასასვენებლად მოსული დაზღვეული.

დღეს კი საექიმო პუნქტიდან სულ მცირე მანძილზე ექიმი დაზღვეული ავადმყოფიდან სამ მანეთ გასამრჯელოს დაწუნებით ღებულობს.

ასევე ჩარჩულად იქცევა ექიმის თანაშემწეც და უბრალო ნემსის გაკეთებაში სამ აბაზს მოითხოვს. არც ღარიბების უფასო საექიმო დახმარების საქმეა ხეირიანად დაყენებული. ამ საქმეში არ არსებობს ხელისუფლების ხაზის სწორად გატარება და იქცევიან ისე, როგორც თვით ექიმს მოესურვება.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს საექიმო პუნქტის დარაჯის აუტანელი შრომა. ის დარაჯიც არის, მზარეულიც, შენობის მომვლელიც და ხშირად ექიმს პირადი მოსამსახურეც.

განა დასაშვებია დაქირავებული მშრომელისადმი ასეთი მოპყრობა? საჭიროა ზემოაღნიშნულ ნაკლის გამოსწორებას სათანადო ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება.

ხტუმარი.

„ნიჩაბას" აბანო

დილიკაური, შორაპნის მაზრა

რამდენიმე წლის წინედ, მოუვალ ტყეში ერთ-ერთმა გლეხმა შენიშნა კლდიდან გამომდინარე ნაკადი, რომლის არაჩვეულებრივმა ფერმა გლეხის ყურადღება მიიპყრო. გასინჯეს წყალი და დარწმუნდნენ, რომ ის უბრალო არ იყო.

მეზობლების დახმარებით ამ გლეხმა მოაწყო პატარა აუზი და სადგომი თანდათანობით წყლის თვისების და მარგებლიანობის ამბავი მოედო ახლო-მახლო სოფლებს და ხალხმა ბლომად იწყო სვლა. წყაროს დაერქვა „ნიჩაბას" აბანო. თემსაბჭოს ინიციატივით სამაზრო ხელისუფლებამ გამოგზავნა სპეციალისტები წყლის ღირსების შესამოწმებლად. აღმოჩნდა, რომ წყალი უხდება რევმატიზმს, ქარებს, თავის ტკივილს და სხვ.

შორაპნის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ „ნიჩაბას" აბანოს ადგილმდებარეობა შეაკეთა და აგო აგრეთვე ხუთი ოთახიც. აღნიშნული ბინები ვერ იტევს მომსვლელთ 15 პროცენტსაც კი და დანარჩენებს ცის ქვეშ უხდებათ ღამის გათევა. ამასთანავე აუზები მოუწყობელია და ბევრი წყალი უსარგებლოდ იკარგება. აბანოზე მისასვლელი გზებიც უვარგისია. ამიტომ მოსახლეობამ ითხოვა, რათა დილიკაურის ბაქანი გადმოეტანათ აბანოს სახლოკეს ერთი კილომეტრის მანძილზე, სადაც ოთხოთახიანი შენობაა და ავადმყოფები უფრო ადვილად შესძლებენ აბანოთი სარგებლობას. ეს საკითხი დროზე უნდა მოგვარდეს.

ი. ხაჭაპიძე.

საგზაო მშენებლობა

(წერილი ხონიდან)

საგზაო მშენებლობა ქ. ხონსა და მის რაიონში საგაზაფხულო მუშაობის (თესვა, თოხნა, და სხვა) გამო დღემდის შეჩერებული იყო, მაგრამ ამ მოკლე დროში განზრახულია მუშაობის კვლავ გაჩაღება.

რაც შეეხება მათხოჯის გზას, რომელიც ერთად-ერთი მტკივნეული საკითხია როგორც ხონის, ისე მასზე ეკონომიურად ამ გზით დაკავშირებულ კუთხეების (გორდი, კინჩხა, ლეჩხუმი და სხვა) გადავიდა მაზრის ხელში და ამ მხრივ სათანადო მუშაობაც დაწყებულია.

აგრეთვე წინასწარი მუშაობა სწარმოებს ხონი-წყალტუბოს მიმართულებით გზის გასაყვანად.

რაც შეეხება მათხოჯის გზის გაგრძელებას ბუმბუას ხიდიდან ლეჩხუმის მიმართულებით, მუშაობა სწარმოებს ცალკე მესანგრე ასეულის მიერ, რომელიც დაბანაკებულია ხიდეზე და გზის გასაყვანად აწარმოებს სათანადო მუშაობას, ასეული დარჩება 3 თვეს და მისი ინიციატივით ამ ხნის განმავლობაში მოხდება ბუმბუას ხიდიდან კინჩხამდე გზის გაყვანა. ამ საქმით მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებულია.

ი. ფილავა.

წერილებიდან

მამათის თემი (გურია). ჯერ კიდევ ყველგან არ არის უარყოფილი მიცვალებულის დაკრძალვა ქელეხით, რაც დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს ოჯახს შეგნებული ამხანაგები თანდათან უარყოფენ ამ წესს. ამხ. ალფეს ხელაძემ გარდაცვალებულ დედის ხსოვნის აღსანიშნავად მამათის თემის საალკ. შეძენებელი ფონდის გასაძლიერებლად გადმოგვცა 50 მანეთი.

თემ-აღმასკომის თავმჯდომარე ბ. კილაძე.

დ. აბაშა (სენაკის მაზრა). აბაშის რაიმილიციის და უბნის სახ. სასამართლოს თანამშრომლებს მესამე თვეა შრომის ხელფასი არ მიუღიათ. მაზრის საფინანსო განყოფილება ყოველთვის ერთნაირი პასუხით გვისტუმრებს: „ფული არ გვაქვს", თანამშრომლები უხერხულ მდგომარეობაში იმყოფებიან. საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ სასწრაფოდ მოაგვაროს ხელფასის დროზე გაცემის საკითხი.

თანამშრომელი.

ს. ჯვარცხმა (გურია). ჩვენი სოფლის გზები უნუგეშო მდგომარეობაშია და მოითხოვს სათანადო შეკეთებას. შესაკეთებელია აგრეთვე სასკოლო შენობაც კი. გვაქვს გაუქმებული სკოლის შენობაც, რომელიც სახურავის უვარგისობის გამო ლპება. საჭიროა თემაღმასკომმა ამ სოფლის კეთილმოწყობაზეც იზრუნოს.

ბრძოლ-იაზამი.

მუშათა ცხოვრება

თეატრის აბონიმენტების შესახებ

(ს. ქ. პ. ს. კულტ-განყოფილების საყურადღებოდ)

ა. წ. 8 აგვისტოს გაზ. „კომუნისტში" მოთავსებული იყო გაფრთხილება, რომ ძირითად პროფ-ორგანოებს თავი შეეკავებინათ სახელმწიფო დრამის და ოპერის მიერ შემოღებულ შეღავათიან აბონემენტებზე ხელის მოწერაზე, სანამ კულტგანყოფილება ხსენებულ თეატრთან სათანადო ხელშეკრულებას დასდებდა.

ზედმეტი არ იქნება ამ თავითვე აღვნიშნოთ ის უხერხულობა, რომელსაც გამოიწვევს საამონემენტო სისტემა მუშათა ზოლის გატარებაში.

ზოგ დაწესებულებებში რუსთაველის თეატრის მიერ უკვე დაიგზავნა სააბონიმენტო წიგნაკებზე ხელის მოწერის პირობები. ამ პირობებში ნათქვამია, რომ ვისაც სურს შეიძინოს აბონემენტი, უნდა შეავსოს წინასწარ გამზადებული ხელშეკრულება, რომლის ძალით ხელის მომწერი 10 წარმოდგენაზე დასწრების უფლებას ღებულობს და საფასურს 6 თვის განმავლობაში იხდის. ამ შემთხვევაში ორი უხერხულობა იბადება. ერთი ის, რომ მუშა-მოსამსახურემ 6 თვის ადრე უნდა გაითვალისწინოს, თუ რა დღეს უნდა წავიდეს თეატრში. ეს საქმე მუშისათვის არც ისე ადვილია, მით უმეტეს იმ წარმოებებში, სადაც ცვლით მუშაობა სწარმოებს (რკინის გზა, ტრამვაი, და სხვა). მეორე უხერხულობას თვით ხელის მოწერის მიღება და ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს. (მედიცინალობაში გვაქვს დიდი წარმოებები). ადგილკომებს, იმ შტატით, რომელიც ეხლა ჰყავთ, საშუალება არა აქვთ აწარმოონ ხელისმომწერთა აღნუსხვა და აგრეთვე ის, თუ როდის უწევს ამა თუ იმ მუშას აბონემენტის თანახმად თეატრში წასვლა.

ჩვენი აზრით არა თუ აბონემენტური სისტემა, პროფსაბჭოს შარშანდელი მუშათა სალაროც კი მიუწვდომელი იყო მუშური მასებისათვის, რადგან ბილეთების შეძენა წარმოდგენამდე სამი-ოთხი დღით ადრე ხდებოდა.

ზედმეტი არ იქნებოდა, რომ კულტ-განყოფილებას ამ საკითხის გასარჩევად კულტ-კომისიების თავმჯდომარეების და ადგილკომების წარმომადგენელთა თათბირი მოეწვია. ეს თათბირი გამოიმუშავებდა სათანადო ზომებს თეატრებში მუშათა ზოლის გასატარებლად.

პროფმუშაკი.

უსგავსობა და ბოროტმოქმედება

(ხაშური)

საწარმოო კომისიებმა და თათბირებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ხაშურში ნავთსადენის ლიანდაგების აღდგენა და ნავთის ჩამოსასხმელი პუნქტის მოწყობა. აღდგენილ იქნა სამი ლიანდაგი და მოეწყო ჩამოსასხმელი ღარი.

სამწუხაროდ ღარის მოწყობა ზამთარში ხდებოდა, რამაც საგრძნობი ზარალი მოიტანა. ღარს ქვეშ დასაყრდნობად აგურის საფუძველი გამოუშენეს. ეს მოხდა ყინვის დროს, როგორც კი გაზაფხულდა, ნაშენი სითბოს გამო დაიშალა. ღარი უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. დაშლილი აგური მინდორში უპატრონოდ არის მიტოვებული და იკარგება.

ეხლა მინდა შევეხო ერთ უმსგავსო საქმეს. სახელდობრ ერთ-ერთი ყოფილ თავადის და ყოფ. კაპიტანის საგმირო საქმეს.

აზნავთის სამუშაოებზე მსახურობს ვინმე ანდრონიკაშვილი. ეს კაცი უსწავლელ გლეხებიდან ქრთამების აღებაში დიდად დახელოვნებულია. კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ანდრონიკაშვილს ოსიაურელ გლეხებიდან 1.000 მანეთზე მეტი ქრთამი აქვს აღებული. ეს რაც სჩანს ჯერ-ჯერობით, და რაც არა სჩანს კიდევ სხვა არის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ქრთამები ანდრონიკაშვილს სულ ღარიბ გლეხებიდან აუღია. იგი თურმე გლეხებს სამსახურში მიღებას და კავშირის წიგნაკებს პირდებოდა აღნიშნულ გარემოება გაითვალისწინა სათანადო ორგანოებმა და ანდრონიკაშვილი პასუხისგებაში მისცა.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ბოროტმოქმედი სამაგალითოდ დაისაჯოს.

გაგი.

44 წელი შრომის ფრონტზე

(პოლიგრაფიული წარმოება)

პოლიგრაფიული წარმოების დარგში ჩვენ საკმაოდ ბლომად გვყავს ისეთი მუშები, რომლებსაც ამ დარგში უმუშავნიათ რამოდენიმე ათეული წელი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დარგის მუშები, როგორც კულტურულ-პოლიტიკურად უფრო მომზადებულნი, თვითმპყრობელობის წინაღმდეგ ბრძოლაშიაც მეტ აქტივობას იჩენდენ.

ამათ რიცხვს ეკუთვნის პოლიგრაფიულ წარმოების ძველი მუშა ამხ. სოლომონ წულაძე, რომელიც უკვე 44 წელია სტამბაში მუშაობს. პირველად მან მუშაობა დაიწყო ბათომში 1885 წელს ალ. მახარაძის სტამბაში, სადაც მუშაობდა 1892 წლამდე. 1892 წლიდან 1896 წლამდე მუშაობდა ოზურგეთში, ახალ-სენაკში, სოხუმში, ფოთში და ისევ ბათომში, ხოლო 1897 წლიდან ყვირილაში, ჯერ გაჩეჩილაძისა და შემდეგ ღამბაშიძის სტამბებში.

ეს წლები ხასიათდებოდა რევოლიუციონური მოძრაობის გაფურჩქვნის ხანით. იმ დროს ყველგან კიდევ არ არსებობდა მტკიცედ ჩამოყალიბებული მუშათა ორგანიზაციები და მუშაობის მთავარი ცენტრი გადატანილი იყო მასების პოლიტიკურად გათვითცნობიერებისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად ხშირად იბეჭდებოდა სტამბებში არალეგალური ლიტერატურა, პატარა ბროშურები, პროკლამაციები და სხვა. პროვინციის სტამბები ამ საქმისათვის უფრო გამოსადეგი და ხელსაყრელი იყო.

ეწყობოდა აგრეთვე სოფლად თვითგანვითარების წრეებიც და ამხ. წულაძეც სწორედ ამ მუშაობაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ის სხვა ამხანაგებთან ერთად ყვირილის ახლო-მახლო სოფლებში აარსებდა წრეებს, ხსნიდა სამკითხველოებს და სხვა. ასეთი წრეები მისი მონაწილეობით დაარსდა სოფ. კვალითში, ქვემო-საქარაში, ცხრაწყაროში, საქარის საცდელ მამულის მოწაფეებში და სხვაგან.

1902 წელში ამხ. წულაძემ ააწყო და დაბეჭდა არალეგალური ბროშურები: „პეტრე ალექსეევის სიტყვა" და „როგორ ზრუნავს მინისტრი მუშებისათვის". მასვე დაბეჭდა აგრეთვე ბათომში ოფიცერ აბთაძის მიერ გაფიცულ მუშების დახვრეტის წლისთავის აღსანიშნავად ფურცელი—ამხ. გ. ელისაბედაშვილის და დ. სულიაშვილის დავალებით. ქაპიარელიშვილის ფურცელი ქუთაისის მუშებისათვის და სხვა.

1908 წლიდან დღემდე ამხ. წულაძე მუშაობს თბილისის სხვადასხვა სტამბებში. სხვათა შორის 1920 წელში ის მუშაობდა გაზ. „კომუნისტზე", ვიდრე მენშევიკური ხელისუფლება გაზეთს დახურავდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე, როცა განახლდა გაზ. „კომუნისტი"-ს გამოცემა, წულაძე კვლავ ამ გაზეთზე გადაიყვანეს სამუშაოდ, ხოლო ამჟამად მუშაობს „ზარია ვოსტოკას" სტამბაში საექსპედიტო განყოფილებაში.

ამხ. წულაძე დღეს საკმაოდ მოხუცებულია, მაგრამ შეძლებისდაგვარად მაინც ენერგიულად განაგრძობს მუშაობას.

ასოთამწყობი.

ექსპლოატატორი ექიმი

(შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ)

პლეხანოვის ქ. № 10 ცხოვრობს ვენერიული ექიმი ფონირტელი, რომელიც თაღლითობითა და გაიძვერობით არის განთქმული. სამი წელიწადია ამ ექიმთან მსახურობს ერთი უპატრონო ქალი თამარა თავდიშვილი. ეს ქალი არც დაზღვეულია და არც კავშირშია ჩაწერილი. როცა ქალი მიმართავს ექიმს კავშირში ჩაწერის, ან დაზღვევის შესახებ, შემდეგ პასუხს ღებულობს: „თუ კავშირში ჩაეწერები, აქედანაც გაეწერები".

კვირას, 12 აგვისტოს ღამით, ფონირტელმა საბრალო ქალი გარეთ გამოაგდო და ისეთი უშვერი სიტყვებით გალანძღა, რომ მთელი ეზოს მცხოვრებნი აღელვებულნი დარჩნენ. ეს თავხედი ექიმი სარგებლობს რა ქალის უცოდინარობით, წარმოუდგენელ ექსპლოატაციას უწევს მას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ექიმის ავადმყოფების მისაღებ კაბინეტში აუტანელი უსუფთაობაა.

კარგი იქნება, თუ შრომის ინსპექტორი ესტუმრება ამ ექსპლოატატორს და საბრალო ქალს გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოიყვანს.

ახლობელი.

გადაჭარბებული მოქმედება

(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

ზოგიერთი მოსამსახურეები ხელისუფლების დადგენილებებს ისე იყენებენ, როგორც მათ მოეპრიანებათ. ეს განსაკუთრებით ქ. ალმასკომის ფინაგენტების ერთ ნაწილზე ითქმის. ზოგიერთი მათგანის უმეცარი საქციელი სახელს უტეხავს ავტორიტეტულ ორგანოთა განკარგულებებს. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ შემთხვევას.

ამა წლის 3 აგვისტოს პატარა ლილოს მცხ. გლეხი ს. კბილაშვილი თბილისში საქმეთ ჩამოვიდა და თან გასაყიდათ სამი წიწილა ჩამოიყვანა, ბაზარში ალმასკომის აგენტმა მოქ. ბესარიონ თოფურიამ მას 25 კაპ. ბაჟის გადახდა მოსთხოვა. (წიწილები კი სულ 90 კაპ. ღირდა). გლეხმა ფულის გადახდაზე უარი განაცხადა და სიღარიბის მოწმობა წარმოადგინა. მიუხედავად ამისა თოფურიამ გლეხი დაპატიმრებული მოიყვანა მე-10 სამილიციო რაიონში, სადაც გამოირკვა—რომ ღარიბებს გლეხს ისეთი მცირე რამის გაყიდვაზე, როგორიცაა სამი წიწილა გადასახადი არ უნდა გადახდეს.

საჭიროა ალმასკომმა თავის აგენტებს კარგად განუმარტოს, როგორ უნდა იმოქმედონ და ვის უნდა გადაახდევინონ ბაჟი, ღარიბმა გლეხს, რომელმაც სამი წიწილა ჩამოიყვანა გასაყიდათ, თუ ჩარჩ წურბელებს, რომლებიც, თუ საშუალება ექნათ უკანასკნელ კაპეიკსაც კი ამოაძრობენ მშრომელებს ჯიბიდან?

ა. დ. მათხოვარელი.

ქარხნის დირექტორი—კულაკი

(ლიუქსემბურგი, ბორჩალოს მაზრა)

დაბა ლიუქსემბურგის ხე-ტყის სახერხი ქარხნის გამგედ „სპეც" ვინმე საშა მარტიროსოვი ითვლება. მარტიროსოვის საქმის ცოდნაზე რა მოგახსენოთ, მხოლოდ ეს კი შემიძლია დავამტკიცო, რომ გარეგნული შეხედულება, ძიუდვანიობა და ყოფაქცევა მას ნამდვილი სპეცისა აქვს.

მარტიროსოვი სოფ. კამპანაჩის ერთ-ერთი განთქმული კულაკის შვილია. მას მფლობელობაში ორი დესეტინა ვენახი, ღვინის სარდაფები და ორსართულიანი სახლი იმყოფება. როცა ეს ქონება მარტიროსოვს ხელგაშლილ ცხოვრებისათვის ვიწრო აღმოჩნდა, მან დაბა ლიუქსემბურგში ორსართულიანი სახლი აიგო. ეს სახლი 12 ოთახიდან შესდგება, აქვს სარდაფები, თაღლა და სხ. ჯერ-ჯერობით მთელი შენობა 12 ათასი მანეთი დაჯდა.

მარტიროსოვის თვიურ ხელფასს 120 მანეთს, რომ მივლინების ხარჯები მიუმატოთ 150 მანეთზე მეტიც გამოვა. გარდა ამისა მამულიდან ხომ დიდი შემოსავალი აქვს. ერთი სიტყვით მარტიროსოვი ცხოვრობს ისე, როგორც არც ერთი საბჭოთა მოსამსახურე.

მარტიროსოვს ჰყავს სახაზინო ეტლიც. ალბად იფიქრებთ ბევრი სიარული უხდება და იმიტომ. ამაზეც მოგახსენებთ: მარტიროსოვის მარშრუტია: ხე-ტყის ქარხანა—აგურის ქარხანა—თავისი ოთახი; ხე-ტყის ქარხანა—რებენოვკა—უნიონი; საკუთარი ბაღი—ჩათახის ქარხანა—ისევ ბაღი და შემდეგ თავისი ოთახი.

აქედან ნათლად სჩანს, რომ მოქ. მარტიროსოვს სახაზინო ეტლი წარმოების საჭიროებისათვის კი არა, პირადი სეირნობისათვის ყოლია.

ეხლა საინტერესოა, როგორ მდგომარეობაში იმყოფება ქარხანა

გასულ საანგარიშო წელს მოქ. მარტიროსოვის მოხსენების თანახმად, რომელიც მან სამაზრო აღმასკომს წარუდგინა ქარხანას წმინდა შემოსავალი 10—11 ათასი უნდა ჰქონოდა. რევიზიის შემდეგ გამოირკვა, რომ ქარხანის მხოლოდ სამასი მან. შემოსულა.

წინად ქარხანასთან სადურგლო იყო, ეხლა ისიც მიკეტილია.

ქარხნის კანტორის გაბერილი შტატი ჰყავს: გამგე, ბუღალტერი, მოანგარიშე და ორი კიდევ სხვა თანამშრომელი, რომლებიც ერთი კაცის ოდენა საქმესაც არ აკეთებენ.

უმაღლესმა ორგანოებმა რამოდენიმეჯერ მისცეს მარტიროსოვს წინადადება შტატები შეემცირებინა,—მაგრამ „დღეს ხვალობით" მან ამ საკითხის მიჩქმალვა შესძლო.

ყანელი.

საქ. სახკომსაბჭოში

ფინანსების მიწოდება კურორტთა სამმართველოსათვის

სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. ყურულაშვილის (თავმჯდომარე), დუმბაძის, ფანცხავას და ფელზერის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეისწავლოს კურორტთა სამმართველოსათვის საბრუნავი კაპიტალის გასაძლიერებლად საჭირო თანხის საკითხი.

მშენებლობა გურჯაანში

სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. ყურულაშვილის (თავმჯდომარე), ქურდიანის, ვაშვლევიჩის, კალგინის, თულაშვილის და კახეთის ალმასკომის ინჟინერის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა განიხილოს ქალ. გურჯაანში ასაგები შენობების პროექტები და სათანადო მოხსენება წარუდგინოს სახკომსაბჭოს.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გამომკვლევი კომისია

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს შეიყვანოს ტყიბულის მაღაროების გამომკვლევ კომისიაში ინჟ. აბაშიძე (სმუს სამთო ტრესტიდან) და ინჟ. ყიფშიძე (სმუს სამთო ნაწილიდან).

ახალი ქართული შრიფტის დამზადება

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ს. მ. უ. საბჭოს დაამუშაოს საქართველოში ახალი ქართული შრიფტის დამზადების შესაძლებლობის საკითხი.

ალაზნის ხიდი

წინადადება მიეცა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს შეადგინოს ალაზნის ხიდის აგების პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა.

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგური

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობა გაცხოველებით მიმდინარეობს. სადგურის აგება დამთავრებული იქნება ორი წლის განმავლობაში.

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს მიერ გამოყოფილი იყო კომისია, რომელსაც ყოველმხრივ უნდა გამოეკვლია აჭარის-წყალის სადგურის სამუშაოები; კომისიამ გამოარკვია იმ თანხის რაოდენობა, რომელიც საჭირო იქნება მშენებლობის შეუფერხებლად წარმოებისათვის და იმ დასკვნამდი მივიდა, რომ თუ არ დაბრკოლდა ფინანსების მიწოდება, სადგურის აგება შეიძლება დამთავრებული იქნეს 1930 წლის აპრილისათვის.

კომისიის დასკვნის თანახმად, მომავალ 1928-29 წელში სადგურის მშენებლობისათვის გადადებული უნდა იქნეს 2.825.000 მანეთი, 1929-30 წელში—549.053 მანეთი. სადგური სულ დაჯდება 7.999.000 მანეთი.

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ორგანოები და ამიერ-კავკასიის საალმშენებლო-ტეხნიკური კომიტეტი ამუშავებენ სადგურის საალმშენებლო სამუშაოების გეგმის ვარიანტს. ამ ვარიანტის თანახმად განზრახულია სადგურის ასაგებ ხარჯების შემცირება მილიონ ნახევარ მანეთით, რაც მიღწეული იქნება კაშხალის შემცირებით და ზოგიერთ სამუშაოების დროებით შეჩერებით. ეს სადგურის სიმძლავრეს შეამცირებს პირველ ხანებში 3—3.500 ცხ. ძალამდე (სადგურის სრული სიმძლავრე იქნება 7.500 ცხ. ძალა). სადგურის პროექტი, ხარჯთ-აღრიცხვა და კაშხალის შემცირების ვარიანტი წარდგენილია განსახილველად მთავარ ელექტრო-სამმართველოში.

ადგილობრივი მრეწველობა 1928-29 წ.

ცნობები ადგილობრივი მრეწველობის მდგომარეობის შესახებ წარსული წლების განმავლობაში გვაძლევს საშუალებას დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ თბილისის და მისი მაზრის ადგილობრივი მრეწველობა ყოველწლობით იზრდება და მაშასადამე 1928—29 წელში უნდა ველოდეთ პროდუქციის გადიდებას და სხ., განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებულ იქნება ზოგიერთი წარმოების რეკონსტრუქცია.

ჩვენს წინაშე არის მომავალი საოპერაციო წლის საორიენტაციო პროგრამა, რომელიც დამყარებულია საკონტროლო ციფრებზე, და მისი განმარტებითი წერილი. ამ ციფრების მიხედვით თბილისის და მის მაზრის ადგილობრივ მრეწველობას შემდეგი პერსპექტივები აქვს მრეწველობის ცალკე დარგებში.

აგურის წარმოება

1927—28 წლის საწარმოო პროგრამით დასახულია 23.000.000 ცალი აგურის დამზადება და პირველ ნახევარ წელში გამოშვებულ იქნა 10,271 ათასი ცალი, ე. ი. პროგრამით გათვალისწინებული რაოდენობის 45 პროც. ვინაიდან საალმშენებლო მუშაობა უმთავრესად სწარმოებს საოპერაციო წლის მეორე ნახევარში, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საწარმოო პროგრამა მთლიანად იქნება შესრულებული. რამდენადაც მიმდინარე წელში სავსებით იქნა შესრულებული გეგმით ნავარაუდევი რაოდენობის დამზადება, შეიძლება თამამად ითქვას, რომ 25 მილიონი ცალი აგურის დამზადება 1928—29 წელში არ იქნება ძნელი შესასრულებელი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ალმასკომის ქარხნებს გაცილებით მეტი აგურის დამზადება შეუძლიათ (თუ საჭირო იქნება ამ ქარხნებს შეუძლიათ დაამზადონ 30 მილიონამდე აგური).

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ალმასკომის საგეგმო კომისიის ცნობით, საბინაო ამხანაგობებს 1928—29 წელში დასჭირდება 22,500.000 ცალი აგური.

არ შეიძლება გვერდი აუაროთ აგურის თვითღირებულების გადიდებას. მაშინ, როდესაც ათასი ცალი აგურის თვითღირებულება 1927—28 წელში უდრიდა 26 მან. 26 კაპ., 1928—29 წელში ის თვითღირებულება მიაღწევს 29 მან. 89 კაპიკამდე. თვითღირებულების გადიდება აიხსნება სოცდაზღვევის განაკვეთების გადიდებით 8,3 პროცენტიდან 17.2 პროცენტამდე, და აგრეთვე იმით, რომ მუშებს ხელფასი მიეცემა ცუდი ამინდის გამო სამუშაოს გაცდენის დროს. ამის გამო განზრახულია აგური (1 ხარისხის) გაიყიდოს 33 მანეთად ათასი ცალი.

ხის გადამუშავებელი წარმოება.

1926—27 წლის საწარმოო პრაქტიკის მიხედვით, 1927—28 წლის საწარმოო პროგრამით დასახულ იქნა 324.000 მან. ხე-ტყის ნაწარმოების გამოშვება ბაზარზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის მუშაობის კიდევ უფრო გაფართოებას ხელს უშლის ბაზარზე ზოგიერთი მასალების უქონლობა და აგრეთვე ქარხნის შენობის სივიწროვე და გამოუსადეგობა. (ეს შენობა წინედ წარმოადგენდა სამხედრო უწყების თავლას და შემდეგ გადაკეთებულ იქნა ქარხნის შენობად). გარდა ამისა, ქარხნის გაფართოებას ხელს უშლის აგრეთვე საბრუნავი თანხების ნაკლებობა. მაგრამ ვინაიდან 1928—29 წელში განზრახულია ჩატარდეს ქარხნის რეკონსტრუქცია, ამიტომ ამ წლის საწარმოო პროგრამა საკმაოდ დიდ თანხაში—400.000 მან. გამოიხატება. რეკონსტრუქცია შეეხება ქარხნის შენობის გაფართოებას, გაუმჯობესებას და სხ., რაიც მოგვცემს საშუალებას რაციონალურად მოვაწყოთ დაზგები.

ელექტრო-მექანიკური ქარხანა.

თბილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა წარმოადგენს უმთავრესად დამხმარე ხასიათის საწარმოო ორგანიზაციას, რომლის მუშაობა უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი მხარის ელექტროფიკაციის განვითარების ტემპთან და მოცულობასთან. ქარხანა უმთავრესად მუშაობს შეკვეთებზე (მთელი წარმოების 72 პროცენტს შეადგენს შეკვეთები) და ამიტომ სტანდარტულ წარმოებას უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

1928—29 წელში განზრახულია ქარხანა სახელოსნოსთან ერთად ნაწილობრივ იქნას გადატანილი ახალ, რაციონალურად აგებულ შენობაში. ქარხნის რეკონსტრუქცია დაჯდება 300.000 მან., მაგრამ 1928—29 წლისათვის გამოთხოვილია მხოლოდ 70.000 მანეთი.

1928—29 წლის საწარმოო პროგრამით პროდუქციის საერთო ღირებულება ნავარაუდევია 668.000 მან. რაოდენობით, რაიც 14 პროცენტით მეტს შეადგენს შარშანდელთან შედარებით.

ლუდის სახდელი წარმოება

ლუდის მოხმარება და მაშასადამე, მოთხოვნილებასთან დაკავშირებული წარმოება უკანასკნელ წლებში ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება. 1922—23 წელში ლუდის სახდელი ქარხნის პროდუქცია უდრიდა 128,000 ლიტრას, 1927—28 წელში ნავარაუდევია 1.414.500 ლიტრის დამზადება, რაიც აუცილებლად იქნება შესრულებული. ხოლო 1928—29 წლის საწარმოო პროგრამაში გათვალისწინებული იქნება 1.476.000 ლიტრის დამზადება. ლუდის სახდელი ახალი ქარხნის აგების გამო კაპიტალური ხარჯების გაწევა 1928—29 წელში არ არის ნავარაუდევი.

გემო-კვების მრეწველობა

1926—27 წელში გემო-კვების კომბინატმა (მაშინ კოოპმრეწვმა) დაამზადა: საშაქარლამო ნაწარმოები 144.102 კილო, შაშხი და ძეხვი—237.494 კილო, მაკარონი—321.528 კილო და გალეტი 166.000 კილო, სულ—1.150.000 მან. ღირებულების პროდუქტი. მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამით ეს პროდუქცია გადიდებულ იქნება 1.873.000 მანეთამდე. მიუხედავათ იმისა, რომ კვების პროდუქტების დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე, გემო-კვების კომბინატს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება უმთავრესად მისი შენობის სივიწროვის გამო, რაიც არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს დიდი ხნის წინედ მიღებული მანქანები, რომლებიც დღემდე ისევ ყუთებში აწყვია.

1928—29 წელში გეგმის მიხედვით განზრახულია კომბინატის ყველა ქარხნებში დამზადებულ იქნას კვების სხვადასხვა პროდუქტები 1.455.000 მან. რაოდენობით, რაიც 7 პროცენტით აღემატება წარსული წლის რაოდენობას.

1924—29 წელში განზრახულია ნაწილობრივი რეკონსტრუქცია ერთი დიდი საქარხნო შენობის აგებით, რომელშიც გაერთიანებული იქნება მაკარონის, საშაქარლამო და საგალეტო ფაბრიკები. სულ ამისათვის საჭირო იქნება 300.000 მან., მაგრამ 1928—29 წელში დაიხარჯება მხოლოდ 125.000 მანეთი.

პ. შ.

ფსიქიატრიულ მზრუნველობის შესახებ

მეტად საყურადღებო წერილი მოათავსა ამ საკითხზე „კომუნისტი"-ს № 178-ში „პროვინციელ ექიმმა". ავტორის წერილი უაღრესი ყურადღების ღირსია. სავსებით ვღებულობთ მის კრიტიკას, რომ ფსიქიატრიული მზრუნველობის საქმე „კუს ნაბიჯით მიიწევს წინ" და რომ ამ დარგში მეტად მძიმე მდგომარეობაა ჩვენში.

ყოველივე იქ აღწერილი არის სინამდვილის სწორი სურათი. ის ეხება ერთ მაზრას, ხოლო მთელი საქართველო იმავე სურათს გვიხატავს. მეორე მაზრა გვიგზავნის სულით ავადმყოფს, რომელმაც ნაჯახით მოკლა სამი თავისი ოჯახის ქალი: დედა, ცოლი და ორისული რძალი. მესამე მაზრა გვიგზავნის სულით ავადმყოფს, რომელმაც ნაჯახითვე მოკლა თავისი ცოლი და ორი მცირე წლოვანი შვილი. „ყოველივე ეს მხოლოდ სცენაზე თამაში იყო, სინამდვილეში არავინ მომიკლავს"-ო, ამბობს ავადმყოფი, რომელსაც უკვირს, თუ რად არის მოთავსებული საავადმყოფოში (სამწუხაროდ ასე დაგვიანებით). ჩვენ ვერ ჩამოვთვლით ყველა შემთხვევას მკვლელობის, თვითმკვლელობის, ძალადობის, ცეცხლის გაჩენის და მრავალი სხვა ბოროტმოქმედების და უწესობების, რომელთაც ჩადიან სულით ავადმყოფნი. ჩვენ არ ძალგვიძს აღვწეროთ ცხოვრების პირობები იმ ოჯახისა, რომელიც შესდგება 4—5 სულისაგან, ცხოვრობს სულ ერთ ოთახში და რომლის ოჯახის უფროსი სულით ავადმყოფია. ასეთი მაგალითებიც ბევრია, თუნდაც თვით თბილისში, რომლის საპოლიციო უბნებში ხშირად ნახავთ ქუჩიდან აყვანილ უპატრონო სულით ავადმყოფებს.

მოსახლეობა იძულებული ხდება მიიღოს თავდაცვის ზომები. ბაწარი, ჯაჭვი, ცემა და დაშინების ყოველი ღონისძიებები არის ხვედრი „უდანაშაულოდ დამნაშავე" სულით ავადმყოფებისა. ისინი სტანჯავენ სხვებს და თვით იტანჯებიან. რა გამოსავალი არის აქედან? ერთად ერთი: სულით ავადმყოფთ უნდა გაეწიოთ მზრუნველობა.

საერთოდ მიღებულ სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში უნდა იყოს 6.000 სულით ავადმყოფი (3 ავადმყოფი 1.000 მცხოვრებზე). აქედან 2.000-მდე მწვავე ფორმის ავადმყოფებია, რომელნიც აუცილებლად საჭიროებენ მზრუნველობას. ჯანსახკომის მიერ სპეციალური საექიმო რაზმების საშუალებით გამოკვლეულია 3 მაზრა (სვანეთის, თელავის და ოზურგეთის). ამ გამოკვლევების თანახმად, ჩვენ ვღებულობთ 2,5 სულით ავადმყოფს 1.000 მცხოვრებზე, რაიც დაახლოებით იგივე რაოდენობაა ათას სულით ავადმყოფს გვაძლევს რესპუბლიკის მასშტაბით. საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს სულით ავადმყოფებზე მზრუნველობისათვის ჯერ-ჯერობით მიღებული აქვთ აუცილებელ ნორმად 1 საწოლი ყოველ 1 ათას მცხოვრებზე. ამ ნორმის მიხედვით საქართველოსათვის აუცილებელია—2.700 საწოლი. სინამდვილეში კი დღეს ჩვენ განკარგულებაში იმყოფება სულ 300 საწოლი.

აქედან ცხადია ის მწვავე მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ჩვენს რესპუბლიკაში სულით ავადმყოფთა დახმარების საქმე. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს დაახლოებითაც არ შეუძლია დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნილება. სამკურნალო დაწესებულებები ყოველთვის გადატვირთული არიან ავადმყოფებით და, თითქოს ყოველდღე ისინი უადგილობის გამო, უარს ამბობენ ახალ ავადმყოფების მიღებაზე. ერთად-ერთი ამოცანა, რომელიც ეძლევათ ამ დაწესებულებებს, ეს არის შეძლების და გვარად არ დააბრუნონ უკან მწვავე ავადმყოფი. რაც შეეხება ქრონიკებს, მათი რიცხვი იმდენად აღემატება საწოლების რიცხვს (140 საწოლი, რამოდენიმე ათას ავადმყოფზე), რომ რაიმე დახმარებაზე ლაპარაკიც მეტია. ს. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში ყოველ დღე შემოდის დეპეშები და მომართვანი სულით ავადმყოფების შესახებ. სამკურნალო განყოფილებაში რიგში ჩაწერილი არის 400 ავადმყოფზე მეტი. სურამის საავადმყოფოს კი შეუძლია მიიღოს წელიწადში არა უმეტეს 30—40 ავადმყოფისა. სურათი ნათელია. სულით ავადმყოფის საავადმყოფოში მოწყობის სიძნელე შეიძლება დაიახასიათოთ თუნდაც შემდეგი მაგალითით: ამა წლის ივნისში ოზურგეთის ექიმთა სამაზრო კონფერენციის ერთ-ერთი დადგენილება ამბობს: „ეთხოვოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარს გასცეს განკარგულება, რომ სურამის საავადმყოფოში იქნენ მოთავსებული ორი სულით ავადმყოფნი ოზურგეთის მაზრიდან". ამ ავადმყოფებში ერთი იყო კაცის მკვლელი, ხოლო მეორემ გადაწვა ოჯახი. მათი მიღების საკითხი ექიმთა სამაზრო კონფერენციის მსჯელობის საგნად გახდა. ამას ჩვენ დავსძენთ, რომ ერთი ამ ავადმყოფთაგანი კიდევ უცდის თავის რიგს.

ასეთია სულით ავადმყოფთა დახმარების საქმის მდგომარეობა საქართველოში. ეს მდგომარეობა აუტანელია. ის თხოულობს გამოსწორებას. არავითარი პალიატივები, როგორიც არის მაგალითად „სულით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება", საკითხს ვერ გადასჭრის. საჭიროა რადიკალური ზომების მიღება. საჭიროა მეტი ყურადღება ამ საქმისადმი. საჭიროა საგანგებო თანხები ფსიქიატრიული ქსელის გასაფართოებლად. მარტო სახელმწიფო საშუალებებით არ მოხერხდება საკითხის სავსებით გადაჭრა. ადგილობრივი ბიუჯეტი აუცილებლად უნდა იქნეს ამ საქმისათვის გამოყენებული, როგორც ეს არის რ. ს. ფ. ს.-შ.-ში, სადაც ხარჯების 60 პროც. მოდის ადგილობრივ ბიუჯეტზე. პირველ ყოვლისა ამ მხრივ ნაბიჯი უნდა გადადგას თბილისმა, რომელსაც არც ერთი საწოლი არა აქვს, იმ დროს, როდესაც მოსკოვში ყველა საწოლები ეკუთვნის ქალაქს და სახელმწიფოს არ აქვს არც ერთი საწოლი.

შეძლების და გვარად უნდა გასწიონ ხარჯები აგრეთვე რესპუბლიკის სხვა მძლავრმა ცენტრებმა: ქუთაისმა, ბათომმა (სოხუმს აქვს თავისი 10 საწოლი) და სხვა ქალაქებმა.

სახელმწიფომ მაინც უნდა გაიღოს ხარჯების უმთავრესი ნაწილი, ეს შეუძლებელია განხორციელდეს ჯანსახკომის ჩვეულებრივ ყოველწლიური ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში. ამიტომ ამ მიზნისათვის საშუალებები დამატებით უნდა იქნეს გაღებული.

ექიმი ა. გოცირიძე.

სახალხო განათლების საკონტროლო ციფრები

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატთან არსებულმა საუწყებო საგეგმო კომისიამ განიხილა სახალხო განათლების საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის. აღნიშნული კომისიის დადგენილებით მომავალ წელს აღარ გაიხსნება ახალი პირველ საფეხურის სკოლები, მხოლოდ ბუნებრივი ზრდის მიხედვით არსებულ პირველ საფეხურის სკოლებში გაიხსნება ახალი ჯგუფები. ხუთი შვიდწლედი გადაკეთდება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებათ.

პროფ-ტეხნიკური განათლების დარგში გაიხსნება ერთი სატყეო ტეხნიკუმი, ხოლო ქუთაისის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, რომელიც გაიხსნა მიმდინარე წელს, აყვანილ იქნება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

უმაღლეს სასწავლებლის რიცხვს მიემატება ერთი პედაგოგიური ინსტიტუტი.

პოლიტგანათლების დარგში: გაიხსნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 281 პუნქტი, 8 მაღალი ტიპის სკოლა; გაიხსნება ახალი კინოები, რადიო, მცირე მცოდნეთა სკოლები და მოეწყობა ერთი მოძრავი თეატრი.

განათლების სახ. კომისარიატის საგეგმო კომისიის მიერ პირობითად დამტკიცებულ იქნა აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების სახ. განათლების საკონტროლო ციფრებიც, რომლებთაც გათვალისწინებულია პირველ საფეხურის სკოლების გახსნა და პროფგანათლების და პოლიტგანათლების დაწესებულებათა დაარსება. ავტონომიურ რესპუბლიკათა საკონტროლო ციფრები განხილული იქნება სახ. საგეგმო კომისიაში ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა თანადასწრებით.

სამეცნიერო დაწესებულებათა საკონტროლო ციფრები დამტკიცებულია უცვლელად.

წიგნების გამომცემლობა: 1927—28 წელთან შედარებით 1928—29 წელში სახელგამის საგამომცემლო გეგმა გადიდებულია—15 პროცენტით, პარტიული ლიტერატურის გამოცემლობის გეგმა გადიდებულია 3 პროცენტით, აკადემიური წიგნების გამოცემის გეგმა—დატოვებულია უცვლელად, სატყეო გამომცემლობის გეგმა შემცირებულია 10 პროცენტით, კოოპერატიული ხასიათის წიგნების გამოცემის გეგმა გადიდებულია 10 პროცენტით, პროფკავშირის საგამომცემლო გეგმა გადიდებულია—20 პროცენტით და კერძო გამომცემლობის გეგმა—20 პროცენტით.

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

ახლო მომავალში დაიწყებს მუშაობას (ნავთის გადაქაჩვას ბათომში) აზნეფტის მიერ მოწყობილ მეორე ნავთსადენი.

ახალი ნავთსადენი პირველ ხანებში იმუშავებს მხოლოდ, ხაშური-ბათომის უბანზე.

ამ დღეებში აღნიშნულ საკითხზე შესდგა რკინის გზების გამგეობისა და აზნეფტის წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი.

აზნეფტი, ა.-კ. რკინის გზების გამგეობისაგან, ნავთის გადასაქაჩავ სადგურის ასაგებათ ბაქო-ხაშურის უბანზე, იჯარით აიღებს ხაშურში ერთ დიდ, ნავთის მოსამარაგებელ რეზერვუარს და მიწის ნაჭერს სადგურის ასაგებათ.

ბაქო-ბათომის, მეორე ნავთსადენის აგება ხელს შეუწყობს ქ. ხაშურის განვითარებას. ქ. ხაშურში, ახალი ნავთსადენის მუშაობის დაწყებისთანავე, ნავთის პროდუქტებით დატვირთულ მატარებლების მისაღები გზები გადიდებული იქნება ერთი-ორად. ამას გარდა მოეწყობა, სადგ. გომის მხრიდან ჩიხი, რომელიც მიიღებს 90.000 ფუთიან მატარებლებს.

აზნეფტის ხარჯზე, გადიდებულ იქნება სადგ. ხაშურის. მუშა-მოსამსახურეთა შტატი. მუშაობის დაწყებისთანავე, სადგ. ხაშურში დაინიშნება სადგურის უფროსის ოთხი თანაშემწე, ორი მატარებლების შემდგენი ბრიგადა. ოთხი მეისრე, ერთი მწონავი, და მატარებლებზე მომდევი მეთვალყურეობისათვის, შეხვდება ორი ახალი ბრიგადა.

მეორე ნავთსადენის ამუშავებამდი, დროის სიმცირის გამო თათბირმა [illegible] ა.-კ. რკინის გზების გამგეობასა და აზნეფტს შორის ხელშეკრულების დადებამდე, დაიწყოს ნავთის საქაჩავი სადგურის აგება.

ხაშურიდან—ბათომამდე მეორე ნავთსადენის გახსნა, საგრძნობლად წინ წასწევს ნავთის პროდუქტების გადაზიდვას ა.-კ. რკ. გზებზე.

ტყვარჩელის ქვანახშირი

საქართველოს სახ. მეურ. უმ. საბჭოსთან არსებულ ტყვარჩელის კომისიის ცნობით, საქართველოს გზა-ტკეცილთა სამმართველო ამჟამად აწარმოებს გზების შეკეთებას ოჩემჩირესა და ქვანახშირის ბუდობებს შორის. ამ მუშაობაში ჩაბმულია 300 მუშა. გარდა ამისა ჯგუფი სწარმოებს გასაყვან გზა-ტკეცილის საგამოკვლევო მუშაობა.

ტყვარჩელში ამას წინათ ჩავიდა საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის კომისია, რომელიც ამჟამად აწარმოებს ქვანახშირის ბუდობების გეოლოგიურ გამოკვლევას.

ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობები დაყოფილია სულ 6 ნაწილად. მეორე და მესამე ნაწილების გეოლოგიური გამოკვლევა მოხდა 1926 წელს, ხუთე და მეექვსე ნაწილები გამოკვლეულ იქნა 1927 წელს, ამჟამად გეოლოგიური კომისია აწარმოებს ქვანახშირის ბუდობების პირველ და მეოთხე ნაწილების გეოლოგიურ გამოკვლევას.

ტყვარჩელში მუშაობს აგრეთვე „იუგოსტალი"-ს კომისია, რომელიც აწარმოებს ტყვარჩელის ქვანახშირის სამრეწველო ხასიათის გამოკვლევას.

ამჟამად უკვე დამთავრებულია ტყვარჩელის ქვანახშირის სამუშაოების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა. გეგმის თანახმად, ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაცია უნდა დაიწყოს მომავალ 1928—29 საოპერაციო წლიდან.

აბრეშუმის მრეწველობის 5 წლიანი გეგმა

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს აბრეშუმ-ის" მიერ შედგენილი აბრეშუმის მრეწველობის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

აღნიშნული გეგმის თანახმად მომავალ ხუთი წლის განმავლობაში დამთავრებული იქნება ქუთაისის და ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნების აგება; თელავის ძაფსახვევი ქარხანა გაფართოებული იქნება ახალი 24 აუზით და ზუგდიდში აგებულ იქნება ერთი ახალი აბრეშუმის ქარხანა.

კაპიტალურ მშენებლობაზე მომავალ ხუთი წლის განმავლობაში დაბანდებული იქნება 3.884.000 მანეთი; აქედან 1928—29 წელში დაიხარჯება—634.000 მანეთი; 1929—30 წელში—1.300.000 მანეთი; 1930—31 წელში—600.000 მან და 1931—32 წელში—650.000 მანეთი.

ამ თანხებიდან სახელმწიფო ბიუჯეტით ნავარაუდევია 2.104.000 მან. ხოლო დანარჩენი თანხა: 1.780.000 მან. გაღებული იქნება საკუთარი საშუალებებიდან.

კაპიტალურ მშენებლობისთვის ნავარაუდევი თანხებიდან 215.000 მანეთი მოხმარდება მუშათა საბინაო მშენებლობის საქმეს.

1931 წლამდე აბრეშუმის მთელი წარმოება გადაყვანილი იქნება 7 საათის სამუშაო დღეზე. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში „საქართველოს აბრეშუმი" საზღვარგარეთ გაიტანს 1.432.000 მან. ნაწარმოებს.

მასწავლებელთა გადამზადება

თბილისის განათლების განყოფილება ყოველ წლიურად ზაფხულობით აწყობს წლიურ კურსებს სოფლის შრომის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად. ასეთი კურსები მოწყობილ იქნა მიმდინარე ზაფხულშიაც მანგლისში.

წელს კურსებზე მიღებულ იქნა მაზრის მასწავლებელთა, უმთავრესად საბაზო სკოლების მასწავლებელთა აქტივი, 90 კაცის რაოდენობით. მეცადინეობა კურსებზე სწარმოებდა ქართულ და რუსულ ენაზე.

განათლების სახალხო კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ მეცადინეობა კურსებზე უკვე დამთავრდა. კურსანტებმა მთლიანად შეითვისეს პროგრამა, რაიც დადასტურდა კონფერენციაზე, რომლითაც ჩვეულებრივ თავდება კურსები. პროგრამების დამუშავების დროს კურსანტები დიდ სიბეჯითეს და ცოდნას იჩენდნენ.

ჩვენი ვაჭრობა სპარსეთთან

ჩქარი ტემპით ვითარდება

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული თავრიზში (სპარსეთი) ამხ. კ. ნიკულინი, ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ნიკულინმა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ განაცხადა:

— უკანასკნელ ხანებში სპარსეთსა და საბჭოთა კავშირის შორის სავაჭრო ურთიერთობამ დიდი გაცხოველება ეჩინება. მე სრული ცნობები მაქვს სპარსეთის აზერბეიჯანის ბაზრის შესახებ და ვიცი, რომ სპარსეთის აზერბეიჯანის ბაზრის მთელი მოთხოვნილება, მაგალითად, ბამბის ქსოვილებზე კმაყოფილდება მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან გატანილი პროდუქციით. ჩვენი პროდუქციის ასეთი წარმატება სპარსეთის აზერბეიჯანის ბაზარზე აიხსნება იმ გარემოებით, რომ სპარსული მომხმარებელი ჩვენ მანუფაქტურას იძენს შედარებით უფრო იაფად და ამავე დროს ჩვენი მანუფაქტურა გაცილებით უკეთესი ღირსებისაა, ვიდრე სხვა სახელმწიფოდან შემოტანილი ფართალი. გარდა მანუფაქტურის ბაზრისა, ჩვენ შევსძელით აგრეთვე ის, რომ შაქრის ბაზრის მოთხოვნილებას მთელი ასი პროცენტით ჩვენ ვაკმაყოფილებთ. შარშან და გასულ წლებში ამ მხრივ ჩვენს კონკურენტებათ გამოდიან სხვადასხვა სახელმწიფოები, მაგრამ ბოლოს სპარსული მომხმარებელი დარწმუნდა, რომ მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია საბჭოთა შაქრის შეძენა.

საბჭოთა კავშირიდან საქონლის შეტანას სპარსეთში—[illegible] სპარსეთიდან გამოზიდვას შესამჩნევათ აბრკოლებს თავრიზის რკინის გზის გადაზიდვის უნარიანობის სისუსტე. თავრიზის რკინის გზას არ მოეპოვება საკმაო რაოდენობის მოძრავი შემადგენლობა, რის გამოც ვერ ხერხდება აქედან მიტანილი ტვირთის დაუყოვნებლივ გადაგზავნა სპარსეთის შიგნით პროვინციებში. აღნიშნული დაბრკოლების გადასალახავად, როგორც სპარსეთის მთავრობის, ისე ჩვენის მხრივაც უკვე მიღებულია შესაფერი ზომები. კერძოდ თავრიზის რკინის გზის სამმართველომ დაიწყო მოლაპარაკება ა.-კ. რკინის გზის სამმართველოსთან 50 საბარგო ვაგონის შესაძენად. ამ მოლაპარაკების დადებითად დამთავრება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის დაწყებულ ეკონომიურ - კომერციული საქმიანობის კიდევ უფრო განვითარებას.

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე სპარსელი ვაჭრების ფართო წრეები ღებულობენ მონაწილეობას. თუ გასულ წლების განმავლობაში აღნიშნულ ბაზრობაზე გამოდიოდნენ სპარსელი ვაჭრები მხოლოდ სამი პროვინციიდან, წელს ბაზრობაზე თავის საქონელი გააქვთ სპარსეთის ყველა პროვინციებიდან. სულ ბაზრობაზე სპარსეთიდან გატანილი იქნება 12.850.000 მანეთის საქონელი. ამ თანხიდან მარტო სპარსეთის აზერბეიჯანიდან გატანილი იქნება 1.000.000 მანეთზე მეტი საქონელი, უმთავრესად სამრეწველო მნიშვნელობის ნედლი მასალა—ბამბა, ე. წ. კარაკოზი და სხ.

ინგურის ქაღალდის ფაბრიკა

სპეციალურმა კომისიამ ინგურის ქაღალდის ფაბრიკის საალმშენებლო კომიტეტის მთავარ ინჟინერის თავმჯდომარეობით დაათვალიერა სვანეთის ყველა ის ტყეები (ჩუბის ხევის სატყეო აგარაკიდან ლატალ-იპარის უღელტეხილამდე), რომელთა ექსპლოატაციაც უნდა დაიწყოს ქაღალდის ფაბრიკის აგებასთან დაკავშირებით. დათვალიერებულია მდ. ენგურის და მისი შესართავების ნაპირებზე მდებარე ყველა ტყეები. კომისიის ამოცანას შეადგენდა ნედლი სატყეო მასალის მარაგის გამორკვევა.

ტყეების დათვალიერებამ გამოარკვია, რომ ქაღალდის ფაბრიკისათვის საჭირო წიწვიანი ჯიშები სწორედ ზემო სვანეთში მოიპოვება, ამასთანავე სოჭის ხე-ტყე, რომელიც ყველაზე უფრო გამოსადეგია ქაღალდის ფაბრიკისათვის. ამ რაიონიდან ყოველწლიურად გამოაქვთ 180.000 კუბ. მეტრის რაოდენობით. სოჭის ხე-ტყე შამგონის სახერხ ქარხანას და ქაღალდის ფაბრიკას მიეცემა თანაბარი რაოდენობით, რაც საშუალებას მისცემს ქაღალდის ფაბრიკას ყოველწლიურად დაამზადოს 16.386 ტონა ქაღალდი.

კომისიამ აღნიშნა, რომ ამ რაიონის მთაგორიანობის გამო სატყეო მასალების ექსპლოატაცია ძნელი იქნება, მაგრამ მათი დამუშავება მაინც შესაძლებელია. საჭიროა სატყეო მასალების დამუშავებისა და გადაზიდვის მექანიზაცია. ზოგიერთი ნაბიჯები უკვე გადადგმულია ამ მიმართულებით.

კომისიამ გამოარკვია, რომ ხე-ტყის დამზადება, მსხვილი ხეების გამოტანის არასარგებლიანობის გამო, რაციონალურად არ სწარმოებს. იმ მერქანის 50 პროც., რომელიც ამჟამად ამ რაიონიდან გადის, შეიძლება გამოყენებული იქნეს ქაღალდის ფაბრიკაში. ქაღალდის ფაბრიკისათვის საჭიროა მოკლე მორები, რომელთა ჩამოცურება მდინარეებით შეამცირებს გაზიდვის ხარჯებს.

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების მეორე ყრილობა

მეორე სხდომა

12 აგვისტოს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. დგვერელის მოხსენება შორაპნის მაზრის კოლ. მეურნეობათა მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შორაპნის მაზრაში 12 კოლმეურნეობაა, რომელშიაც 171 წევრია გაერთიანებული. კოლმეურნეობათა განკარგულებაშია 173 ქცევა მიწა.

კოლექტივებში არ არის დაწყებული მიწათმოწყობა, რაც ხელს უშლის კოლ. მეურნეობათა გაფართოებას. ამას გარდა მოისუსტებს იარაღ-მანქანებით მომარაგება. კოლექტივების გამგეობები და სარევიზიო კომისიები სუსტად მუშაობენ, ვინაიდან ისინი ვერ ერკვევიან კოლმეურნეობათა მშენებლობის პრინციპებში. შორაპნის მაზრაში კოლმეურნეობათა რიცხვი მეტად მცირეა. ამასთანავე ისინი დიდი მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთისაგან, ამიტომ ვერ მოხერხდა ჯგუფური განაერთების შექმნა.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შორაპნის მაზრაში კოლმეურნეობათა მშენებლობა შესაძლოა წავიდეს სწრაფი ტემპით მევენახეობის დარგში, მეფუტკრეობისა და მემინდვრეობაში. საჩვენებელი კოლექტივები ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოყალიბებული.

ამხ. დგვერელის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა, ახალც. მაზ. კოლმეურნეობათა ინსტრუქტორის ამხ. გ. კახიძის მოხსენება მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ახალციხის მაზრაში 4 კოლექტიური მეურნეობაა, რომელშიაც გაერთიანებულია 44 წევრი 88 დეს. მიწით. მიწათმოწყობის საკითხი 50 პროც. მოგვარებულია, მხოლოდ მოისუსტებს იარაღ-მანქანებით მომარაგება. კოლმეურნეობებს ხილის ბაღის გასაშენებლად, მუშა-საქ. შესაძენად და თესლის კამპანიის ჩასატარებლად სესხად მიეცა 4.339 მანეთი. კოლ. მეურნეობათა გამგეობის მუშაობა მოისუსტებს. საერთოდ ახალციხის მაზრაში კოლმეურნეობათა განვითარება შესაძლებელია შემდეგ დარგებში: მეხილეობაში, მებოსტნეობაში, მეფუტკრეობაში და ნაწილობრივ მემინდვრეობაში.

თელავის მაზრის კოლ. მეურნეობათა მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ. კარაპეტოვმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თელავის მაზრაში 34 კოლმეურნეობა ითვლება. წევრთა რაოდენობა 897-ს უდრის. მათ შორის ღარიბი გლეხობაა 499, საშუალო 81, შეძლებული—17. ისიც აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებზე პარტ. ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელია, ამასთან კოლექტივებს ჯეროვან ხელმძღვანელობას უწევს მაზ. აგრ. პერსონალი. კოლექტივების წმენდის დროს გამორიცხა 9 კულაკი. ჯგუფური განაერთი ატარდა 3 ადგილას. მომავალში აუცილებელია ჩამოყალიბდეს კოლმეურნეობები მეღვინეობის და პურის დამზადების დარგებში. მაზრაში მოეწყო 4 სადემო-საჩვენებელი კოლექტივი.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ცხვარაძის მოხსენება კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ ყოფ. სიღნაღის მაზრაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სიღნაღის მაზრაში 75 კოლ. მეურნეობა ითვლება, რომელშიაც გაერთიანებულია 1.308 კომლი. მიწათმოწყობა მაზრაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ამის გამო კოლმეურნეობათა 80 პროცენტი უზრუნველყოფილია მიწით. მაზრაში 5 საჩვენებელი კოლექტივია. კოლექტივების განვითარების ეკონომიურ ბაზის წარმოადგენს მევენახეობა-მემინდვრეობა. ამ უკანასკნელში შედის მეთამბაქოება, მარცვლეული კულტურა და მებამბეობა. კოლმეურნეობები 40 პროცენტით მომარაგებული არიან იარაღ-მანქანებით.

თბილისის მაზრაში კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მაზრაში ამჟამად არსებობს ერთი კომუნა, 29 სას.-სამ. არტელი და 20 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა. ამათგან 9 კოლმეურნეობა იწევა მესაქონლეობას და 20 მემინდვრეობა-მებაღეობა-მევენახეობას. წევრთა რაოდენობა 393 კომლს უდრის. კოლექტივებში გაერთიანებულია 767,5 ჰექტარი მიწა. მიწის მოწყობაზე მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს, მანქანებით მომარაგება მოისუსტებს. საჭიროა საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის გაძლიერებული იქნეს იარაღ-მანქანების მიწოდება. ხელმძღვანელობა პარტ. და საბჭ. დაწესებულებების მხრიდან დამაკმაყოფილებელია. მაზრაში მოწყობილია 3 საჩვენებელი კოლ. მეურნეობა.

ქიმიკოსთა მეშვიდე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე ბორჯომის შუშის ქარხნის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მთავარ საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელმა ამხ. ბუაჩიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბორჯომის შუშის ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს. 5 წლიან პერსპექტიულ გეგმის მიხედვით, ქარხანაში ბოთლების დამზადება გადიდებული იქნება 20 მილიონ ცალამდე.

ამხ. ბუაჩიძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ირიცპუხოვის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ.

მოხსენების შემდეგ ყრილობამ დაადგინა, რომ კავშირის წევრები 100 პროცენტით იქნან ჩაბმული სესხის გავრცელების საქმეში.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

კავშირის ცენტრალურ გამგეობაში წევრებათ არჩეულია 15 კაცი, კანდიდატებად—5. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს 3 წევრი და 2 კანდიდატი.

გუშინ, საღამოთი შესდგა ახლად არჩეულ გამგეობის პირველი პლენუმი, რომელზედაც ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. სურენ არაქელოვი, მდივნათ ამხ. დათიკო ჩიტაძე, მოლარეთ ამხ. გიორგი ბეჟაშვილი. მასვე დაევალა ახალგაზრდათა შორის მუშაობის წარმოება; ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ქ. მანჯგალაძე.

ილია ფერაძე

ამ დღეებში თბილისში მიწას მიაბარეს დამსახურებული პედაგოგი ილია ივანეს ძე ფერაძე: (ჩხერიმელისპირელი").

ილია ფერაძე დაიბადა 1866 წელს 10 ივლისს, სოფ. ნეძოძორში (შორაპნ. მაზრა). პირველდაწყებითი სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, ხოლო საშუალო—თბილისის სემინარიაში.

სემინარიაში ილია ფერაძე მაშინ სწავლობდა, როცა შესრულებულ იქნა პირველი ტერორისტული აქტი თბილისში ცნობილი სემინარისტის ლაღიაშვილის მიერ, რომლის არალეგალურ სამოწაფო ჟურნალში განსვენებულიც მონაწილეობას იღებდა, როგორც ერთ-ერთი თანამშრომელი.

სემინარიაში განსვენებული პირველ მოწაფედ ითვლებოდა და კურსის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო ხარჯით კიევის აკადემიაში გაიგზავნა, რომელიც 1893 წელს დაასრულა სიტყვიერების დარგში.

აქედან იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

განსვენებულის საფლავზე აღნიშნული იყო ფრიად საყურადღებო მოვლენა: მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული ძველი სკოლის ტრადიციებზე იყო აღზრდილი, ის არაჩვეულებრივის ხალისით შეხვდა ახალ სკოლას, საბჭოთა სკოლას, და მთელი თავისი ენერგიით ჩაება ამ სკოლის აღმშენებლობის საქმეში; განსვენებული განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა უკანასკნელი ორ წელს ქართული ენის მასწავლებელთა ასოციაციაში და ქართული ენის კაბინეტში თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილებასთან. ამ მუშაობის ნაყოფი იყო, სხვათა შორის, ფრიად საყურადღებო დამხმარე წიგნი ქართული ენისათვის: „ენის დაკვირვება", რომელიც შარშან განსვენებულმა, ილ. სიხარულიძესთან ერთად, გამოსცა.

განსვენებულის ხელნაწერებში ჩვენ შევხვდით საკმაოდ ვრცელ მოხსენებას: „ლიტერატურა და საზოგადოებრიობა", რომელიც მან ზემოხსენებულ ასოციაციაში წაუკითხავს.

თავის ნაწარმოებთა ბეჭდვა განსვენებულმა სტუდენტობაშივე დაიწყო 1890 წლიდან: პირველხანად ბეჭდავდა ლექსებს და პოემებს „მწყემსში" და „კვალში". შემდეგ პედაგოგიური და პუბლიცისტურ წერილებს „ივერიაში", „განათლებაში" და ბათომის გაზეთებში, აგრეთვე კრიტიკულ-ბიოგრაფიულ წერილებს ქართველ მწერალთა შესახებ (ნიკ. ბარათაშვილზე, გრ. ორბელიანზე, ვახტ. ორბელიანზე, გიორგი ერისთავზე და სხვ.). სხვათაშორის მას ეკუთვნის ფრიად საინტერესო მასალების პირველად გამოქვეყნება ოზურგეთის ყოფილი სასულიერო სასწავლებლის არქივიდან ეგნ. ნინოშვილის ბიოგრაფიისათვის ადგენდა სახელმძღვანელოებს საქ. ისტორიისათვის („საქ. მოკლე ისტორია"). სთარგმნიდა რუსულიდან დამხმარე ლიტერატურას ფსიქოლოგიიდან და სასკოლო ჰიგიენიდან და სხ.; ზოგი ამათგანი უკვე დაიბეჭდა, ზოგი-კი დაუბეჭდავი დარჩა ხელნაწერად.

გასულ ივლისში განსვენებულს 35 წლის მუშაობა შეუსრულდა მას შემდეგ, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობაში ჩაება. გარდაიცვალა ის 62 წლის.

ს. გორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

წყალსადენი

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა ორ ადგილას: მწვანე-ყვავილისა და ქომაში. აგებენ წნევის აუზს წმინდა წყლისათვის და წყალის გამწმენდ ნაგებობებს. მოსალოდნეფიჩხის მცხოვრებთათვის მოეწყოს დაწმენლია, რომ დაახლოებით სამი თვის შემდეგ სადილი წყალის მიწოდება.

ამჟამად ყველა სამუშაოებზე იმყოფება 140 კაცი. მუშაობა ხდება სამეურნეო წესით მუშათა არტელების საშუალებით.

საკონსერვო ქარხანა

დიდძალი ხილი და ბოსტნეულობა მოდის ქუთაისის მაზრაში. მაგალითად წარსული 1927 წლის განმავლობაში ხილისა და ბოსტნეულობის მოსავალი უდრიდა 31 მილიონზე მეტ კილოგრამს. აქედან რკინის გზით გატანილ იქნა მხოლოდ, (გარდა საზამთროსი და ნესვის) 10 მილიონი კილოგრამი, ხოლო გაუტანელი და გაუსაღებელი დარჩა 16 მილიონ კილოგრამამდე ხილი და ბოსტნეული.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს სათანადო ორგანოებმა და ამჟამად გადაწყვეტილია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით აგებულ იქნეს საკონსერვო ქარხანა მუხიანში, რისთვისაც გადადებულია 400 ათასი მანეთი. ქარხანა უნდა დამთავრდეს ორ წელში. განზრახულია ხილის სახმობი ქარხნის მოწყობა სამტრედიაში. ქუთაისის აღმასკომმა დაავალა სამიწათმოქმედო განყოფილებას, რაც შეიძლება დიჩქარებით იქნეს გამონახული საკონსერვო ქარხნისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი.

საავადმყოფო ტყიბულის მუშებისათვის

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშებისათვის ახალი საავადმყოფოს ასაგებად გადადებულია 146 ათასი მანეთი. შენობის აგება უნდა დამთავრდეს ერთი წლის განმავლობაში.

ბინები მილიციისათვის

ქუთაისის აღმასკომის დადგენილებით მომავალ საბიუჯეტო წლის განმავლობაში საკუთარ ბინებს ააგებენ: სვირის, ბაღდათის, ხრესილის, ვანისა და სამტრედიის სამილიციო რაიონებისათვის.

ოთხწლედი ტყიბულის მაღაროებისათვის

ქუთაისის აღმასკომის დადგენილებით მომავალი სამოსწავლო წლიდან ტყიბულის მაღაროებში დაარსდება ოთხწლედი.

გლეხკომები

ამჟამად ქუთაისის მაზრაში არსებობს 47 სათემო და 3 სასოფლო გლეხკომი, რომელნიც აერთიანებენ 37 ათას წევრს. გლეხკომთა შემოსავლიდან სამეურნეო იარაღებზე იხარჯება 70 პროც., სათადარიგო ფონდში გადადის—10 პროც., ხოლო 20 პროც. მიდის საორგანიზაციო და სხვა ხარჯებისათვის.

გლეხკომების განკარგულებაშია ამჟამად 178 ქცევა მიწა.

წარსული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე გლეხკომების მიერ შეძენილია 278 ცალი სამეურნეო მანქანა, რომლითაც უსარგებლნია 1,401 წევრს.

ახალი სპორტიული საზოგადოება

შუა ივლისიდან ქუთაისში მოქმედება დაიწყო ახალ პროლეტ. სასპორტო საზოგადოება—„დინამო“-მ.

მილიციაში

მილიციის სამწყობრო შემადგენლობის კვალიფიკაციის აწევის მიზნით ქუთაისის აღმასკომმა წინადადება მისცა ადმინისტრატიულ განყოფილებას, რათა მომავალში მილიციის სამწყობრო შემადგენლობის შევსება ხდებოდეს დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიელებისა და ცვალებად შემადგენლობაში მყოფ პირთაგან.

მშენებელთა კავშირში

12 აგვისტოს მშენებელთა კავშირმა მოიწვია ახალგაზრდათა სამაზრო კონფერენცია.

კავშირი შეუდგა ქვემდგომ ორგანიზაციათა მუშაობის გამორკვევას.

კავშირის ხარჯზე საამშენებლო სასწავლებელში მივლინებულია 2 ახალგაზრდა. ვანში ჩამოყალიბდა ხსენებული კავშირის საადგილკომო

სასამართლოში

11 აგვისტოს, მესამე უბნის სახალხო სასამართლომ 2 წლით დაპატიმრება მიუსაჯა ნიკოლოზ კიტუანს ორცოლიანობისათვის.

ქრონიკა

ინდუსტრიალიზაციის სესხის მეოთხე ტირაჟი

20, 21 და 22 აგვისტოს ქალაქ სტალინგრადში მოხდება ინდუსტრიალიზაციის სესხის მოგებათა მეოთხე გათამაშება. გათამაშებული იქნება 23 300 მოგება 3.001,500 მანეთის რაოდენობით.

1926 წლის მომგებიანი სესხის მერვე გათამაშება

1 სექტემბრისათვის დანიშნულია 1926 წლ. სახელმწიფო მომგებიანი სესხის მერვე გათამაშება. სულ გათამაშებული იქნება 1,600,000 მანეთის მოგება. აქედან ერთი მოგება — 100.000 მანეთიანი, 2—თითო 50.000 მანეთიანი, 3—25.000 მანეთიანი, 5—10,000 მანეთიანი, 10—5 000 მანეთიანი, 79—1.000 მანეთიანი, 250—სამას მანეთიანი და 850—თითო —200 მანეთიანი.

სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტრუქტორთა ყრილობა

დღეს თბილისში გაიხსნება სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტრუქტორთა ყრილობა.

ხორბლის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს ცნობებით, 11 აგვისტომდე, საქართველოში დამზადებულია სულ 21.689 ფ. ხორბალი და 6.603 ფ. ქერი. დამზადების კამპანია განსაკუთრებით, გაცხოველებით მიმდინარეობს კახეთის მაზრაში.

500.000 ფ. კარტოფილი

ა.-კ. კოოპერატიული კავშირი, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე წლისათვის დაამზადებს 500.000 ფ. კარტოფილს. აქედან 200.000 ფ. საქართველოსთვის და 300.000 ფ. აზერბეიჯანისათვის. კარტოფილის დამზადებას „ზაკოიუზი“ აწარმოებს ტვერის პურის დამამზადებელ ამხანაგობის საშუალებით.

კარტოფილის შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში დაიწყება პირველ ოქტომბრიდან.

ყველა დაწესებულებების საყურადღებოთ

თბილისის შრომის ბირჟა აცხადებს ყველა დაწესებულებების საყურადღებოთ, რომ იგი არავითარ ცნობებს მასთან აღრიცხვაზე მყოფ უმუშევრების შესახებ არ იძლევა.

მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის წარმომადგენელი „ზაკსელმაში“-ს კომისიაში

„ზაკსელმაშ“-თან შექმნილია ცენტრალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სასოფლო-სამ. მანქანების გასაღების საქმის გამარტივების მოგვარება და იმის გამორკვევა, თუ რომელი რაიონისათვის, რომელი მარკის მანქანა-იარაღი უფრო გამოსადეგია.

საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მუდმივ წარმომადგენლად ზემოაღნიშნულ კომისიაში დანიშნულია ინჟინერ-აგრონომი პროფესორი კ. ამირაჯიბი.

სახელმძღვანელოები სასწავლებლებისათვის

განათლების სახალხო კომისარიატის ცნობით, ამჟამად უკვე დაბეჭდილია სასწავლებლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების 80 პროცენტი. დანარჩენი სახელმძღვანელოებიც დაიბეჭდება მიმდინარე თვის დამლევამდე და სამოსწავლო წლის დამდეგისათვის სასწავლებლები სრულებით უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმძღვანელოებით.

სახლების მეპატრონეთა დაჯარიმება.

უცხოელ მოქალაქეთა საბინაო დავთარში გაუწერლობის გამო შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დააჯარიმა 135 სახლის პატრონი. თვითეული მათგანი დაჯარიმებულია საშუალოდ 100 მანეთით.

ბროშიურა ტრაქტორების შესახებ

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა გამოსცა პროფ. კ. ამირაჯიბის ბროშიურა: „ხოლტის და ინტერნაციონალის ფირმების ტრაქტორების საქართველოს მუშაობის პირობებში გამოცდის შედეგები“. ბროშიურის ტექსტი დასაბუთებულია.

ახალი ბაზარი

ახალი ბაზრის მოწყობა ამჟამად გაცხოველებით სწარმოებს. ბაზრის მოწყობა დამთავრდება ერთი კვირის განმავლობაში. ახალ ბაზარში მოთავსებული იქნებიან უმთავრესად მეწვრილმანეები, რომლებიც ამჟამად ვაჭრობენ რუსის ქუჩაზე. ბაზრის მოწყობა დაჯდა დაახლოებით 30.000 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ სასოფლო მეურნეობის გეგმა. სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შესადგენად განზრახულ თათბირის მოწვევის ხარჯების დასაფარავათ, თბილისის აღმასკომმა გადასდო—2 500 მანეთი.

◆ თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა თბილისის მაზრაში მოქცეულ საკურორტო ადგილებში საკურორტო გადასახადის პროექტი.

◆ ფაბრიკის შეკეთება. გემო-კვების გალეტისა და საშაქარლამო ფაბრიკის შესაკეთებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო — 22,019 მანეთი.

◆ მუშათა სახლი. 25 თებერვლის ქუჩაზ. № 10, თბილისის აღმასკომი აგებს მუშათა სახლს 6 ბინით (18 ოთახი). სახლის აგება დამთავრდება ერთ თვეში. სახლი ჯდება სულ 58,000 მანეთი.

24 ოთახიანი სახლი შენდება აგრეთვე ლერმონტოვის ქუჩაზე.

◆ ეტლების დასადგომი. ეტლების გაჩერების ადგილებზე მეტი სისუფთავის დაცვის მიზნით თბილისის აღმასკომმა დაადგინა პუშკინის და შტაბის ქუჩებზე და ერევნის მოედანზე მოაწყოს ეტლების დასადგომი ადგილები, რომლებიც მოგებული იქნებიან ასფალტით.

◆ ამბულატორიის შეკეთება. თბილისის აღმასკომი ამჟამად აწარმოებს ჰიგიენური ინსტიტუტის (პუშკინის ქუჩა № 10) შენობის კაპიტალურ შეკეთებას, რისთვისაც გადადებულია 5000 მან. ინსტიტუტის შეკეთება დამთავრდება 15 სექტემბრისათვის.

◆ ქუჩების შეკეთება. თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება ამჟამად აწარმოებს ქუჩების შეკეთებას. შერემეტევის ქუჩა შეკეთებული იქნება 400 საჟენზე. ტრამვაის ქუჩა—213 საჟენზე, კლარა ცეტკინის ქუჩა—550 საჟენზე, ორჯონიკიძის ქუჩა — 400 საჟენზე და ეორისის ქუჩა (მოგებული იქნება კუბიკური ქვის ძელებით)—300 საჟენზე.

შრომის ბირჟაში

◆ დაზღვეულ უმუშევართა რეგისტრაცია. ამ დღეებში, შრ. ბირჟაში დაიწყება დაზღვეულ უმუშევართა რეგისტრაცია.

◆ კოლექტივების გადაცემა. საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა უმუშევართა კოლექტივები გადაეცემა შრომის ბირჟას.

◆ მუშა-ქალთა გადამზადება. შრომის ბირჟა ახლო მომავალში აწყობს მქსოველ მუშა-ქალთა გადასამზადებელ კურსებს. კურსების მოსაწყობათ გადადებულია 800 მან.

◆ რკ. გზის კოლექტივები. ტრანსპორტზე არსებული უმუშევართა კოლექტივები გადაეცა ამიერ-კავკ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას.

◆ ებრაელების მოწყობა სამუშაოზე. შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 7 უმუშევარი ებრაელი.

◆ უმუშევართა თავშესაფარი. ახლო მომავალში დამთავრდება უმუშევართა თავშესაფარის აგება. თავშესაფარი დაიტევს 200 კაცს.

◆ კატალოგების წმენდა. უმუშევართა ნამდვილი რაოდენობის გამოსარკვევად ამ დღეებში შრომის ბირჟაში დაიწყება სექციების კატალოგების წმენდა.

ჩაუბარებელი დეპეშები

მარტვილიდან — ლაგვილავას, მოსკოვიდან —სიმხაევს, პოლოცკიდან — ანტონოვიჩს, ქერჩიდან — ნესტეევს, ქიურდამირიდან — ბურინიანცს, ულიანოვსკიდან — კულიშვილს

ხელოვნების ქრონიკა

◆ რუსთაველის თეატრში სეზონი გაიხსნება პირველ ოქტომბრიდან.

◆ სახ. ოპერის თეატრში სეზონის გახსნა მოსალოდნელია პირველ ნოემბერს.

დღეს მუშათა კლუბებში

◆ ახალ მუშათა კლუბში დღეს დაიდგმება კომედია „მთვარე მარცხნივ“.

◆ პლეხანოვის მუშათა კლუბში. ჭიათურის მუშათა სატირის თეატრის გასტროლები.

◆ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში. გაიმართება სიმფონიური კონცერტი დირიჟორ ხესინის ხელმძღვანელობით.

◆ მშენებელთა კლუბში სომხ. დრამის მსახ. არმენიანის ხელმძღვანელობით დაიდგმება პიესა „ყაჩაღები“.

◆ მედსანშრომის მუშათა კლუბში—ვერა მაის სახელობის ცეკვისა და ხელოვნების საღამო.

◆ წით. არმიის კლუბში—საღამო კონცერტი.

◆ ხელოსანთა კლუბში გაიმართება საღამო-წარმოდგენა.

დღეს კინოებში

◆ ეთერში—„მიმავალი ჩრდილები“.

◆ განთიადში—„დიდ ქალაქში“.

◆ პალასში—„ვინ არის დამნაშავე“.

◆ პროლეტარი—„რობინზონ კრუზო“.

სასამართლო

ახირებული „ხუმრობა“

გუშინ, მეოთხე უბნის სახალხო სასამართლოში ამხ. გ. ანდრიაძის თავმჯდომარეობით დაიწყო ტატულ და ნიკოლოზ ოგანეზოვების და მოქ. მუსტაფიანის საქმის გარჩევა.

საქმის შინაარსი ასეთია: ხსენებულ პირებს (პლეხანოვის პროსპექტზე № 86) ჰქონდათ ფეხსაცმელების სახელოსნო. წარსულ წელს სახელოსნოში შევიდა მე-9 უბნის უფროსი მილიციელი გიორგი დანელია, რომელმაც ითხოვა გაეკეთათ მისთვის ტყავის ჩანთა.

ოგანეზოვები საერთოდ „ხუმრობის“ მოყვარული ბიჭებია. მათ თვალი უქნეს ერთმანეთს და დანელია დასვეს სკამზე, რომელსაც შერჭობილი ჰქონდა ქვევიდან მახათი. ეს მახათი ისე იყო მიმაგრებული, რომ ძაფის მოწევის შემდეგ სკამზე მჯდომს მახათი შესობოდა.

დანელია დაჯდა სკამზე. მან ტკივილი იგრძნო და ყვირილით წამოვარდა სკამიდან:

— მიშველეთ! რაღაც შემესო სხეულში.

— რა მშიშარა ყოფილხარ კაცო! დაწყნარდი, საშიში არაფერია,—ამედებენ მას ოგანეზოვები და მუსტაფიანი.

დანელია სახე გაფითრებული შესცქეროდა ოგანეზოვებს, ხოლო უკანასკნელები კი კისკისებენ. მათმა სიცილმა დანელიას ეჭვი გაუძლიერა.

— თქვენ, ალბათ, ეს განზრახ მომიწყვეთ.

— ხომ არ გაგიჟდი კაცო რა ინტერესი გვქონდა შენი.

იმ დღიდან დანელია საშინელ ტკივილებს გრძნობს.

ექიმებმა მას რამოდენიმეჯერ გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ არ მოხერხდა მახათის სხეულიდან გამოღება.

ოგანეზოვების „ხუმრობას“ შედეგათ მოჰყვა ის, რომ დანელია დასნეულდა და დაკარგა შრომის უნარი.

სათანადო ორგანოებმა ოგანეზოვებს და მუსტაფიანს ჩაუმწარეს ხუმრობის ხასიათი და პასუხისგებაში მისცეს.

გარდა ამისა, მათ ქონებას დადებული აქვს ყადაღა 6000 მანეთი, რაც უნდა მოხმარდეს დანელიას გამოჯანმრთელებას.

გასამართლებას დიდძალი ხალხი ესწრება. სამოქალაქო სარჩელს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: მ. ღვამიჩავა, მ. ტატიშვილი და სხ.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

—:—

ხულიგანი არუთინოვი

არსენ მარტიროსის ძე არუთინოვი კვირაში სამ-ოთხჯერ მაგრად დათვრებოდა რესტორანში.

შეზარხოშების შემდეგ ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდა ქუჩაში გამვლელებს.

ამას წინად მან ჩვეულებრივად იქეიფა რესტორანში. როცა დათვრა, მიუბრუნდა რესტორანის პატრონს და ერთი ალიაქოთი აუტეხა.

შემდეგ გამოვარდა და გამვლელებს დაერია. ერთი ბავში ისე შეაშინა არუთინოვმა, რომ დღესაც აკაკალებს მას შიშისაგან.

შემდეგ ერთ-ერთ მგზავრს ისეთი სილა გააწნა, რომ რეტდასხმული მოქალაქე გაიშხლართა ფილაქანზე.

წაქცეულ მოქალაქეს შესდგა ფეხებით და დაუწყო ზელა.

არუთინოვი დააპატიმრეს.

სათანადო ორგანოებმა არუთინოვი ორი კვირით „მიავლინეს“ გამასწორებელ სახლში.

გ. კოკილაშვილის საქმე.

შრომის სასამართლომ გაასამართლა გრიკოლ გრიგოლის ძე კოკილაშვილი.

კოკილაშვილი თავის ღვინის სარდაფში (პლეხანოვის პროსპ. № 65) ამუშავებდა მოქ. გლადკოვს და ჭანკოტაძეს, რომლებსაც არ აძლევდა არც სპეცტანისამოსს, არც შვებულებას და არც შრომის ხელფასს.

სასამართლომ კოკილაშვილი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში და მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

—:—

ტრაგიკულად დამთავრებული ქეიფი.

ამას წინად თედორე იორდანის ძე მაისურაძე საბჭოთა ქუჩაზე შეხვდა თავის მეგობარ შაქრო ქართველიშვილს, რომელმაც იგი თავის სახლში მიიპატიჟა.

— შენც ერთი, მეპატიჟები, წყენის კილოთი ეუბნება მაისურაძე ქართველიშვილს, მე შენ გეტყვი ნაფარეული და „ჩეფი“ არ დამახვედრო.

— ვერ იცნობ, როგორც გეტყობა, ქართველიშვილს. თქვენთვის ჩემო თედორე ღვინოს კი არა „შამპანიურს“ გავაჩენ.

ქართველიშვილმა მართლა ბრწყინვალედ შეასრულა დაპირება.

მაისურაძე და მისი კომპანია მოუჯდა სუფრას. დაიწყო სადღეგრძელოები.

ბოლოს მაისურაძე „ხუმრობის“ გუნებაზე მოვიდა და იძრო „ნაგანი“.

— ამას დასუნე შაქრო. ხომ კარგი სუნი უდის.

— აბა, ასეთ „ხუმრობას“ თავი დაანებე,— ემუდარება მას მასპინძელი.

— რას ამბობ კაცო, არ უნდა გავიგო ვარდება თუ არა ჩემი რევოლვერი,—სთქვა ეს მაისურაძემ და გავარდა კიდევაც.

ტყვია მოხვდა მოქ. ბაგრატ სეხუაშვილს. რომელიც მძიმედ დაიჭრა. შეიქნა ქალების კივილი. ამ აურ-ზაურის დროს მაისურაძე გამოვარდა ოთახიდან და მოკუსლა.

დაჭრილი სეხუაშვილი გადაგზავნეს ქალაქის საავადმყოფოში. მესამე დღეს სეხუაშვილი გარდაიცვალა.

მაისურაძე დააპატიმრეს.

სასამართლომ დამტკიცებულად ჩასთვალა ის გარემოება, რომ მაისურაძემ მკვლელობა უცაბედათ ჩაიდინა, რისთვისაც მიუსაჯეს მას 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თ.

ავიახიმში

პრეზიდიუმის სხდომა

ხუთშაბათს, 16 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ამხ. ვ. გოირგაძის კაბინეტში (მე-2-ე ქართ. დივიზიის შტაბი) შესდგება საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა.

ამიერ-კავკ. ავიაქიმის შემადგენლობა

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში ირიცხება—169 874 წევრი. აქედან: მუშა—40.175, გლეხი—45,993, მოჯამაგირე—3.455, მოსამსახურე—41.400, სამხედრო პირნი—18 160, მოსწავლე—15,380 და სხვა—5.466.

წევრთა საერთო რიცხვიდან მამაკაცების რიცხვი უდრის—81 პროცენტს, ქალების — 19 პროცენტს.

საზოგადოების რიგებში მუშაობს—936 თადარიგის მეთაური.

ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის აქვს შემდეგი პრაქტიკული ორგანიზაციები: კლუბი—3, ავიაქიმის კუთხე—996, ბიბლიოთეკა — 264, მუდმივი გამოფენა—1, ქიმიური ლაბორატორია—2, სამხედრო ცოდნათა წრე—562, სასროლო წრე—760, ავიაციისა და ქიმიის შემსწავლი წრე—88, სამედლო წრე—17, ტირი—114.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ, დღისით, გაბაევის შესახ. ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 18. ცეცხლმა მალე საშიში ხასიათი მიიღო. დაიწვა აპოლონ ნეფარიძის საოჯახო ავეჯეულობა. ხანძარი ჩააქრო სახანძრო რაზმმა.

ხანძარი გაუჩნდა აგრეთვე ღვინის აღმ. მდინარე სახლს № 34. ზარალი უმნიშვნელოა. ხანძარი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

უბედური შემთხვევა

მოქ. გრიშა ჩობოგავას (მცხ ორთაჭალის კუნძულზე) საბჭოთა ქუჩაზე ეტლში შებმულმა ცხენმა თავში ჩაარტყა ფეხი და მძიმედ დააშავა. ჩობოგავა გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

დახრჩობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიღებული ცნობების თანახმად, ვიღაც ბოროტმოქმედნი ამას წინად თავს დაესხნენ თავის ბინაზე სოფ. თაზაკენტში (ყარაიას სამილიციო რაიონი) მცხოვრებ გოზალ ჩოფურ-ყიზის და დაახრჩვეს ყელში თოკის წაჭერებით.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

ქურდობა

ივანე სმოლნიკოვს კოჯრის გზაზე მოპარეს 110 მანეთის პაპიროსი.—ქურდობისათვის დააპატიმრეს ხაიმ მოსესძე რეზნიკოვი და მამედ აბდულ-ოღლი.

„სოფლის კავშირში“

ტეხნიკური თათბირი

ამ დღეებში „სოფლის კავშირში“ ჩატარდა ტეხნიკური თათბირი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების და მეღვინეთა და მეცხვარეთა ამხანაგობებისათვის ანგარიშწარმოების ფორმებისა და ახალი ნომენკლატურის დასამუშავებლად.

თათბირს დაესწრო 14 ამხანაგობის ბუღალტერი.

თათბირმა დაამუშავა ყველა მასალები და საბოლოოთ ჩამოსაყალიბებლათ გადასცა „სოფლის კავშირის“ საორგანიზაციო განყოფილებას.

ტეხნიკური თათბირის მიერ დამუშავებული ანგარიშწარმოების ფორმები 1-ლ ოქტომბრიდან საფუძვლად დაედება საქმის წარმოებას სხვადასხვა ამხანაგობებში.

რკინისგზებზე

კოლხელშეკრულებებს არ ასრულებენ

რკინის გზებზე პროფმუშაობის გამოკვლევამ გამოარკვია, რომ კოლხელშეკრულებას უსუსურებლობის გამო ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს ადმინისტრაციისა და ადგილკომებს შორის. ამიტომ გზების გამგეობამ წინადადება მისცა ხაზის ადმინისტრაციას უყოყმანოთ შეასრულონ ადგილკომის მოთხოვნილებები, რომლებიც გენერალურ ხელშეკრულებას ემყარება.

ლიანდაგიდან გადავარდნა

მელაანი-ბადიაურის გადასარბენის მე-93 კილომეტრზე ლიანდაგიდან გადავარდა საბარგო მატარებელი № 295-ის შემადგენლობიდან 10 დატვირთული ვაგონი. გურჯაანიდან გაგზავნა დამხმარე მატარებელი.

დაჯახება

13 აგვისტოს სადგ. ქიურდამირში საბარგო მატარებელი № 1081 მიღებულ იქნა ვაგონებით დაკავებულ ხაზზე.

დაჯახების დროს საგრძნობლად დაზიანდა 5 დატვირთული ვაგონი. სწარმოებს კვლევა-ძიება.

ჭაობების ამოშრობა

ამიერ-კავკ. რკინის გზებზე ჭაობების დაშრობათ და მალარიასთან საბრძოლველად მიმდინარე წლისათვის გადაიდო 165 000 მანეთი.

საბავშო ბაღები

ამიერ-კავკ. რკინის გზებზე საბავშო ბაღების ორგანიზაციისა და შენახვისათვის წელს დახარჯულია 45 000 მანეთი.

მეორე ხაზი

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მეორე ხაზის გასაყვანად ბალაჯარასა და აჯიკაბულს შორის.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 15 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: მარკოზ ავაქოვი, ალექსანდრე ყურბანოვი, ვ. ხერხეულიძე, ნიკოლოზ ქურთიევი, ევგენი სუნდუკიანცი, მარიამ სპიცინა, ვერა ტერზიანი, ვერა ბიჩკოვა, ვერა ვარძიელაშვილი, ვერა ლაფერაშვილი, ელენე მურადოვა ვარვარა ჩერიტკოვიჩი, მარგალიტა ფანოჩიანი, ანა კონიაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: გიორგი რამიშვილი, სოფიო ჩიქოვანი, მიხეილ ეუფუნაძე, ივანე კოპაძე, იაკობ კარტაშევ, მარიამ მუკასაშვილი, ნინო სართანია, ეკატერინე კვერკველია, თამარ მირიანაშვილი, როზანა პრილუცკაია, ტატიანა მახვილაძე, გიორგი მაჭარაშვილი, სტეფანე მეურაშვილი, აკაკი თოდუა, ალექსანდრე ბუდელი, ნინო თოხაძე, ვლადიმერ გოფენი, გიორგი კიანჯუნცევი, აბესალომ კეკელიძე, პარმენ ტოროთაძე, სიმონ კალანდარიშვილი, აკაკი ახვლედიანი, პროკოფი ქორდავა, ქეთევან ყიფიანი, თამარ კორინთელი, მარიამ საბაშვილი, მადლენა ანდღულაძე, ნინო ჭიჭინაძე, გიორგი ენუქიძე, ანა როდიონოვა; გერასიმე მახარაშვილი, თამარ სერებრიაკოვა, და ელენე პოლოსიანი.

შავ მუშაკთა მესამე სექციიდან: ნიკოლოზ ბარნოვი, ისაკ შარიქაშვილი, ერმილე ძნელაძე, ნიკოლოზ სანდამოვი, გიორგი ტერტერაშვილი, გარეგინ ოვანესიანი, ტირენტი ხვადაგიანი, არონიკ ხასიევი, დიმიტრი ვაშტაშვილი და ნიკოლოზ ტრაპაიძე.

რკ. გზელთა სექციიდან: გიორგი ლიპარტიანი, ალექსანდრე სტანიშევსკი და ბიქტორ გაგოშიძე.

რადიო გადაცემა

ოთხშაბათი, 15 აგვისტო

დღეს, 15 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—მოხსენება ქართულ ენაზე.

როგორ ავიცილოთ თავიდან ვენერიული სნეულებანი—ქართულ ენაზე.

მუშათა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი—ქართულ ენაზე.

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება [illegible] ლო კოოპერაციაში—რუსულ ენაზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ—ფინსახკომის მოხსენება—რუსულ ენაზე.

მოხსენება პარტიის მეორე ყრილობის შესახებ—თურქულ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისათვის საამშენებლო მუშაობის საწარმოებლად გრძელვადიანი კრედიტის მიცემის პირობების შესახებ

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისათვის საამშენებლო მუშაობის საწარმოებლად გრძელვადიანი კრედიტის მიცემის საქმის მოსაწესრიგებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და საქალაქო საბჭო, რომელსაც სურს ისარგებლოს მშენებლობისათვის (საბინაო, კომუნალური, კულტურულ - სოციალური, სამრეწველო და სხვ.) გრძელვადიანი კრედიტით, მოვალეა გაითვალისწინოს საჭირო თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში.

2. ამა თუ იმ მშენებლობის საჭიროება და სამისო თანხის რაოდენობა სათანადოთ დასაბუთებულ უნდა იქნეს ბიუჯეტთან დართულ ახსნა - განმარტებაში; ამასთანავე ბიუჯეტს უნდა დაერთოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საამშენებლო - სატეხნიკო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა.

3. ამა თუ იმ ადგილობრივი ერთეულისათვის გრძელვადიანი კრედიტის მიცემის საჭიროებისა და რაოდენობის საკითხს შეიმუშავებს წინასწარ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს კომუნალურ ბანკთან ერთად.

4. გრძელვადიანი კრედიტის რაოდენობა საბოლოოდ განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

5. დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი გრძელვადიანი კრედიტის მიცემა ბიუჯეტის შესრულების პროცესში არ შეიძლება.

6. ამა დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეუძლიან გამოსცეს ინსტრუქცია.

7. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისარიატთა საბჭოებს გამოსცენ ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილების ანალოგიური დადგენილებანი.

8. წინადადება მიეცეს სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიიღოს სახელმძღვანელოდ ეს დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე **ივანოვ - კავკასიელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მეგრელიშვილი.**

1928 წ ივლისის 31.

თბილისი - სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 15 აგვისტოს, დილის 11 საათზე საქ. კომ. პარტიის (ბ) ცკას აგიტპროპგანყოფილების გამგის კაბინეთში შესდგება საუნივერსიტეტო კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ყურულაშვილი; კანდელაკი; ასრიბეკოვი; ჯუღელი; ტოროშელიძე; ორახელაშვილი მარიამი; კანდელაკი ვ., სულაქველიძე; გეგენავა; გვაზავა; სამხველიძე; ზახაროვი; მიქაძე და ბარნაბიშვილი.

—:—

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საარიცხვო-გამნაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10), ამხ. კვირიკაძესთან.

არშავირ ავეტისის ძე ავაქიანი, გაიკ გაბრიელის ძე გიული—კევხიანი, ნიკოლოზ სიმონის ძე გოროდეზიანი, არჩილ კონსტანტინეს ძე ქარდავა, დიმიტრი სიმონის ძე ჯორბენაძე, ჯავარლი მამედ-გასან-ოღლი, ვენიამინ ანტონის ძე დოლიძე, გალაქტიონ ამბაკოს ძე კობალაძე, რუბენ კირილეს ძე კბილაძე, ალექსანდრე ეფიმეს ძე ფრუიძე, ივანე ტიმოთეს ძე სეფერთელაძე, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ფედოტოვი, ტრიფონ ტიმოთეს ძე ცაგარეიშვილი, კალისტრატე მელიტონის ძე ჭყონია და ალექსანდრე არტემის ძე შახსუვრალოვი.

თბილისს გარეშე მყოფი ამხანაგები ნუ ჩამოვლენ, შეგვატყობინონ თავისი ადგილმყოფელობა წერილობით.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ატყობინებს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა.

პეტრე უშანოვს, არჩილ მამულაშვილს, დავით გორმაშვილს, ივანე ლომითაშვილს, არტემ გულაზოვს, მიხეილ გამბაროვს, შალვა კენჭაძეს, არტაშ გუკასოვს, გიორგი მენთეშაშვილს, ივანე დიდენკოს, გიორგი ამერიძეს, გიორგი ვიშლიანსკის, საბა სელიმაშვილს, სიმონ მაჭავარიანს, ვასილ ბაკალოვს და ალექსანდრე გაბრიელიანს.

—:—

ლენინაიონის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში შესდგება დელეგატ-ქალთა საერთო კრება. ყველა დელეგატ-ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

მეუღლე ეკა, შვილები: ზინოვი მეუღლე მარგარიტათი და არტემ ანეტათი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ბათლომე გიორგის ძე ჩაპოძეს

გარდაცვალებას 13 აგვისტოს ჩოხატაურში. დაკრძალვა ჩემო სოფელში 3310

სახელმწიფო კინოები		
განთიადი	სეზონის საუკეთ. სურათი	**დიდ ქალაქში**
საზაფხულო ეთერი	მხატვრული სურათი	**ტყის ზღაპარი**
საზაფხულო დარბაზი		**მიმავალი აჩრდილნი** მოზჟუხინის, ლის ნქოსა და კოლინის მონაწილეობით
საზაფხულო პალასი		**ვინაა დამნაშავე** (ახერ ფალდ ვისტიდან) წუწუნავას დადგმა მთავ როლებში: ნატა ვაჩნაძე, მიქაბერიძე და სხვ.
პროლეტარი ავლაბარი		**რობინზონ კრუზო** 5 და 6 სერია

0—12

მალე

კინო-ეთერი

ამერიკული კინო-რომანი

რობინზონ კრუზო

ნ. 1493

საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა საზაფხულო კლუბი

დღეს, 15 აგვისტოს

სიმფონიური კონცერტი

ცნობილი დირიჟორის **ა. ბ. ხესსინის** ხელმძღვანელობით

სოლისტ-სკრიპაჩის ლევ ბენდიცკის მონაწილეობით

პროგრამაში: რიმსკი-კორსაკოვი, ბრამსი, ბერლიოზი.

ბაღში — კინო. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.

შემდეგი კონცერტი ხვალ, 16 აგვისტოს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. ნ 1490

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ პარასკევს, 17 და შაბათს 18 აგვისტოს, დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისაგან დავალიანებათა ასანაზღაურებლად. გაიყიდება გალანტერეია, ბუფეტები, გარდერობები, ხალიჩები, პირისაბანები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1494

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებ. ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 18 აგვისტოს 1928 წ. დღის 4 საათზე სახლში № 25 კალინინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გრიგორ დანელიანცის მოძრავ ქონებას: ფრაუის სამოვარს, ნიკელის საყავეს, 3 ნაჭერ რბილ ავეჯს და სურათებს შეფასებულს 58 მანეთად, მოქ. თამარა არიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-5 სახ. სანოტ. კონტორისაგან 6 დეკემბ. 1927 წ. თარიღით, № 2196, 2198 გაცემულ აღსრულების წარწერისა. 3309

ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვ. პ. გაბუნია

ამით აცხადებს, რომ ის 21 აგვისტოს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 5 გრიბოედოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ზაქარია დავითის-ძე პოპოვის მოძრავ ქონებას: სარკე ტრიუმოს, საქანელი სკამს, კედლის ხალიჩას, სათამაშო ბამიდას, კამოდს, სასადილო მაგიდას, ექვსი ცალი სამაგიდო სკამებს, კედლის საათს, საწერლო მაგიდას, სამოვარს ნიკელის და ტანისამოსის შკაფს შეფასებულს სულ 228 მანეთად ქ. ადესის მკვებავ მრეწველობის ტრესტის ვალის 425 მან. 11 კაპ. დასაკმაყოფილებლათ თანახმად ქ. ადესის მე-3 რაიონის სახ. სასამართლოს 5 მაისის 1928 წ. № 1367 გაცემულ ბრძანებისა ლენინგრადის სახელმწიფო კონის ტრესტის 248 მ. 45 კ. ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად ლენინგრადის სანოტარო კონტორის წარწერისა 6 მარტის 1928 წ. თარიღით № 10519 და ლენინგრადის ზეთქონის ტრესტის 744 მან. 6 კ. თანახმად ქ. ლენინგრადის სახელმწიფო თამასუქების სანოტარო კანტორისაგან 24 მარტის 1928 წ. № 13065 გაცემულ აღსასრულებელ ფურცლისა. უკეთუ პირველი საჯარო ვაჭრობა არ შესდგა მეორე საჯარო ვაჭრობა შესდგება 30 აგვისტოს 1 საათზე იქვე. 3314

მიხეილ ბეჟუაშვილის სახელობის **სამკურნალო** საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთაფვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი **ს. ა. გალუსტიანი**

შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები.

რატომ არ იყო პური? — (საბავშო წიგნაკი). დასურათებული. გვ. 16.

ი. სტალინი — ლენინიზმის საკითხები. გვ. 484. ფასი—3 მან.

Дело о Максиме Горьком (материалы Тифл. губ. жан. управления). 76 стр ц. 50 коп.

3-26. 1490

კბილის ექიმი **დ. ს. რიქინაშვილი**

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი **ხელოვნური კბილების ჩასმა**. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათამდ. 5—7 საათ. საღ. — მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ექიმი **გ. ო. ზანდუკელი**

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ქუთაისში (დროებით) მედიცინის დოქტორი **მ. ფ. მგალობელი**

ქალთა სნეულებანი მხოლოთ) იღებს საღ 6—7 ს. ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18. 3212

ლოგოპედი **ტ. კაიშაური**

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა **ასწორებს** ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. მისამართი: ცეტკინის ქუჩა № 123

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 საათამდე



სათვალეების შერჩევა და მათი სწორად ყენება სპეციალისტ ექიმის მიერ

უფასოდ

სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები. 25—1

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ 6—8 საათ. კამოს ქუჩა 72 (ყოფილი ციცი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოებს, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—7

ბებია **ა. ი. თათარიშვილი**

გადავიდა დიდუბეში, ევდოშვილის ქუჩა № 8 (ყოფ. დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 6) 3313

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 95478 და აღრიცხვის ბარათი პროკოპი ხუხუნაიშვილის სახელზე ჩ. გ. 3311

დავკარგე: დამზღვევ კასის წიგნაკი № 918 და პროფ. კავშირის საწევრო ბილეთი მიღებული სიღნაღის მაზრაში მელო მამაიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3312

დავკარგე სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშების პროფესიონალური კავშირის წიგნაკი № 1601 ვასილ დარისპანის ძე ფალავანდიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3319

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი და მმაჩის მოწმობა მოსეს იარალოვის სახელზე, ჩ. გ. 3318

დავკარგე: საბჭოთა და სავაჭროთა კავშირის წიგნაკი № 5598 გაცემული სასოფლო სამეურნეო კოოპ. „მდელოსის“ მიერ ივანე ირაკლის ძე მგელაძის სახელზე, ჩ. გ. 3315

დავკარგე: 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 70 გაცემული სოფ. ძველი აბაშის 7 წლედის მიერ შალვა ალექსანდრეს ძე კორძახიას სახელზე, ჩ. გ. 3317

საქართველოს სახმედვაჭრობა

დასკვნითი ბალანსი

1-ლ ოქტომბრისათვის 1927 წ.

აქტივი.

ქონება		455 388—90
პაი და აქციები სხვა დაწესებულებებში		33.715—00
ფულადი საშუალებანი (სალაროს და მიმდ. ანგარ.)		38,777—66
საქონელი		1,339,835—27
მასალა და დაუმთავრებელი ნაწარმოები		71,188—74
მიღებული თამასუქები და საბუთები:		
ა) მიღებული თამასუქები	25,986—64	
ბ) ბანკებში განაღდებული და საკომისიოთ გაცემული თამასუქები	57,858—08	
გ) პროტესტ ქმნილი თამასუქები	3,569—50	
დ) ვადა გასული „	209—75	87.623—97
თანხები ანგარიშ ქვეშ:		16,504—30
დებიტორები		
ა) მყიდველები	116,677—37	
ბ) კომისიონერები	3,151—11	
გ) მომწოდებლები	41,617—88	
დ) სხვადასხვა დებიტორები	78,489—54	
ე) საეჭვო დებიტორები	83,353—31	
ვ) ავანსები	2,510—62	326,299—83
დაუმთავრებელი ოპერაციები:		
ა) ბინების აგება		22,731—20
მომავალი წლის ხარჯები		1.000—00
		2,393,064—87

პასივი.

თანხები:		
ძირითადი	455,388—90	
საბრუნავი	997,105—39	1,452,494—29
სათადარიგო		49,740—87
ფონდი და თადარიგი:		
ა) ფონდი მუშა-მოსამსახ. ყოფა-ცხოვრების გაუმჯობეს. (თავისუფალი ნაშთი)	24.870—44	
ბ) ქონების გაფასება (ამორტიზაცია)	110,113—21	
გ) თადარიგი საეჭვო ვალების დასაფარავათ	83,353—31	
დ) თადარიგი ფასების შემცირების	61,569—08	279,906—04
სესხი:		
სპეციალური მიმდინარე ანგარიშები	100,310—53	
ვალდებულებანი:		
ა) თამასუქების გამნაღდებელი ბანკები	50,843—87	151,154—40
გაცემული თამასუქები		332,419—89
კრედიტორები:		
ა) მომწოდებელნი	16,628—65	
ბ) მყიდველები	5, 79—37	
გ) სხვადასხვა კრედიტორები	33,698—44	55,506—46
მოგება:		
ა) მოგება საანგარიშო წელში:		71,842—92
		2,393,064—87

ანგარიში მოგება ზარალისა.

დებეტი.

ჩამოწერილია უიმედო დავალიანება		8,387—99
„ უვარგისი საქონლის ღირებულება		1,996—82
„ მიმდინარე ხარჯები		1,499,968—62
„ გაცემული შეღავათები		215,184—18
„ „ სარგებლები		19,895—49
„ ქონების ამორტიზაცია		46,538—28
თადარიგი:		
საეჭვო ვალების დასაფარავი	37,722—42	
ფასების შემცირების	61,569—08	99,291—50
წმინდა მოგება 1926/27 წ.		71,842—92
		1,963,105—80

კრედიტი.

საერთო მოგება საქონლის გაყიდვისაგან		1,909,779—89
შემთხვევითი შემოსავალი		14,319—75
მიღებულია საეჭვო ვალების დასაფარავი თადარიგიდან		39,006—16
		1.963,105—80

დამტკიცებულია ბალანსების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის მიერ 1928 წ. 28 აპრილს (ოქმი № 2). ნ. 1492

საქ. სახმედვაჭრობის მმართველი: **ქ. კადელაკი**

მთავარი ბუხჰალტერი: **ს. ჭირაქაძე**

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.